www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი — ხუთშაბათი 1 ოქტომბერი, 2009 წელი. №213 (2251) — ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
***2424**

### სამოას არქიპელაგს დამანგრეველმა ტალღამ გადაუარა

A8



### პიანისტთა თბილისის IV საერთაშორისო კონკურსი სტარტს იღებს

A10



### მასმედია - ახალი პრეზიდენტის სტრატეგიული პარტნიორი

A13



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# ომი აგვისტოში არ დაწყებულა

## ტალიავინის კომისიამ ათთვიანი მუშაობის შედეგები გამოაქვეყნა

*გუშინ საქართველოს, რუსეთის, ევროკავშირის, გაერო-ს და ეუთო-ს ხელმძღვანელობები შვეიცარიელი დიპლომატის ჰაიდი ტალიავინის თაოსნობით მომზადებულ ანგარიშს ეცნობოდნენ. საქართველო-რუსეთის ომის შესახებ ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისიის მიერ ჩატარებულ გამოძიებაში სამხედრო ექსპერტები, ისტორიკოსები და უფლებადამცველები მონაწილეობდნენ. კომისიის მიერ ათთვიანი კვლევის შემდეგ მომზადებული ანგარიში ბრიუსელში საქართველოსა და რუსეთის ელჩებს გააცნეს. მხარეებმა მოგვიანებით დოკუმენტის შესახებ პოზიციები გამოხატეს.*

დათო გამისონია

ტალიავინის სქელტანიან ანგარიშში ქართულ და რუსულ მხარეებს საშუალება აქვთ, მათთვის მისაღები და მიუღებელი პუნქტები იპოვონ. ევროკავშირის დაფინანსებული საგამოძიებო კომისიის მიერ მომზადებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ **"2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს, საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვით, აღინიშნა საქართველოში ფართომასშტაბიანი კონფლიქტის დაწყება. თუმცა, ეს იყო მზარდი დაძაბულობის, პროვოკაციებისა და ინციდენტების ხანგრძლივი პერიოდის კულმინაციის წერტილი."** მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო კომისიამ რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის გაჩაღების თარიღი დაადგინა, ანგარიშის საკმაოდ ვრცელი ნაწილი კონფლიქტის ისტორიული ასპექტების შესწავლას ეთმობა, სადაც რუსეთის არაკეთილსინდისიერ როლზეა საუბარი. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამის ხელმძღვანელ თორნიკე შარაშენიძის თქმით, ანგარიშში აღნიშნულია, რომ შეუძლებელია ამ კონფლიქტის განხილვა მხოლოდ ქართული მხარის მიერ ცხინვალის დაბომბვის კონტექსტში, რადგან დოკუმენტში ნათქვამია, რომ ეს ყველაფერი სცდება ამ მყისიერ მოვლენას. როგორც შარაშენიძემ აღნიშნა, **"ძალიან ფართოდ არის განხილული 1990-იანი წლები და რუსეთი წარმოჩენილია, როგორც დესტრუქციული მოთამაშე. ასევე ნათქვამია, რომ დიდი რუსეთი ყოველთვის ძალიან ცუდად მოქმედებდა მეზობელი საქართველოს წინააღმდეგ."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# იქ, სადაც სიცოცხლე გალიაშია

სოფო კილასონია

*რთული აღმოჩნდა ბოლო ორი დღე, რთული ნებისმიერითვის, ვისაც თეატრი უყვარს და ვინც 27 სექტემბერს თეატრალური ფესტივალის პირველ სპექტაკლს დაესწრო. ოსკარას კორშუნოვასის "რომეო და ჯულიეტამ" თეატრალური ხარისხისა და კარგი თეატრის შიმშილი ისე გაგვიმძაფრა, ლამის წუთებს ვითვლიდით მეორემდე, ანუ გუშინდელ დღემდე, სანამ საფესტივალო პროგრამის მეორე საფეხურზე ავიდოდით. თუმცა, არ ვიცი ზუსტად, ავედით თუ ჩამოვქვეითდით. "ახალი თეატრი" პოლონეთიდან, წარმოდგენის სათაური - "ქარიშხალი", პირველადი ინფორმაციით შექსპირის კიდევ ერთი ინსცენირება. თუმცა პირველადი ინფორმაცია როდია ყოველთვის ზუსტი... წარმოდგენამ, რომელიც ვიხილეთ გარკვეული ასოციაციები, განცდები და იმპულსები ალბათ ზოგიერთისთვის დატოვა, თუმცაღა გაუგებრობის განცდამ მგონი ყოველივე დაჩრდილა...*

გაგრძელება A9 გვერდზე



# 53 მილიონი და ოთხი კომპანია

სოფო ჩიხლაძე

თბილისის მერიის ახალი პროექტის ფარგლებში, 2011 წლამდე, ძველი თბილისის უბნებში მცხოვრები მინიმუმ 243 ოჯახი ახალ საცხოვრებელ სახლს მიიღებს, სამშენებლო სექტორი კი - 53 მილიონ ლარს. თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ მენაშენეებთან შეხვედრისას იმ კომპანიების ვინაობა დაასახელეს, რომლებმაც მერიის პროექტის "ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვეს. ეს კომპანიებია: "ეუბე ჯორჯია"; "კალასი" "ოლიმპიური ვარსკვლავი"; "აქსისი"; "ბაგები სითი ჯგუფი"; "ნიკე" და "არსი". კონკურსში კიდევ ოთხი სამშენებლო კომპანია იღებდა მონაწილეობას: "ჯორჯიან ჰაუსსი"; "ტექს ჯგუფი"; "ტიფლის საბურთალო"; "აკადემქალაქი და ოქროს კვეთი", როგორც თბილისის მერიაში აცხადებენ, ეს ოთხი კომპანია დაფინანსებას 10 დღის ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში მიიღებს.

ამ სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნეს, რომ დოკუმენტაციის მოწესრიგებაზე უკვე მუშაობენ.

აღსანიშნავია, რომ პრობლემები, რის გამოც მათ ათდღიანი ვადა მიეცათ, ზოგმა მათგანმა უკვე მოაგვარა. მათ შორის არის "ტიფლის დეველოპმენტის" შვილობილი კომპანია "ტიფლის საბურთალო".

**"მერიას ამ ოთხი კომპანიის მიმართ საფუძვლიანი პრეტენზიები აქვს. კონკრეტულად ჩვენს შემთხვევაში პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ დავკარგეთ ერთ-ერთ ოჯახთან დადებული ხელშეკრულება. ჩვენ უკვე დავუკავშირდით მათ და ხელშეკრულებას თავიდან გავაფორმებთ. ასევე მეორე ლოტზე გამორჩენილი გვქონდა საკადასტრო რუკა. ამ პრობლემების მოგვარების შემთხვევაში ჩვენ ავტომატურად ჩავერთვებით პროგრამაში და მერიისგან დაფინანსებას მივიღებთ. შესწორებულ დოკუმენტებს მერიაში ორშაბათს მივიტანთ,"** - აცხადებს სამშენებლო კომპანია "ტიფლის დეველოპმენტის" დირექტორი გიორგი ზაქაიძე.

გაგრძელება A4 გვერდზე

## საქართველოს პარლამენტში დაცულ არქივს რესტავრაცია ჩაუტარდება

საქართველოს პარლამენტში დაცულ არქივს რესტავრაცია ჩაუტარდება. რესტავრაციის მიზნით პარლამენტში დაცულ ვახტანგ მეექვსეს სამართლის წიგნთა კრებულს, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას და დამოუკიდებლობის აქტს ეროვნული არქივის ექსპერტები ეროვნულ არქივში გადაიტანენ. არქივს სარესტავრაციოდ პარლამენტის შენობიდან დღეს, 11:00 საათზე გაიტანენ.

## "ახალგაზრდა რესპუბლიკელები" საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას იწყებენ

"ახალგაზრდა რესპუბლიკელები" უახლოესი ორი თვის მანძილზე, საპროტესტო აქციების გამართვას საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას ამჯობინებენ. როგორც "მედიანიუსს" ახალგაზრდა რესპუბლიკელების აღმასრულებელმა დირექტორმა თინათინ ძნელაძემ განუცხადა, მათთვის ამ ეტაპზე აქციების გამართვაზე პრიორიტეტული სამოქალქო საზოგადოების განვითარებაზე მუშაობა და ახალგაზრდული საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებაა.

მისივე თქმით, უახლოეს ხანში ისევ განახლდება მათ მიერ წამოწყებული პროექტები "დემოკრატიის სკოლა", "ახალგაზრდული პარლამენტი" "დებატების კლუბი" და ა.შ იწყებენ ახალ პროექტებსაც. ერთ-ერთი მათგანი იქნება ახალგაზრდული ფორუმის შექმნა, რომელშიც მონაწილეობის მიღება ყველა ახალგაზრდას შეეძლება. ამ ფორუმში ახალგაზრდები სშეძლებენ თავიანთი აზრის გამოთქმას. ისინი ერთმანეთს თავიანთ შეხედულებებს გააცნობენ.

"მიგვაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, ახალგაზრდებს დამოუკიდებლად სწორი არჩევანის გაკეთების უნარი ჰქონდეთ. ეს პროექტები მათ განვითარებასა და ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ასევე დაგეგმილია ჩვენი საერთაშორისო პარტნიორი ლიბერალური ორგანიზაციების წარმოამდგენლების ჩამოსვლა საქართველოში, რომლებიც ქართველი ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო სემინარ-ტრენინგებს ჩაატარებენ. " - აცხდებს თინათინ ძნელაძე.

მისივე თქმით, დაგეგმლია საპროტესტო აქციების გამართვაც, თუმცა ჯერჯერობით მთელ ყურადღებას ამ პროექტების განხორციელებას დაუთმობენ.

## "ლეიბორისტული პარტია" პრეზიდენტ სააკაშვილს "რეპრესიების ახალი ტალღის აგორებაში" ადანაშაულებს

"ლეიბორისტული პარტია" პრეზიდენტ სააკაშვილს "რეპრესიების ახალი ტალღის აგორებაში" ადანაშაულებს. ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, კახა ძაგანიას განცხადებით, "სააკაშვილი დაპირებული "დემოკრატიის ახალი ტალღის" ნაცვლად, რეპრესიების ახალი ტალღის აგორებას იწყებს" - მისი განცხადებით, ამის დასტურია მურთაზ ზოდელავას მთავარ პროკურორად დანიშვნა. ძაგანიას აზრით, "ზოდელავა დაუყონებლივ დაიწყებს იმ ადამიანების დაპატიმრებას, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის მომხრეები არ არიან".

ამასთან, ძაგანიამ ბრიუსელში მოქმედ ევროკავშირის მინისტერიალს მიმართა, "შეიქმნას საერთაშორისო საგამოძიებო კომისია საქართველოში სამართალდამცავი და ძალოვანი სტრუქტურების საქმიანობის კანონიერების შესასწავლად", ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გენერალურ და მთავარ პროკურორებს კი მოუწოდა, "სააკაშვილის პარტიულ პროკურორთან არ ითანამშრომლონ".

# რეზოლუცია რუსეთს ვერ შეცვლის

### ექსპერტთა და პოლიტიკოსთა შეფასებები

*ქართველი ექსპერტები და პოლიტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ ისინი ზუსტად ისეთივე შინაარსის დოკუმენტის მიღებას ელოდნენ, როგორიც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 29 სექტემბრის რეზოლუციაა. მიუხედავად ამისა, დოკუმენტის შეფასებისას ქართველ პოლიტიკოსთა აზრი იყოფა. სახელისუფლებო გუნდისა და საპარლამენტო ოპოზიციის შეფასებით, რუსეთისთვის სანქციების დაწესებაზე საპარლამენტო ასამბლეის თავშეკავება ევროსაბჭოს "თანამიმდევრული პოლიტიკის" შედეგია. არასაპარლამენტო ოპოზიცია პირიქით - საერთაშოროსო დიპლომატიის ნაკლებ ეფექტურობაზე საუბრობს. ექსპერტებს ნაკლებად სჯერათ, რომ რეზოლუციით რუსეთი შეიცვლება.*

ვერიკო თევზაძე

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ პეტრე ცისკარიშვილის შეფასებით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია **"ქართული და საერთაშორისო დიპლომატიის გამარჯვებაა."**

ცისკარიშვილი განსაკუთრებით ერთი გარემოებით არის კმაყოფილი. **"ევროპამ მხოლოდ რუსეთს დააკისრა ადრე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რადგან საქართველო მათ განუხრელად ასრულებს. ეს არის პირველი რეზოლუცია, რომელშიც მხოლოდ რუსული მხარის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობაზეა საუბარი და აღნიშნულია, რომ საქართველომ ნაკისრი ვალდებულებები უკვე შეასრულა,"** - შენიშნავს საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელი.

სახელისუფლებო გუნდის წევრი ნუგზარ წიკლაური იმ ფაქტს, რომ ევროსაბჭომ რუსეთს სანქციები არ დაუწესა, **"ევროსაბჭოს თანმიმდევრულობის"** კვალიფიკაციას აძლევს. მისივე თქმით, ევროსაბჭოსთვის მნიშვნელოვანია შედეგი და არა სადამსჯელო ღონისძიებების გამოყენება. წიკლაური დარწმუნებულია, რომ 4-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც ევროსაბჭომ რუსეთს დაუწესა, საქართველო კვანძის გახსნის მოწმე გახდება.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლის, "ქრისტიან-დემოკრატ" ნიკა ლალიაშვილის შეფასება სახელისუფლებო გუნდის პოზიციას ემთხვევა. ლალიაშვილი ევროსაბჭოს მიდგომებს "თანმიმდევრულს" უწოდებს.

არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლის, "მემარჯვენეების" ერთ-ერთ ლიდერ მანანა ნაჭყებიასთვის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახლანდელი რეზოლუცია არაფრით განსხვავდება შარშანდელისგან. როგორც ნაჭყებიამ "24 საათს" განუცხადა, **"ქვეყანა ილუზიებში არ უნდა ვამყოფოთ,"** ანუ არც ოთხი თვის გავლის შემდეგ უნდა გვქონდეს იმედი, რომ ევროპა რუსეთს სანქციებს დაუწესებს.

ქართველი ექსპერტები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ძალისხმევაზე, მის პრინციპულობასა და ობიექტურობაზე ამახვილებენ ყურადღებას, თუმცა იქვე შენიშნავენ, რომ რუსეთზე სერიოზული ზემოქმედება ნაკლებად სავარაუდოა.

როგორც პოლიტოლოგმა ზურაბ დავითაშვილმა "24 საათს" განუცხადა, ჩვენი დიპლომატიის წარმატება ის არის, რომ რუსეთს **"კეთილშობილი ქვეყნის, უმწეო მოსახლეობის დამცველის"** ნიღაბი ჩამოეხსნა. ამასთანავე, დავითაშვილი სინანულით შენიშნავს ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. მისი შეფასებით, დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკაში **"ძალის პრიმატია."** დავითაშვილის აზრით, რუსეთს ნაკლებად ადარდებს შელახული საერთაშორისო ავტორიტეტი. **"ყოველივე ამის შემდეგ რუსები ცინიკურად ამბობენ, რომ ზამთარი წინ არის და ევროპა მათზეა დამოკიდებული,"** - შენიშნავს პოლიტოლოგი.

გუშინვე გამოქვეყნდა ინტერვიუ ექსპერტთან საერთაშორისო საკითხებში ირაკლი მენაღარიშვილთან. მისი შეფასებით, ევროსაბჭოს ასამბლეის რეზოლუცია არის **"მწვავე, პრინციპული და ობიექტური."** მიუხედავად ამისა, ექსპერტის განცხადებით, რიგით მესამე დოკუმენტი **"პესიმისტურ ნოტას შეიცავს."**

**"რუსეთი, როგორც ჩანს, არც ამ შემთხვევაში აპირებს, სერიოზულად მოეკიდოს ევროპის საბჭოს მოთხოვნებს. ამ მიზეზით საპარლამენტო ასამბლეა იძულებული გახდა, რეზოლუციის ერთ-ერთ ფინალურ ნაწილში თავისი წუხილი გამოეთქვა... ევროპის საბჭოს რეზოლუციაში გარკვეული ინსტრუმენტები არის, მათ შორის, თუნდაც საპარლამენტო ასამბლეაზე რუსეთის დელეგაციის მონაწილეობის შეზღუდვა ან მისი მონაწილეობის შეჩერებაც კი. თუმცა, როგორც მოვლენათა განვითარება აჩვენებს, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამ ყველაფერს მოჰყვეს ის შედეგი, რისთვისაც ევროპის საბჭო ძალისხმევას მიმართავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს სინანული ამ რეზოლუციაშიც გამოსჭვივის,"** - ასეთია ირაკლი მენაღარიშვილის პოზიცია.

# ერგნეთში ოთხმხრივი შეხვედრა კონკრეტული შედეგების გარეშე დასრულდა

ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფების მეხუთე შეხვედრას კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია.

როგორც რეინტრეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ დავით რექვიაშვილმა განაცხადა, საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა ცხინვალის რეჟიმის მიერ დაკავებული ექვსი ქართველის გათავისუფლებას შეეხებოდა. ასევე, კონფლიქტურ რეგიონში სხვა უკანონო დაჭერებსაც.

"ჩვენ მივიღეთ სიტყვიერი დაპირება იმის შესახებ, რომ შემდეგ შეხვედრაზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხარეები უფრო მეტ ინფორმაციას მოგვაწვდიან", - აღნიშნა მან.

ქართველი ტყვეების გათავისუფლება ქართულმა მხარემ ერგნეთში გამართულ წინა შეხვედრაზეც მოითხოვა, თუმცა, ცხინვალის რეჟიმის წარმომადგენლებისგან კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო.

ევროკავშირის წრმოამდგენლებმა კონფლიქტურ ზონაში არსებული ეკლესიებისა და საფლავების საკითხიც განიხილეს.

რაც შეეხება დვანის გზაზე გუშინ დილით საპატრულო პოლიციის პიკაპის აფეთქებას, რუსეთის წარმომადგენლები ქართულ მხარეს გამოძიების დაწყებას დაპირდნენ.

"ესეც რა თქმა უნდა, მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმების დონეზე მოხდა", - დასძინა რაქვიაშვილმა.

შეხვედრაში მონაწილეობას ქართული, რუსული, ასევე, ცხინვალისა და ევროკავშიროს წარმოამდგენლები იღებდნენ.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის სოციალურ მეცნიერებებში**

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს დემოკრატიული პოლიტიკური კულტურისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.**

**კონკურსის პირობები**

რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ პროგრამის დაწყების მომენტისათვის 35 წლამდე (1975-1987 წლებში დაბადებულ) ახალგაზრდა მკვლევრებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (ინგლისური და რუსული) კარგი ცოდნა. ყურადღება მიექცევა თემატურ სიახლეს და ორიენტაციას თანამედროვე მეთოდოლოგიაზე, ამასთანავე კვლევის თვისობრივ მეთოდებს.

**ფონდი აფინანსებს კვლევას შემდეგ მიმართულებათა ფარგლებში:**

1. ახალი შეხედულებები ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტებზე;
2. მიგრაციული პრობლემები;
3. ლტოლვილები: გადარჩენის სტრატეგიები
4. პოლიტიკური კულტურის განვითარების დინამიკა და ანალიზი
5. ყოველდღიური ყოფის ისტორია/ ანთროპოლოგია;
6. წინააღმდეგობის და რეპრესიების ისტორია
7. იდენტობების კონსტრუირება;
8. „ჩვენიანი" და „უცხო" საზოგადოებაში;
9. უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები;
10. გენდერული როლების ტრანსფორმაცია;
11. ურბანიზაცია და ქალაქური კულტურა;
12. ქალაქის მდგრადი განვითარების პრობლემები (სოციალური/ ეკოლოგიური/ ეკონომიკური);
13. ქალაქის სოციალური და საინფორმაციო ინფრასტრუქტურა;
14. არქიტექტურა/ ურბანული გარემო და ხელისუფლება;

**ხანგრძლივობა და მოცულობა**

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2010 - 31.12.2010. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს ყოველთვიურად 250 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია ფონდის მიერ ორგანიზებული თანამდევი პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა.შ. სახით.

**სრული ინფორმაცია კონკურსის შესახებ და განაცხადის ანკეტა ჩამოტვირთეთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდიდან www.boell.ge**

**საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2009 წლის 30 ოქტომბერი, 18:00 სთ.**

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ომი აგვისტოში არ დაწყებულა

პირველი გვერდიდან

შარაშენიძის განმარტებით, თვითონ ტექსტში რუსეთის ქმედების ისეთი ინტერპრეტაცია, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაინც არ არის. თუმცა, მისი აზრით, კომისიის დასკვნაში საკმაოდ დეტალურად არის გარჩეული, თუ როგორ მეთოდურად ცდილობდა რუსეთი ამ ტერიტორიების ანექსიას. **"ანგარიშში დაგმობილია პასპორტიზაცია, ასევე რუსეთის ყველანაირი მცდელობა, გაასაღოს აგვისტოს ქმედება ჰუმანიტარულ ინტერვენციად. ამავე დროს, გაბათილებულია ბრალდება, თითქოს საქართველო გენოციდს უწყობდა ოს ერს,"** - აღნიშნა შარაშენიძემ.

ანგარიშის გაცნობის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ ძირითადი ყურადღება კონფლიქტის სიღრმისეული მიზეზების წარმოჩენას დაუთმო, რადგან ქართულ მხარეს მიაჩნია, რომ 2008 წლის 7-8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი მხოლოდ ახალ ფაზაში გადავიდა. დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა განაცხადა: **"მინდა, მკაფიოდ აღვნიშნო - დოკუმენტში არსად წერია, რომ საქართველომ დაიწყო ომი. ამ საკითხზე ყველანაირი პროვოკაციები და ინტერპრეტაციები ტყუილი იქნება. უფრო მეტიც, აქ წერია, რომ ომი არ დაწყებულა შვიდში და რვაში (აგვისტოს), არამედ ეს სამხედრო პროვოკაცია დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა."** იაკობაშვილის თქმით, დოკუმენტში წერია, რომ რუსეთს არანაირი უფლება არ ჰქონდა, საქართველოს ორი პროვინცია დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოეცხადებინა და მით უმეტეს ამ ტერიტორიებზე ახალ როლში დარჩენილიყო. მინისტრის აზრით, ტალიავინის კომისიის ანგარიშმა რუსეთს გამოაცალა ყველა არგუმენტი, რომლებითაც ეს ქვეყანა აგვისტოში განხორციელებული აგრესიის გამართლებას ცდილობდა. კერძოდ, იაკობაშვილის თქმით, **"ანგარიში ამტკიცებს, რომ ქართული მხრიდან ცხინვალის რეგიონში არანაირ გენოციდს ადგილი არ ჰქონია. ასევე ნათქვამია, რომ რუსეთს უფლება არ ჰქონდა, საქართველოში შემოჭრილიყო საკუთარი ე.წ. მოქალაქეების დაცვის საბაბით. აგრეთვე, ანგარიში აცხადებს, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული პასპორტიზაცია უკანონო იყო. გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ ქართულ მხარეს რუსი სამშვიდობოები არ დაუხოცავს."** იაკობაშვილის აზრით, მნიშვნელოვანია დასკვნაში ნათქვამი, რომ რუსეთი, როგორც მშვიდობისმყოფელი, ვერ ან არ ასრულებდა თავის მოვალეობებს, რათა რეგიონში მშვიდობა და სტაბილურობა დამყარებულიყო. ანგარიშის თანახმად, რუსეთი საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობდა და ამიტომ სურდა, რომ კონფლიქტები არ მოგვარებულიყო. მინისტრის თქმით, **"ანგარიშში ნათქვამია, რომ რუსეთი სეპარატისტებს აიარაღებდა, მათ სხვა ყველა სახის სამხედრო, ეკონომიკურ დახმარებას უწევდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ განხორციელდა ქართველების ეთნოწმენდა ცხინვალის რეგიონში. გარდა ამისა, რუსეთს არანაირი მიზეზი, თუნდაც შეთითხნილი, არ ჰქონდა, რომ კოდორის ხეობისთვის შეეტია, საქართველოს სხვა ტერიტორიები დაეკავებინა."**



თუმცა, ქართული მხარე ანგარიშში მოცემულ რამდენიმე შეფასებას არ ეთანხმება. პირველ რიგში, განცხადებას იმის შესახებ, რომ რუსული ძალები მასიურად არ შემოჭრილან ქვეყნის ტერიტორიაზე. თუმცა, დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები ცხინვალის რეგიონში შემოსვლის შემდეგ გასცდნენ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებს, შემოიჭრნენ გორში, ზუგდიდში, სენაკში, ფოთში. გარდა ამისა, აფხაზეთის ფაქტობრივ ხელისუფლებასთან ერთად დაიკავეს კოდორის ხეობა.

ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ თავისი პოზიცია გამოხატა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. **"ჩვენი აზრით, კომისიის მცდელობას უკვალოდ არ ჩაუვლია - 30 სექტემბერს გამოქვეყნებული მოხსენებიდან ნებისმიერი მოაზროვნე გამოიტანს საკვანძო დასკვნას, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს ღამეს სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ აგრესია საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ წამოიწყო. საბოლოო ჯამში, ეს არის ტალიავინის კომისიის მუშაობის მთავარი შედეგი,"** - აღნიშნავს საგარეო-პოლიტიკური უწყება. მოსკოვი აქვე აცხადებს, რომ მოხსენება რიგ "ორაზროვან" ფორმულირებას შეიცავს, რაც ცხადყოფს, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებსა და მის შედეგებს ევროკავშირის ბევრი ქვეყანა კვლავინდებურად პოლიტიზირებულად უდგება. **"ბევრ კითხვას იწვევს, კერძოდ, მოხსენების პასაჟი, თითქოს არაპროპორციული ძალა რუსულმა მხარემ გამოიყენა, თუმცა იმავე მოხსენებაში ადვილად შეიძლება გამოძებნო არგუმენტები, რომლებიც აჩვენებს ასეთი მსჯელობის ხელოვნურ ხასიათს,"** - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. იქვე განმარტებულია, რომ **"რუსეთის მხარემ საქართველოს ტერიტორიაზე იმ პოზიციების ჩასახშობად გამოიყენა ძალა, რომლებიც სამხრეთ ოსეთზე თავდასხმისთვის გამოიყენებოდა."**

მხარეები ელოდნენ, რომ ტალიავინის ანგარიშში რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ სიმართლე მკაფიოდ აისახებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში ესა თუ ის ფაქტი ქრონოლოგიურად და ხშირ შემთხვევაში საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი, ანგარიში მხარეებს ინტერპეტაციის საშუალებას აძლევს. სწორედ ამიტომ, შესაძლოა, ანგარიშის გამოქვეყნებამ საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარე საინფორმაციო ომი მორიგ ფაზაში გადაიყვანოს. თუმცა, რადგან დოკუმენტი რომელიმე ერთი ქვეყნის მიმართ უკიდურესი რადიკალიზმით არ გამოირჩევა, მხარეები აპრიორი გამოხატავენ ევროკავშირის ეგიდით შექმნილი კომისიისადმი მხარდაჭერას.

გამოძიების დროს, ტალიავინის კომისია, საქართველოსა და რუსეთის გარდა, ინფორმაციას უფლებადამცველი ორგანიზაცია "ჰიუმან რაიტს ვოტჩისგანაც" იღებდა. ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ ორგანიზაციის მოსკოვის განყოფილების დირექტორის მოადგილემ ტატიანა ლოკშინამ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა კომისიას. **"ჩვენ არ გვაქვს მიზეზი, რომ არ ვენდოთ საერთაშორისო კომისიას. მათ ძალიან სერიოზული მრავალთვიანი სამუშაო ჩაატარეს, აგროვებდნენ ინფორმაციას და აანალიზებდნენ ვითარებას,"** - აღნიშნა ლოკშინამ. რაც შეეხება შეფასებას, ვინ დაიწყო პირველმა და რამ მოახდინა მასზე გავლენა, მისი თქმით, ეს უფლებადამცველების ამოცანა არ არის.

გუშინვე დოკუმენტის გამოქვეყნებას ევროკავშირის საბჭო მიესალმა. ევროკავშირი ხაზს უსვამს, რომ საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი და ხანგრძლივი მოგვარება დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების სრულ პატივისცემას უნდა ეფუძნებოდეს. ამას აღიარებს საერთაშორისო სამართალი, მათ შორის ეუთო-ს ჰელსინკის დასკვნითი აქტი და გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია.

# სერგეი შამბას ბოლივარიული ალიანსის იმედი აქვს

სეპარატისტული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, შემდეგი ქვეყანა, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს ბოლივარიული ალიანსიდან იქნება. ეს განცხადება ე.წ. მინისტრმა რუსულ მედიასთან საუბარში გააკეთა. სერგეი შამბამ აღნიშნა, რომ აფხაზური დელეგაცია თითქმის ერთი თვე იმყოფებოდა ვიზიტით ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

"ჩვენი დელეგაცია თითქმის ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდა ლათინურ ამერიკაში. მას ჰქონდათ მრავალი შეხვედრა კუბაში და რეგიონის სხვადასხვა ქვეყნებში. ეს სასარგებლო და საჭირო სამუშაოა იმისათვის, რომ განხორციელდეს შემდგომი ეტაპი - აღიარება. შეუძლებელია აღიარების იმედი ჰქონდეს რაიმე სახის წინასწარი მოქმედებების განუხორციელებლობის შემთხვევაში", - აცხადებს შამბა.

მისივე თქმით, სეპარატისტულ აფხაზეთს იმედი აქვს, რომ მისი "დამოუკიდებლობის" აღიარების პროცესი გაგრძელდება, იმ ქვეყნების მხარდაჭერით, რომლებმაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა უკვე აღიარეს.

"ვფიქრობთ, რომ ყველა ქვეყანას, რომელიც ბოლივარიულ ალიანსში შედის - ვენესუელას, კუბას, ბოლივიას, ნიკარაგუას, დომინიკს, გონდურასსა და ეკვადორს კოლექტიურ საკითხებთან მიმართებაში ერთიანი მიდგომა გააჩნიათ, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ეს ქვეყნები ამ ალიანსის ლიდერს - ვენესუელას მიბაძავენ", - აცხადებს სერგეი შამბა.

შეგახსენებთ, ვენესუელა გახდა მესამე ქვეყანა, რუსეთისა და ნიკარაგუის შემდეგ, რომელმაც საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა. ბოლივარიული ალიანსი 2004 წელს უგო ჩავესისა და ფიდელ კასტროს მიერაა დაფუძნებული. მასში შედიან ვენესუელა, კუბა, ბოლივია, ნიკარაგუა, დომინიკა, გონდურასი, ეკვადორი, ხოლო დამკვირვებელთა სტატუსით - ჰაიტი, ირანი და ურუგვაი.

## ვაშინგტონს საქართველოს და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით პოზიცია არ შეუცვლია

მოსკოვთან ურთიერთობების "გადატვირთვის" მიუხედავად, ვაშინგტონს საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით პოზიცია არ შეუცვლია. "იტარ-ტასის" ინფორმაციით, ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, იან კელიმ განაცხადა. მისი თქმით, აშშ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ძველებურად უჭერს მხარს. კელის განცხადებით, ნებისმიერ ქვეყანას აქვს უფლება, თავად აირჩიოს, ვისთან გაერთიანდება და ვისთან გააფორმებს უსაფრთხოების შესახებ შეთანხმებას.

**"პრეზიდენტი ობამა ნატო-ს გენერალურ მდივანს შეხვდა და კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი ერთგულება ჩრდილოატლანტიკური ალიანსისადმი. დარწმუნებულები ვართ, რომ ნატო-ს წევრობა ეს არის ძალა, რომელიც მხარს უჭერს მშვიდობასა და სტაბილურობას, საშუალებას აძლევს ტრანსატლანტიკურ თანამეგობრობას, უპასუხოს 21-ე საუკუნის გამოწვევებს",** - აღნიშნა იან კელიმ.

## კოკოითი ცხინვალში საპროტესტო აქციის დარბევაში პირადად მონაწილეობდა

სააგენტო "როსბალტის" ინფორმაციით, ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ხელმძღვანელი ედუარდ კოკოითი პირადად მონაწილეობდა საპროტესტო აქციის დარბევაში, რომლის მონაწილეებიც 2008 წლის აგვისტოს ომისა და 2009 წლის სექტემბრის მიწისძვრის შედეგად დანგრეული სახლების აღდგენას ითხოვდნენ. მიტინგი ცხინვალში დღეს გაიმართა. "მედიანიუსის ინფორმაციით" მომიტინგეებთან კოკოითი თავისი დაცვითა და ე.წ. მინისტრებით მივიდა. მათ აქციის მონაწილეებს პლაკატები წაართვეს და ბევრი მათგანი დააპატიმრეს. აქციის ერთ-ერთი მონაწილის ინფორმაციით, დაპატიმრებულთა შორის არიან რუსული ტელეკომპანია "რენ-ტვ"-ს ჟურნალისტები.

"უკვე მეორე ზამთრის განმავლობაში მოგვიწევს კარვებში ცხოვრება. ხალხი უკვე იღუპება", - აცხადებს აქციის ერთ-ერთი მონაწილე.

## სვანეთში თოვლის საფარი ნახევარ მეტრს აღწევს

სვანეთში დიდთოვლობაა. მესტიის რაიონის სოფელ უშგულში თოვლის საფარი ნახევარ მეტრს აღწევს. დიდთოვლობის გამო მოსახლეობას მოსავალიც გაუნადგურდა.

სამეგრელო-ზემო სვანეთში გუბერნატორის მოადგილის ერეკლე ჯაფარიძის განცხადებით, სვანეთის მოსახლეობისთვის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს კარტოფილი წარმოადგენს და მოსავლის აღება მაცხოვრებლებმა დიდთოვლობის გამო ვერ შეძლეს.

მისი თქმით, მესტია-უშგულის მიმართულებით გზის გამწმენდი სამუშაოები მიმდინარეობს და სატრანსპორტო მიმოსვლა ორ დღეში აღდგება.

როგორც ერეკლე ჯაფარიძემ აღნიშნა, მოსახლეობას პირუტყვისთვის თივაც არ აქვს მომარაგებული და არსებობს პირუტყვის საკვების პრობლემა.

ჯაფარიძის განმარტებით, ადგილობრივი მაცხოვრებლებს ამ წუთებში საკვების პრობლემა არ აწუხებს, თუმცა ზამთრის პროდუქტის პრობლემა მალე დადგება. მოსახლეობისა და საქონლის პროდუქტით მომარაგების საკითხი სამთავრობო დონეზე უკვე განიხილება.

"კარგი იქნება განხილვაში საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები თუ ჩაერთვებიან", - დასძინა ჯაფარიძემ.

"მედიანიუსის" ინფორმაციით, რაიონში ელექტროენერგიის მიწოდებაც შეწყვეტილია, აღდგენითი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს და დენის მიწოდება მოკლე ხანში აღდგება.

სინოპტიკოსები სვანეთში ერთი კვირის განმავლობაში კვლავ ცუდ ამინდებს ვარაუდობენ.

## "ქრისტიან-დემოკრატები" ონკოლოგიისა და კარდიოქირურგიის პროგრამების დაფინანსების გაზრდას ითხოვენ

"ქრისტიან-დემოკრატები" 2010 წლის ბიუჯეტში ონკოლოგიისა და კარდიოქირურგიის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების გაზრდას და პროგრამებით სარგებლობაზე ასაკობრივი შეზღუდვების გაუქმებას ითხოვენ. ამის შესახებ 30 სექტემბერს პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე მაგდა ანიკაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, 2009 წლის იანვრიდან ასაკობრივი ბარიერი დაწესდა. ონკოლოგიისა და კარდიოქირურგიის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის უფლებით მხოლოდ 60 წელს გადაცილებული პაციენტები სარგებლობენ. პარლამენტარის განცხადებით კი, დაავადებულთა ორივე ჯგუფი საგრძნობლად გაახალგაზრდავებულია.

"ქრისტიან-დემოკრატები" ვფიქრობთ, რომ პაციენტთა ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფა უსამართლოა, რადგან სახელმწიფო პაციენტს დახმარებაზე უარს ეუბნება დაავადების საწყის ეტაპზე და ეხმარება ავადმყოფებს უკვე გართულებულ სტადიაზე, რაც ხშირ შემთხვევაში შედეგის მომტანი აღარ არის", - განაცხადა მაგდა ანიკაშვილმა.

მისი თქმით, აღსანიშნავია ისიც, რომ 60 წლამდე პაციენტები არ არიან მოცულნი სადაზღვევო სქემითაც, რადგან უმწეობის დაზღვევის პაკეტის გარდა ონკოლოგიურ და კარდიოქირურგიულ ხარჯებს კომპანიები არ ანაზღაურებენ. **"მედიანიუსი"**

## საგადასახადო ინსპექციამ ინდმეწარმეებს მასობრივად შეუტია

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრისთვის გახდა ცნობილი, თელავის რეგიონულმა საგადასახადო ინსპექციამ მცირე მეწარმეების მასობრივი დაჯარიმება დაიწყო. საგადასახადო ინსპექტორები ინდივიდუალურ მეწარმეებს სალარო აპარატის არქონის ან მისი გამოუყენებლობის მიზეზით 500 ლარით აჯარიმებენ. დაჯარიმებულთა შორის გლეხებიც არიან, რომლებიც ქუჩაში სახელდახელოდ მოწყობილ დახლებზე ან ჯიხურებში საკუთარ ბოსტნეულს და ხილს ყიდიან. ერთ-ერთი დაჯარიმებულის განცხადებით, რომელსაც პურსაცხობი აქვს, საგადასახადო ინსპექტორები პურსაცხობში მაშინ შევიდნენ, როცა იქ მყოფი ორი მცხობელი თონეში პურს აკრავდა. ინსპექტორებმა ერთი პური იყიდეს, 50 თეთრი დადეს და გავიდნენ. ერთ წუთში ისინი უკან დაბრუნდნენ და სალარო აპარატის გამოუყენებლობის მიზეზით, პურსაცხობი 500 ლარით დააჯარიმეს. საგადასახადო ინსპექტორებმა ამავე მეთოდით დააჯარიმეს კიდევ ერთი ინდმეწარმე, რომელიც სოფელ კალაურში, გზის პირას მდებარე ჯიხურში საკუთარ ნაკვეთში მოწეულ პომიდორს და ყურძენს ყიდის.

## გურჯაანელი მევენახეები "რთველი-2009"-ის საკოორდინაციო შტაბის თანამშრომლებს დაუპირისპირდნენ

გურჯაანელი მევენახეები "რთველი-2009"-ის საკოორდინაციო შტაბის თანამშრომლებს დაუპირისპირდნენ. მევენახეთა თქმით, შტაბის ცხელი ხაზის ნომრებზე ან არ პასუხობენ, ან გლეხებს არასწორ ინფორმაციას აწვდიან. მევენახე ავთანდილ ზარდიაშვილის განცხადებით, სართვლო შტაბს გუშინ დაუკავშირდა და ჰიბრიდული ჯიშის ყურძნის ჩაბარების თაობაზე ინფორმაციის მიღება ითხოვა. შტაბის წარმომადგენელმა მას ტელეფონით აუხსნა, რომ ჰიბრიდული ჯიშის ყურძენს ყვარელში, ახალსოფლის ღვინის ქარხანა იმ დღეს ჩაიბარებდა. მევენახემ ვენახის ნაწილი დაკრიფა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ახალსოფლის ღვინის ქარხანა ჰიბრიდული ჯიშის ყურძენს არ იბარებს. მევენახე იძულებული გახდა, 2 ტონამდე ყურძენი სახლში დაეწურა. როგორც დღეს კახეთის საინფორმაციო ცენტრის ოფისში მოსულმა მევენახეებმა აღნიშნეს, ინფორმაციის დასაზუსტებლად შტაბში არაერთხელ იყვნენ, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. მათი თქმით, რამდენჯერაც მივიდნენ, იმდენჯერ უთხრეს, რომ შტაბის წევრები საუზმობენ. "რთველი-2009-ის" საკოორდინაციო შტაბის უფროს ტარიელ გაბუნიას განცხადებით, ჰიბრიდული ჯიშის ყურძნის მიღებას ყვარლის რაიონის ახალსოფლის ღვინის ქარხანა ხვალ დაიწყებს. რაც შეეხება მევენახეთა პრეტენზიებს შტაბის თანამშრომლების დროსტარებასთან დაკავშირებით, გაბუნიამ უპასუხა, რომ "ზოგიერთი იდიოტი გლეხის გაუაზრებელ ნაბოდვარს ყური არ უნდა დავუგდოთ".

# 53 მილიონი და ოთხი კომპანია

პირველი გვერდიდან



სამშენებლო კომპანა "ჯორჯიან ჰაუსს" გამოსაცდელი ვადა იმის გამო მიეცა, რომ მას ბანკისგან ჯერ კიდევ არ აქვს ოფიციალური თანხმობა სესხის მიღებასთან დაკავშირებით. არადა, ამ დოკუმენტის ქონა მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა იყო. **"ჩვენი ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ სესხის მიღებასთან დაკავშირებით ბანკის ოფიციალური თანხმობა არ გვაქვს. ეს საკითხი ბანკის მხრიდან ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია. იმედს ვიტოვებთ, რომ 10 დღის ვადაში საკითხი დადებითად გადაწყდება და ბანკთან ოფიციალურად გავაფორმებთ ხელშეკრულებას სესხის მიღების თაობაზე... ბანკის დასახელებისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ. იმ შემთხვევაში, თუკი მოცემულ ვადაში ვერ ჩავეტევით, კონკურსის მეორე ეტაპში მივიღებთ მონაწილეობას,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას სამშენებლო კომპანია "ჯორჯიან ჰაუზის" დირექტორმა ირაკლი ლომთაძემ.

მერია რამდენიმე თვეში პროგრამის მეორე ეტაპის გამოცხადებას გეგმავს. აღსანიშნავია, რომ პირველ ეტაპში მონაწილეობა არ მიუღია პროექტის ერთ-ერთ ინიციატორს და თბილისის მენაშენეთა ასოციაციის წევრ სამშენებლო კომპანია "ცენტრ პოინტს". ამის მიზეზს კომპანიაში ვერ ასახელებენ. მენაშენეთა ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი როსტომაშვილი კი მიიჩნევს, რომ აღნიშნული კომპანია, რომელიც პროექტის განხორციელების მიზნით მოსახლეობასთან აქტიურად მუშაობდა, მონაწილეობას პროგრამის მეორე ეტაპში მიიღებს. ასევე ის სამშენებლო კომპანიები, რომლებიც პროგრამაში ჯერ არ ჩართულან ან ისინი, რომლებიც დოკუმენტაციის მოწესრიგებას მერიის მიერ მიცემულ ვადებში ვერ მოასწრებენ.

რაც შეეხება თავად პროექტს - "ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე", ის მერიამ ეკონომიკური კრიზისის შემდეგ შეჩერებული მშენებლობების გასაგრძელებლად, სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად და ქალაქის ისტორიულ უბნებში არსებული ავარიული საბინაო ფონდის გასაუმჯობესებლად ივნისის თვეში წარმოადგინა. პროექტის ფარგლებში სამშენებლო კომპანიები მოლაპარაკებებს მოსახლეობასთან და ბანკებთან აწარმოებენ. თანხმობის შემთხვევაში დეველოპერები მოსახლეობას საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და ახალ, კომფორტულ სახლებში გადასვლას სთავაზობენ.

როგორც მერიაში აცხადებენ, პროექტი ნებაყოფლობითია, მის დასრულებამდე მოსახლეობა ძველ საცხოვრებელ სახლებზე საკუთრების უფლებას სრულად ინარჩუნებს. ამავდროულად, დეველოპერული კომპანიები შეჩერებული მშენებლობების გასაგრძელებლად მოლაპარაკებებს საბანკო სფეროს წარმომადგენლებთან ახორციელებდნენ. მათ ბანკთან გარანტად სესხის გაცემაზე სახელმწიფო უდგება, რაც რისკს მინიმუმამდე ამცირებს. როგორც თბილისის მერიაში და დეველოპერულ კომპანიებში აცხადებენ, პროექტი სახელმწიფოს და კერძო სექტორის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ეკონომიკური პრობლემების დაძლევა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. **"დღევანდელი დღე ნამდვილად მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის. ჩვენ შევქმენით წარმატებული მოდელი იმისა, თუ როგორ შეიძლება, სახელმწიფომ და კერძო სექტორმა მოსახლეობის წინაშე მდგარი მწვავე პრობლემები ერთობლივად გადაჭრან. ეს არის ჯანსაღი თანამშრომლობის მაგალითი,"** - აღნიშნა თბილისის მერმა გიგი უგულავამ.

"ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის" ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში თერთმეტმა კომპანიამ 13 პაკეტად 25 ლოტი წარადგინა. მათგან 7 ლოტი არ დაფინანსდა. მერიის მიერ ერთ კვადარატულ მეტრ ფართზე გადახდილი მიწის საშუალო ფასი 750 დოლარია. 7 კომპანიის მიერ წარდგენილი პროექტების შესაბამისად, რომლებიც უკვე გამარჯვებულები არიან, საცხოვრებელი პირობები 2011 წლამდე 243 ოჯახს გაუუმჯობესდება, სახელმწიფოს საკუთრებაში კი ქალაქის სხვადასხვა უბანში 33 000 კვ მეტრი ფართობი დარჩება.

აღსანიშნავია, რომ პროექტში მონაწილე კომპანიების დაფინანსების სურვილი ოთხმა ბანკმა გამოთქვა. ესენია "საქართველოს ბანკი", "თიბისი ბანკი", "ბანკი რესპუბლიკა" და "ბანკი ქართუ". მათგან ყველაზე მეტს - 5 პროექტს "საქართველოს ბანკი" დააფინანსებს.

# საერთაშორისო სავალუტო ფონდი კონსტიტუციაზე მაღლა დგას

თინა შავაძე

საქართველოს ეკონომიკამ გადარჩენის გარანტიები გასულ წელს მეგობარი ქვეყნებისგან მიიღო. მიმდინარე და მომავალი სამი წლის განმავლობაში მისაღები საერთაშორისო დახმარება (ნაწილი საჩუქარია, ნაწილი - ვალი) ის ფინანსური ინსტრუმენტია, რომლის გამოყენებაც ქვეყნის ეკონომიკის აღდგენის მიზნით მოხდება. 4,5 მილარდი დოლარის ასათვისებლად განსხვავებული რგოლები არსებობს (არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, სამთავრობო სტრუქტურები), თუმცა თითოეულ მათგანს ერთნაირი უფლებამოსილება და ვალდებულება აქვს საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო კანონმდებლობის მიმართ. მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც.

საქართველოს პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე". მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტით, საქართველოს მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული სახელმწიფო ვალი არ დაექვემდებარება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ რატიფიკაციის პროცედურას.

წარმოდგენილი კანონპროექტით, "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის "ა" პუნქტი დაექვემდებარება ცვლილებას, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ვალად ჩაითვლება "საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალების ჯამური თანხა." კანონპროექტის თანახმად, კანონს აგრეთვე ემატება 4 მესამე მუხლი, რომლის თანახმადაც: "საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადების საფუძველზე საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გამოსათხოვი საფინანსო რესურსის მოცულობასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობა მიმართავს საქართველოს პარლამენტს საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გამოთხოვილი საფინანსო რესურსის ბიუჯეტში მიმართვის თაობაზე. საქართველოს პარლამენტი აღნიშნულ საკითხზე თავის თანხმობას გამოხატავს პარლამენტის დადგენილების სახით." ამ ცვლილების შესაბამისად, საქართველოს მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული სახელმწიფო ვალი არ დაექვემდებარება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ რატიფიკაციის პროცედურას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების თაობაზე დასკვნა წარუდგინა. დასკვნა ასოციაციის იურისტმა ლიანა ღვინიანიძემ მოამზადა. მისი განმარტებით: "აღნიშნული ნორმა ცალსახად ანტიკონსტიტუციურია და პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილთან, რომლის თანახმადაც "იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გარდა, რომლებიც ითვალისწინებენ რატიფიცირებას, სავალდებულოა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც: **დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასა და გაცემასთან."**

კონსტიტუციის მე-3 მუხლი სახელმწიფო ფინანსებსა და სახელმწიფო სესხს მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიაკუთვნებს. კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ სესხის აღების საკითხი ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორიც: საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლის, სამხედრო ხასიათის, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო საზღვრების შეცვლის საკითხები."

კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერი ხაზს უსვამს სახელმწიფოს მიერ სესხის აღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ხელისუფლების შტოთა შორის ბალანსის არსებობის მიზნით ადგენს საქართველოს პარლამენტის სათანადო ფორმით მონაწილეობას აღნიშნულ პროცესში. ეს კი გამოიხატება სესხის აღებისა და გაცემის თაობაზე დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირების აუცილებლობაში. შესაბამისად, ინიცირებული კანონპროექტი კონფლიქტში მოდის ქვეყნის კონსტიტუციასთან.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილებების გამომწვევი მთავარი ფაქტორი არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეგულაციები, რომლებიც "არ ითვალისწინებს რაიმე სახის ხელშეკრულების გაფორმებას დაფინანსების მიმღებთან". თუმცა, კანონპროექტით წარმოდგენილი ნორმის ახალი ფორმულირება ვერ შეცვლის სესხის აღების თაობაზე საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოხატული ნებისა და მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობას, არსს და ფორმას.

კანონპროექტით წარმოდგენილი პროცედურა საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან სესხის აღების თაობაზე ექცევა საერთაშორისო ხელშეკრულების დეფინიციის ფარგლებში. "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით საერთაშორისო ხელშეკრულება არის: საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით, განურჩევლად იმისა, წარმოდგენილია იგი ერთი თუ რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტით და მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა.

ლიანა ღვინიანიძის შეფასებით, სახეზეა ყველა აუცილებელი კომპონენტი. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, საქართველო იღებს გადწყვეტილებას საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გამოსათხოვი რესურსის მოცულობასთან დაკავშირებით, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამტკიცებს შესაბამის საფინანსო რესურსებს. თავისთავად, ორივე მხარე მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს წერილობითი ფორმით, რაც საკმარისი საფუძველია, აღნიშნული ჩაითვალოს მხარეთა შორის დადებულ შეთანხმებად - "განურჩევლად იმისა, წარმოდგენილია იგი ერთი თუ რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტით და მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა." შესაბამისად, სახეზეა სესხის თაობაზე დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც, კონსტიტუციის თანახმად, სავალდებულო რატიფიკაციის პროცედურას ექვემდებარება.

კანონპროექტთან დაკავშირებით "24 საათს" პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლაშა თორდია ესაუბრა.

- არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნით, განსახილველი საკანონმდებლო ცვლილებები ანტიკონსტიტუციურია. მაგალითად, ვალის რატიფიკაციის პროცედურას დადგენილება ცვლის.

**- პარლამენტი დღემდე დადგენილებით იღებდა ვალის აღებასთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო ნორმატიულ აქტს. ამიტომაც საუბარი ანტიკონსტიტუციურ ცვლილებაზე გადაჭარბებულია. თუ სახელმწიფო იღებს კრედიტს ან ვალს სხვა სახელმწიფოსგან, ყველა შემთხვევაში სათანადო საპარლამენტო განხილვა და კენჭისყრით საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა ხდება.**

- მაშინ რა საჭიროა აღნიშნული ცვლილებები?

**- ცვლილებებით შემუშავებული პროცედურა არის სესხის აღების აპრობირებული პრაქტიკა, რომელსაც ჩვენი საერთაშორისო მეგობრები გვთავაზობენ. ხშირად შესაძლებელია, ვალის აღებასთან დაკავშირებული ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრული არ იყოს, ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობას სათანადო ნაბიჯის გადადგმა სჭირდება, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე შეუძლებელია.**

- საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მთავრობის მიერ სახელმწიფო ვალის შესახებ ინიცირებული კანონპროექტის პრინციპებსა და მუხლებს ეთანხმება თუ არა?

**- სრულიად ვეთანხმებით. საკომიტეტო მოსმენაზე, როცა კანონპროექტი პირველი მოსმენით განიხილებოდა, მაშინ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების კრიტიკული დასკვნის შესახებ მთავრობამ სათანადო განმარტება გააკეთა. ვფიქრობ, მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინიციატივა მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოში ჯდება, ანუ აღებული ვალის პარლამენტში დადგენილების სახით კენჭისყრა შესაძლებელი გახდება.**

# მთავრობამ ქამრები გვიან შემოიჭირა

## ხარჯების გადანაწილება შემცირების ნაცვლად

ნინო ნატროშვილი



ეკონომიკური კვლევის ცენტრი გასულ წელს შესაბამისი სფეროს ეკონომიკური ექსპერტების მიერ დაფუძნდა. მისი ამოცანა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზია. ეკონომიკური ცენტრის კვლევის ობიექტივში, რომელიც ფონდ "ღია საზოგადოების" ფინანსური მხარდაჭერით ფუნქციონირებს, 2009 წლის ბიუჯეტი მოექცა. კერძოდ, ორგანიზაცია სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობის და ხარჯების სწორად გადანაწილების საკითხს სწავლობს.

სახელმწიფო ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა და მისი შესრულება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ განვითარებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. შესაბამისად, აუცილებელია ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მონიტორინგი, პრიორიტეტების ანალიზი და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მაქსიმალური ჩართვა," - ამბობს კვლევის ავტორი, ეკონომიკური ექსპერტი დავით ნარმანია.

საქართველოს 2009 წლის ბიუჯეტი ჯერ კიდევ წლის დასაწყისში (საგადასახადო შემოსავლების კუთხით) ნახევარი მილიარდი ლარით ანუ დაგეგმილის (4,76 მილიარდი ლარი) 10,6 პროცენტით შემცირდა. ამ ფონზე კიდევ უფრო არაადეკვატურად გამოიყურება 2009 წლის ბიუჯეტში ხარჯების ზრდა და სხვაობის სახელმწიფო ვალით დაფინანსების მცდელობა. ამდენად, ექსპერტების შეფასებით, 2009 წლის ბიუჯეტის ერთ-ერთ ნაკლოვანებად მისი, როგორც მაკროეკონომიკური დოკუმენტის, სისუსტე წარმოადგენს. "გარკვეული მიზეზების გამო ბიუჯეტი დღემდე ოპტიმისტურია და ბევრ ისეთ ხარჯს ითვალისწინებს, რომელთა დაფინანსებაც საბიუჯეტო შემოსავლების დეფიციტის გამო ვერ მოხერხდება. მთავრობა იძულებული იქნება, კიდევ უფრო გაზარდოს ვალის მოცულობა, კერძოდ კი, შიდა ვალის მოცულობა სახაზინო ვალდებულებების სახით. რითაც ამცირებს ადგილობრივ ფინანსურ ბაზრებზე საკრედიტო რესურსების მოცულობას. ეს თავის მხრივ შეამცირებს ისედაც შემცირებულ ეკონომიკურ აქტივობას," - ამბობს დავით ნარმანია.

ფინანსური კრიზისის გაღრმავების ფონზე, საქართველოს პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის მიერ 2009 წლის იანვარში ეგრეთ წოდებული "ქამრების შემოჭერის" პოლიტიკა გამოცხადდა, რომელიც, პარლამენტის მხარდაჭერის მიუხედავად, ბიუჯეტზე აისახა ექვსი თვის დაგვიანებით, 2009 წლის 11 ივლისს შეტანილი ცვლილებების შედეგად.

ეკონომიკური კვლევის ცენტრიც 2009 წლის 11 ივლისს განხორციელებულ ცვლილებებს დაეყრდნო და "ქამრების შემოჭერის" პოლიტიკის უმთავრესი ინსტრუმენტის მონიტორინგი ამ კუთხით განახორციელა.

როგორც დავითა ნარმანია განმარტავს, მთავრობას ხარჯები კი არ შეუმცირებია, არამედ მათი გადანაწილება მოხდა.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით, გაიზარდა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები. საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების, საშინაო-კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობისა და სოცილური დაცვის ხარჯები. საბოლოო ჯამში ბიუჯეტის ხარჯები გაზრდილი იქნა 195,617.5 ათასი ლარით (4,7 პროცენტით).

"ქამრების შემოჭერის" პოლიტიკა სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა განსხვავებული პრინციპებით განახორციელეს. როგორც დავით ნარმანია განმარტავს, "თუ ხარჯების მონიტორინგს ჩავატარებთ, ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ზოგიერთმა დაწესებულებამ ხარჯები გაზარდა კიდეც". კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ხარჯები გაზარდა ფინანსთა სამინისტრომ, იუსტიციის სამინისტრომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, შრომის და სოციალური დაცვის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

ნაცვლად იმისა, რომ საკანონმდებლო ორგანოს შეეზღუდა თანამდებობრივი სარგოების და პრემიების, დანამატების და დახმარებების გაცემა, პირიქით მოხდა და "ქამრების შემოჭერის" პოლიტიკის პირობებში "მწვანე შუქი" მისცა დაწესებულებებს ადმინისტრაციული ხარჯების გასაწევად.

ეკონომიკური კვლევის ცენტრის ექსპერტების შეფასებით, "ქამრების შემოჭერის" პოლიტიკის ფონზე მთავრობა არაეფექტური ხარჯებსაც ეწევა. კერძოდ, ქვეყნისთვის სუვერენული რეიტინგის მინიჭებისათვის გაწეულმა ხარჯმა 400 ათასი ლარი შეადგინა. ასევე "საინვესტიციო რისკების მართვის სააგენტოს" შექმნა და ფუნქციონირება 208.1 ათასი ლარით ფინანსდება, ეროვნული სამეცნიერო აუდიტი - 140 ათასი ლარი, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამები - 25,890 ათასი ლარი, პროგრამა მუნიციპალიტეტეის დასახლებაში მცხოვრები ოჯახების მინერალური სასუქით მომარაგების ხარჯები (ამონიუმის გვარჯილა) - 23,930.5 ათასი ლარი. 230 ათასი ლარითაა გაზრდილი სატყეო დეპარტამენტის საქონლისა და მომსახურების შესაძენი ხარჯები, ხოლო 400 ათასი ლარით - სატყეო ღონისძიებების ხარჯები. სხვადასხვა სამინისტროების მიერ გაწეულია ტელე და სხვა სარეკლამო ხარჯები, რომელთა ნაწილი არ ითვლება, როგორც სოციალური სახის რეკლამა.

ეკონომიკური კვლევის ცენტრი 2009 წლის ბიუჯეტის "ქამრების შემოჭერის" მონიტორინგს აგრძელებს. როგორც დავით ნარმანია განმარტავს, მალე მისი ორგანიზაცია საზოგადოებას კვლევის უფრო დეტალურ შედეგებს გააცნობს.

# გარემოს დაცვის სამინისტროში კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი განიხილეს

გარემოს დაცვის სამინისტროში გუშინ კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი განიხილეს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გოგა ხაჩიძემ არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საქართველოს მთავრობის კლიმატის ცვლილების პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსია წარუდგინა. დოკუმენტში წარმოდგენილია 3 წლის განმავლობაში მთავრობის ხედვა და პრიორიტეტული მიმართულებები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით.

**"გარემოს დაცვის სამინისტრომ მიიღო კლიმატის ცვლილებების სამწლიანი გეგმა. საერთაშორისო ორგანიზაციებს, არასამთავრობო სექტორს წარვუდგინეთ ეს გეგმა და მოვისმინეთ მათი შენიშვნები. საქართველო კლიმატის ცვლილებების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დამაბინძურებელი ქვეყანა არ არის, თუმცა გლობალური გამოწვევები ისევე გვეხება, როგორც სხვა ქვეყნებს,"** - განაცხადა გოგა ხაჩიძემ.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს კლიმატის ცვლილებების კუთხით ადაპტაციისა და სუფთა განვითარების მექანიზმის ეფექტურ გამოყენებას და ამ მხრივ ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში.

სააგენტო "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, მიმდინარე წლის დეკემბერში, ქალაქ კოპენჰაგენში კლიმატის ცვლილების კონვენციის მხარეთა შეხვედრა მოეწყობა.

## ერევანში შავი ზღვის თანამშრომლობის პროექტის - BSI კონფერენცია მიმდინარეობს

ერევანში შავი ზღვის თანამშრომლობის პროექტისადმი (BSI) მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა. პროექტი BSI ხორციელდება ევროკომისიის პროგრამის ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავს კავკასიის რეგიონში საერთაშორისო ქსელური ინფრასტრუქტურის მშენებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრებს შორის სწრაფი კავშირის უზრუნველყოფას. პროექტი BSI ერთ ქსელში გააერთიანებს აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ნაციონალური სამეცნიერო ცენტრები თავის მხრივ დაუკავშირდება 15 აკადემიურ ქსელს და 45 უნივერსიტეტს. შესაბამისად, 150 ათასი მკვლევარისა და სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი გახდება მაღალხარისხიანი ქსელური რესურსი, ხოლო ინტერნეტთან დაკავშირების სიჩქარე კვლევითი ცენტრებისთვის 2-დან 10-მდე გაიზრდება. კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს კვლევითი და საგანმანათლებლო ქსელური კავშირი, თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევითი საბჭო, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელური კავშირი, აზერბაიჯანის საგანმანათლებლო-კვლევითი ქსელების კავშირი. კონფერენციას მასპინძლობს სომხეთის სამეცნიერო და საგანმანათლებლო ქსელების ასოციაცია და სომხეთის მეცნიერებათა აკადემია.

## სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამას საზოგადოებრივი კომისია გააკონტროლებს

სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგის მიზნით, კახეთში, საზოგადოებრივი კომისია იქმნება. კომისია არასამთავრობო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი მედიასაშუალებების, სოციალური მომსახურების სააგენტოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებით და რიგითი მოქალაქეებით დაკომპლექტდება. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია ძადამიანის უფლებათა ცენტრის" კახეთის ოფისში განმარტეს, სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამა კახეთში არაეფექტურად ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში სოციალურ დახმარებას ვერ იღებს ბევრი ისეთი ოჯახი, რომელიც დახმარებას რეალურად საჭიროებს. პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის საზოგადოებრივი კომისია გაუფრთხილებლად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების სოციალურ - ეკონომიკურ მდგომარეობას ადგილზე გადაამოწმებს. შემოწმების შემდეგ კომისია რეკომენდაციებს მოამზადებს, რომელსაც სოციალური მომსახურების სააგენტოს და ჯანდაცვის სამინისტროს გაუგზავნის. წინასწარი ინფორმაციით, კომისიის წევრები თავდაპირველად გურჯაანის რაიონში იმუშავებენ, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ კომისიის მუშაობა უახლოეს დღეებში კახეთის სხვა მუნიციპალიტეტებშიც გავრცელდეს. საზოგადოებრივი კომისიის წევრები მუშაობისათვის საჭირო ტრანსპორტირების ხარჯებს თავად გაიღებენ.

## მევენახეები: შტაბის თანამშრომლები ქეიფსა და დროსტარებას ეწევიან

გურჯაანელი მევენახეები რთველი - 2009 საკოორდინაციო შტაბის თანამშრომლებს დაუპირისპირდნენ. მევენახეთა თქმით, შტაბის ცხელი ხაზის ნომრებზე ან არ პასუხობენ, ან გლეხებს არასწორ ინფორმაციას აწვდიან. მევენახე ავთანდილ ზარდიაშვილის განცხადებით, შტაბს გუშინ დაუკავშირდა და ჰიბრიდული ჯიშის ყურძნის ჩაბარების თაობაზე ინფორმაციის მიღება ითხოვა. შტაბის წარმომადგენელმა მას ტელეფონით აუხსნა, რომ ჰიბრიდული ჯიშის ყურძენს ყვარელში, ახალსოფლის ღვინის ქარხანა დღეს ჩაიბარებდა. მევენახემ ვენახის ნაწილი დაკრიფა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ახალსოფლის ღვინის ქარხანა ჰიბრიდული ჯიშის ყურძენს დღეს არ იბარებს. მევენახე იძულებული გახდა, 2 ტონამდე ყურძენი სახლში დაეწურა. როგორც დღეს, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ოფისში მოსულმა მევენახეებმა აღნიშნეს, ინფორმაციის დასაზუსტებლად შტაბში არაერთხელ იყვნენ, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქციათ. მათი თქმით, რამდენჯერაც მივიდნენ, იმდენჯერ უთხრეს, რომ შტაბის წევრები საუზმობენ. რთველი - 2009 საკოორდინაციო შტაბის უფროსის ტარიელ გაბუნიას განცხადებით, ჰიბრიდული ჯიშის ყურძნის მიღებას ყვარლის რაიონის ახალსოფლის ღვინის ქარხნა ხვალ დაიწყებს. რაც შეეხება მევენახეთა პრეტენზიებს, შტაბის თანამშრომლების დროსტარებასთან დაკავშირებით, გაბუნიამ ყვირილით უპასუხა, რომ "ზოგიერთი იდიოტი გლეხის გაუაზრებელ ნაბოდვარს ყური არ უნდა დავუგდოთ".

## ხვალ, სოფელ ჭიკაანში მცხოვრებ 50-მდე ოჯახს სახლებიდან გაასახლებენ

ხვალ, 01 ოქტომბერს, 09:00 საათზე, კახეთის სააღსრულებო ბიურო სააღსრულებო პოლიციის დახმარებით, ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანში მცხოვრები 50 ოჯახის საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლებას გეგმავს.

შპს "თბილისის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის" გადაწყვეტილებით, ათობით ოჯახს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ფინკა - საქართველოს" სასარგებლოდ დავალიანების გადახდა დაეკისრა, ჯარიმებთან ერთად. ამ გადაწყვეტილების გამოტანამდე, ჭიკაანის მაცხოვრებლები სესხებს ფარავდნენ, თუმცა აღმოჩნდა, რომ "ფინკა საქართველოს" თანამშრომლები აღნიშნულ თანხებს ითვისებდნენ და მოვალეებს ყალბ ქვითრებს აძლევდნენ.

მომხდარზე რამდენიმე თვის წინ გამოძიებაც დაიწყო. სამართალდამცავებმა თაღლითობაში ეჭვმიტანილები "ფინკას" კახეთის ფილიალის საკრედიტო ოფიცერი ნიკოლოზ ჩაჩანიძე და საკრედიტო ექსპერტი გიორგი საქუაშვილი დააკავეს. კახეთის საოლქო პროკურატურის ინფორმაციით, ორივე მათგანმა დანაშაული აღიარა, თუმცა ამით დაზარალებულ მოსახლეობას არაფერი ეშველა. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მათგან დავალიანების დაფარვას მაინც ითხოვს. დამოუკიდებელი იურისტების განმარტებით, პროკურატურას შეეძლო გამოძიების დამთავრებამდე აღსრულების შეჩერება მოეთხოვა, თუმცა პროკურატურას ეს არ გაუკეთებია.

## მკვლელობების სერია მარნეულში

გუშინ, მარნეულში 30 წლის ვლადიკ ასკაროვმა სამი ადამიანი მოკლა და მიიმალა. ასკაროვმა თავდაპირველად 20 წლის საცოლე - ფლორა ზეინალოვა ჯერ მოგუდა, შემდეგ დანით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა და მარცხენა ხელის მტევანი მოკვეთა.

თვითმხილველთა თქმით, მოგვიანებით ასკაროვი მარნეულის ცენტრიდან ტაქსით დმანისში ჩავიდა. თუმცა, ტაქსის მძღოლსაც სასტიკად გაუსწორდა. 67 წლის ჯაპანგირ ჯაფაროვი სამართალდამცველებმა თავის მანქანაში იპოვეს მოკლული. მას არტერია ჰქონდა გადაჭრილი და საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. ამის შემდეგ ასკაროვი დმანისის ერთ-ერთ მაღაზიაში შევიდა, სადაც მისი დეიდა მუშაობდა. მან დეიდა და იქ მყოფი კიდევ ორი ქალი დაჭრა და ადგილიდან მიიმალა. ერთ-ერთი ქალბატონი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მეორე დაჭრილის მდგომარეობა მძიმეა. ეჭვმიტანილის დეიდის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ეჭვმიტანილი სამივე შემთხვევაში ცივი იარაღით მოქმედებდა. ახლობლების განცხადებით, იგი სავარაუდოდ, ფსიქიკურადაა შეშლილი. სამართალდამცველები ვლადიკ ასკაროვს ამ დრომდე ეძებენ. მომხდარ მკვლელობებზე სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. **პირველი**

## კუდ-მა მებაჟე დააკავა

შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა წითელ ხიდზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად სამი პირი დააკავეს.

დაკავებულია მებაჟე ზურაბ კირთაძე და ორი მეწარმე - შპს "იბერიატრეიდინგის" თანამშრომლები ზურაბ ინასარიძე და გელა ნოზაძე. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის სოსო თოფურიძის განცხადებით, კირთაძე ეჭვმიტანილია საბაჟო გადასახადების დამალვასა და ბიუჯეტისთვის რამდენიმე ათასი ლარის ზიანის მიყენებაში. დანაშაული 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. **ინტერპრესნიუსი**

## სახალხო დამცველის ახალი მოადგილე

ახალი სახალხო დამცველის გიორგი ტუღუშის მოადგილე ტატა ხუნწარია უფლებამოსილების შესრულებას დღეიდან შეუდგება. ტატა ხუნწარია 1998-2002 წლებში ევრაზიის ფონდში რეგიონალური პროგრამების თანაშემწედ, შემდგომ კი გრანტების მენეჯერად მუშაობდა. 2002-2007 წლებში ეუთო-ს მისიაში ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარის ოფისის ხელმძღვანელი იყო. 2007-2008 წლებში საარჩევნო სისტემის საერთაშორისო ფონდში გრანტების უფროსის მენეჯერად მუშაობდა.

1995 წელს დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. 1996-1997 წლებში ბუდაპეშტში ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში საკონსტიტუციო სამართლის სპეციალობით სწავლობდა. სახალხო დამცველს კანონის მიხედვით ერთი მოადგილე ჰყავს. რაც შეეხება სახალხო დამცველის ყოფილ მოადგილეს გიორგი ჩხეიძეს, ის "ახალგაზრდა იურიტთა ასოციაციაში" დაბრუნდა. **ინტერპრესნიუსი**

## ადვოკატი სოდ-ის თანამშრომელი აღმოჩნდა

ადვოკატთა პროფკავშირების თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი საქართველოს მთავარ პროკურატურას ადვოკატთა კორპუსის განზრახ დისკრედიტაციაში ადანაშაულებს. როგორც გამართულ პრესკონფერენციაზე ხატიაშვილმა განაცხადა, ბოლო დროს არაერთი სიუჟეტი გადაიცემა ტელეეთერით, რომელიც ადვოკატების თაღლითობას და დაკავებას შეეხება. ხატიაშვილის განცხადებით, დაინტერესდა ერთ-ერთი დაკავებული ადვოკატის კახა ვიბლიანის საქმით და აღმოჩნდა, რომ ეს პირი არა ადვოკატი, არამედ სოდ-ის თანამშრომელი იყო.

"აღმოჩნდა, რომ ვიბლიანი რამდენიმე თვის წინ სოდ-ის თანამშრომელი იყო, რომელსაც მოქალაქისთვის ნარკოტიკიც კი ჰქონდა "ჩადებული," - განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

## 22 წლის გიგა გურგენაშვილის ადგილსამყოფელი უცნობია

ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში მცხოვრები გურგენაშვილების ოჯახი პოლიციას უმოქმედობაში ადანაშაულებს. ნათელა გურგენაშვილის ინფორმაციით, მისი შვილი, 22 წლის გიგა გურგენაშვილი 3 სექტემბერს დაიკარგა და ამ დრომდე არც მკვდარი და არც ცოცხალი არ ჩანს.

დაზუსტებული ინფორმაციით, გიგა გურგენაშვილი ბორჯომის რაიონის სოფელ წითელსოფელში აკაკი ქართველიშვილის კუთვნილ ფერმაში მწყემსად მუშაობდა. გასამრჯელოს სახით ის ყოველთვიურად 60 ლარს იღებდა. აკაკი ქართველიშვილის განცხადებით, 3 სექტემბერს, მისი დავალებით, გიგა გურგენაშვილი და კიდევ ერთი აზერბაიჯანელი მწყემსი სალამანი, საქონელს მოერეკებოდნენ.

"წალკის რაიონის ერთ-ერთ სოფელში გიგას და სალამანს ლუდი დაულევიათ, რის შემდეგაც მათ შორის კამათი მომხდარა. საქონელი სალამანმა გურჯაანის რაიონში მარტომ ჩამოიყვანა. როცა გიგა მოვიკითხეთ, გვითხრა, რომ ის წალკის ერთ-ერთ სოფელში დარჩა," - ამბობს აკაკი ქართველიშვილი.

გიგა გურგენაშვილის დაკარგვის შესახებ ქართველიშვილმა პოლიციას თავად აცნობა. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე შს გურჯაანის სამმართველოშია აღძრული.

დაკარგულის დედის ნათელა გურგენაშვილის ვარაუდით, მისი შვილი მოკლულია.

# 27 განსასჯელის დუმილი და ერთი გენერლის ჩვენება

*მუხროვანის ამბოხის საქმის სასამართლო განხილვა მოწმეთა დაკითხვის სტადიაზე გადადის. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოსთვის ჩვენება ჯერ ყველა განსასჯელს არ მიუცია, მომდევნო სხდომები სწორედ მოწმეების დაკითხვას დაეთმობა. საქმე ისაა, რომ განსასჯელებმა, რომელთა დაკითხვითაც უნდა გაგრძელებულიყო სასამართლო პროცესი, ჩვენებების მიცემაზე გუშინ უარი განაცხადეს და დუმილის უფლება გამოიყენეს. სასამართლო სხდომას 41 განსასჯელიდან 28 ესწრებოდა. რაც შეეხება დანარჩენ 13 განსასჯელს, მათი საქმეები უკვე ცალკე სისხლის სამართლის საქმედ არის გამოყოფილი და განაჩენს უახლოეს დღეებში მათ სხვა მოსამართლე გამოუტანს. საუბარია, საპროცესო შეთანხმებაზე, რომელიც პროკურატურასა და 13 განსასჯელს შორის შედგა. ჩვენი ინფორმაციით, საპროცესო გარიგების საფუძველზე, მუხროვანის ამბოხის მთავარ გმირს გია ღვალაძეს 2-წლიან პატიმრობას მიუსჯიან. 3, 4 და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა - ასეთი იქნება დანარჩენ 12 განსასჯელთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების შედეგი.*

ხათუნა ჭანგირაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესში აღარ მონაწილეობს პროკურატურის ძირითადი მოწმე და კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად ამბოხის მზადებაში ბრალდებული გია ღვალაძე, რომლის ჩვენებაც კობა კობალაძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის ერთადერთი მტკიცებულებაა, ღვალაძის მიერ წინასწარი გამოძიებისთვის და სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენებები გუშინ კვლავ განხილვის საგანი იყო.

**"გია ღვალაძესთან საპროცესო შეთანხმება მაშინ გაფორმდა, როდესაც მისი დაკითხვა დასრულებული არ იყო. არადა, ჩვენ ღვალაძისთვის უამრავი შეკითხვის დასმას ვაპირებდით, მასთან საპროცესო გარიგების შედეგად კი ამის საშუალება აღარ მოგვეცა. მოვითხოვთ, ღვალაძემ მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში, მოწმის სტატუსით, რათა შეკითხვები, რომლებსაც სწორედ ღვალაძემ უნდა გასცეს პასუხი, კვლავ გაურკვეველი და პასუხგაუცემელი არ დარჩეს,"** - კობა კობალაძის ადვოკატების ამ პოზიციას სხვა განსასჯელების ინტერესების დამცველებიც დაეთანხმნენ, თუმცა ადვოკატების ეს მოთხოვნა უსაფუძვლო და მიუღებელი აღმოჩნდა, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლებისთვის, ასევე მოსამართლე ჯემალ კოპალიანისთვის.

**"სასამართლომ ამოწურა გია ღვალაძის დაკითხვის პროცედურა და შეკითხვების დასმაში არავინ ყოფილა შეზღუდული. მისი წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებების გამოქვეყნების შემდეგ, შეგიძლიათ თქვენი შეფასებები გამოხატოთ,"** - ასეთი პასუხი გასცა მოსამართლემ ადვოკატების მოთხოვნას.

**"თავს არ ვცნობ დამნაშავედ და ვიყენებ დუმილის უფლებას,"** - სასამართლოსთვის ჩვენების მიცემაზე უარი თქვეს გუშინ განსასჯელებმა ვანო საბიაშვილმა, იმედა საგინაშვილმა, ვაჟა საგინაშვილმა, ზვიად ჯაჭვაძემ, ზაზა მურჯიკნელმა, ირაკლი თოფურიძემ, ვაჟა ხუცურაულმა, ზურაბ მიქაძემ, ნიკოლოზ ბიბილაშვილმა, ალექსანდრე ბეგოიანმა, ბესიკ ფოცხვერაშვილმა, ბექა გრიგალაშვილმა, კახა კობაიძემ, კობა ოთანაძემ.

ჩვენების მიცემაზე ასევე უარი თქვეს და დუმილის უფლება გამოიყენეს მუხროვანის ბატალიონის უფროსმა შოთა გორგიაშვიმა და ლევან ამირიძემაც. თუმცა, მათ სასამართლოს განუცხადეს, რომ თავს დამანაშავედ ცნობენ მხოლოდ დაუმორჩილებლობაში და არა ამბოხში.

ერთადერთი, ვინც გუშინდელ სხდომაზე სასამართლოს ჩვენება მისცა, ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი კობა კობალაძე იყო.

**"თავს არ ვთვლი დამნაშავედ და მინდა გავერკვე, რისთვის ვზივარ აქ. იქნებ ვინმემ ამიხსნას და პირადი ცნობისმოყვარეობა მაინც დავიკმაყოფილო,"** - განაცხადა განსასჯელმა კობა კობალაძემ, რომელიც თითქმის ყველა სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემისთვის მზადყოფნას გამოთქვამდა და ითხოვდა, დაეკითხათ.

სახელმწიფო ბრალმდებლებმა გუშინ მას მხოლოდ სამი შეკითხვა დაუსვეს და სამივე მათგანი კობა კობალაძის ბიოგრაფიასა და სამხედრო მოღვაწეობას უკავშირდებოდა. იმის დეტალურად ასახსნელად, სამხედრო მოღვაწეობის რა ეტაპები გაიარა წლების განმავლობაში, როგორ შედგა მისი სამხერო კარიერა, რა საბრძოლო მოქმედებებში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, უცხოეთის რომელ სამხედრო სასწავლებლებში სწავლობდა და საქართველოს სამივე პრეზიდენტისგან რა სამხედრო ჯილდოები ჰქონდა მიღებული სხვადასხვა დროს მხედრული მამაცობისთვის, კობა კობლაძეს რამდენიმე საათი დასჭირდა. რაც შეეხება მუხროვანის ამბოხთან მის კავშირს, როგორც თავად განსასჯელმა განაცხადა, ამის შესახებ არაფერი იცის, გარდა იმისა, როგორ დააკავეს, წაიყვანეს "მოდულის" შენობაში და უთხრეს, რომ უნდა დაეწერა, როგორ ამზადებდა სამხედრო ამბოხს.

**"გამომძიებელი ჩემთან არ მოსულა და შეკითხვა არ დაუსვამს. რისთვის ვარ აქ, დღემდე არ ვიცი. გია ღვალაძესთან არასდროს მქონია ურთიერთობა. მით უმეტეს, სუფრასთან ერთად არასდროს ვმსხდარვართ. რა ფანტაზიები აქვს ამ კაცს, არ ვიცი. ციხეში ხან ვინ მომიგზავნა და ხან ვინ, მაპატიოს, რაც მასზე ვთქვი, ყველაფერი ტყუილიაო. მისი პირველი ადვოკატიც მოვიდა ჩემთან და მთხოვა, ერთი-ორი სიტყვა იქნებ უთხრა, ისე განიცდის, შეიძლება თავი მოიკლასო. იხვეწებოდა, დედა არ შემაგინოსო. არ შევაგინებ. სასამართლო დარბაზიდან გასვლისას მეუბნებოდა: "ბოდიში, მაპატიე გენერალოო". ამ ფაქტს ბევრი მოწმე ჰყავდა აქ, ამოიღეთ დარბაზში დაყენებული სათვალთვალო კამერებიდან მასალები და დარწმუნდებით,"** - განაცხადა კობა კობალაძემ. მისივე ჩვენების მიხედვით, ის მარტში საქართველოში თითქმის არ ყოფილა. **" გია ღვალაძე ამიტომაც ვერ ამბობს ზუსტ თარიღს, როდის მნახა რესტორან "არაგვში,"** - განაცხადა განსასჯელმა.

რაც შეეხება მუხროვანის ამბოხის საქმეში სხვა ბრალდებულებს. როგორც ეროვნული გვარდიის ყოფილმა სარდალმა განმარტა, არც კობა ოთანაძესთან ჰქონია ურთიერთობა. მისივე ჩვენებით, ლევან ამირიძე მისი გაზრდილი ჯარისკაცი იყო, გარდაცვლილი გია კრიალაშვილი კი - მისი ახლობელი.

**"აბსოლუტურად აპოლიტიკური ადამიანი ვარ. არასდროს პოლიტიკური განცხადება არ გამიკეთებია. 2004 წელს, მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციის სამხედრო აღლუმს ვუხელმძღვანელე, ცოტა ხანში დავწერე პატაკი და თადარიგში გადავედი. ბოლო დროს, კუდ-ისა და სოდ-ის მთელი განყოფილებები ჩემს თვალთვალსა და დევნაში იღებდნენ ხელფასს. ესკორტებით დამყვებოდნენ და მაცილებდნენ ხოლმე. მეგობრები და ახლობლები ოპოზიციაშიც მყავს და პოზიციაშიც. ჩემთან მოვიდნენ ვილაც-ვილაც მაღალჩინოსნები და მითხრეს, რომ საქართველო უნდა დამეტოვებინა, რაზეც სასტიკი უარი განვაცხადე. სერიოზული პოტენცია გაქვს და არის საშიშროება, რომ შენც და შენი პოტენციალიც რომელიმე ოპოზიციურმა ძალამ გამოიყენოსო - ასე ამიხსნეს ამ მოთხოვნის მიზეზი,"** - განაცხადა კობა კობალაძემ.

მან აგვისტოს ომის პერიოდიც გაიხსენა და თქვა, რომ გორში ყოფნისას პატაკი დაწერა ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის სახელზე და მერიის შენობაში ის პრეზიდენტის ბიძას თემურ ალასანიას გადასცა. **"გთხოვთ, გამოიყენოთ ჩემი სამხედრო განათლება და გამოცდილება თქვენი შეხედულებისამებრ ქვეყნის სასარგებლოდ," - ასეთი იყო ამ პატაკის შინაარსი, რაზეც პასუხი არ მიმიღია,"** - განაცხადა კობა კობალაძემ.

# "უდოს" განახლებულმა კომისიამ 75 პატიმრის საქმე განიხილა

*სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში გუშინ პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების, ე.წ. უდოს კომისიის პირველი განახლებული სხდომა გვიან ღამემდე გაგრძელდა. სხდომის, რომელიც ჟურნალისტებისთვის დახურული იყო, შედეგები დღეს გახდება ცნობილი.*

უფრო ზუსტად, დღეს გახდება ცნობილი, თუ რამდენი პატიმრის საქმე გადაიგზავნება სასამართლოში. ახალმა კომისიამ იმ 75 მსჯავრდებულის განაცხადი განიხილა, რომლებიც პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებას პირველად ითხოვენ და მათი განცხადებები კომისიაში 1 სექტემბრიდან 5 სექტემბრამდე შევიდა.

იმ პატიმართა საქმეები, რომელთა განაცხადსაც კომისია დააკმაყოფილებს, სასამართლოს გადაეგზავნება და მსჯავრდებულებს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეეცვლებათ აღმკვეთი ღონისძიება. 2010 წლიდან ამ პროცესში სასამართლოს მონაწილეობა საჭირო აღარ იქნება და პატიმრის ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხს მხოლოდ უდო-ს კომისია გადაწყვეტს.

"პატიმართა შესახებ კანონში" შეტანილი ცვლილებებით, რომელიც პირველ სექტემბერს ამოქმედდა, შეიცვალა პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის დაკომპლექტების პრინციპი. კომისიაში შევიდნენ პარლამენტის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, რაც ადრე არ იყო.

ახალი კომისია 28 სექტემბერს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა წარადგინა, კომისიის თავმჯდომარედ მინისტრის მოადგილე ლევან ზარანდია დაინიშნა. თავად სამინისტროს კომისიაში 6 წარმომადგენელი ეყოლება, პარლამენტის ქვოტით კი მის შემადგენლობაში უმრავლესობიდან - გია არსენიშვილი, ხოლო უმცირესობიდან დიმიტრი ლორთქიფანიძე იმუშავებენ. რაც შეეხება არასამთავრობო სექტორს, კომისიის წევრად მინისტრმა ნინო მესტუმრიშვილი დაასახელა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ბრიტანელი ლეიბორისტები არჩევნების წინ გაერთიანებას ცდილობენ

მარიკა იაშვილი



"ლეიბორისტული პარტიის" კრება, რომელიც დიდ ბრიტანეთში მიმდინარეობს, მმართველი პარტიისთვის 2010 წლის არჩევნების წინ მოქმედებათა კოორდინაციის უკანასკნელი შანსია.

მმართველი პარტიის კონფერენცია, რომელიც არჩევნებამდე ბოლო შეკრებაა, საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობს.

გამოკითხვების თანახმად, თუ პარტია არჩევნებში მონაწილეობას გორდონ ბრაუნის ხელმძღვანელობითა და ამ დროისთვის არსებული რეიტინგით მიიღებს, დამარცხება გარდაუვალია.

თუმცა, როგორც ბრაიტონში შემდგარი პირველი გამოსვლებიდან და მთავრობის წევრთა და პარტიის აქტივისტთა მიერ გამოთქმული შეხედულებებიდან ჩანს, ლეიბორისტებისთვის დღესდღეობით მთავარი ერთიანობის შენარჩუნებაა.

კონფერენციის პირველი დღის მთავარ მოვლენად ფინანსთა მინისტრ ალისტერ დარლინგის გამოსვლა იქცა.

მთავარი მიზეზად, რის გამოც დარლინგის გამოსვლას ყველა მოუთმენლად ელოდა, ფინანსთა მინისტრის მიერ გაზეთ "ობსერვერისთვის" მიცემული ინტერვიუ იქცა, რომელშიც დარლინგმა განაცხადა, რომ "ლეიბორისტული პარტიის" მთელმა ხელმძღვანელობამ "სიცოცხლის ძალა დაკარგა."

თავის გამოსვლაში მინისტრმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ როგორ აპირებს ბრიტანეთის ეკონომიკის მყარი ზრდის უზრუნველყოფას. სამომავლო გეგმებზე საუბარი კი მან ყველაზე მწვავე თემით დაიწყო - არის თუ არა საჭირო ბანკირებისთვის ასეთი დიდი პრემიების გადახდა.

პარტიის წევრების წინაშე გამოსვლისას ალისტერ დარლინგმა აღნიშნა, რომ ლეიბორისტები უნდა ამაყობდნენ იმით, თუ როგორ გაუმკლავდა პარტია ეკონომიურ კრიზისს და შეკრებილ საზოგადოებას მოუწოდა, ეს ფაქტი ისე მიიღონ, როგორც ქვეყნის ისტორიის "დიდებული ფურცლები."

მინისტრის განცხადებით, ის, რომ მსოფლიოში არსებული რეცესიის მომავალ დეპრესიაში გადაზრდა არ მოხდა, სწორედ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბრაუნის, როგორც გამოკვეთილი ლიდერის დამსახურებაა.

დარლინგმა პირობა დადო, რომ მისი ოფისი უახლოეს პერიოდში პარლამენტში განსახილველად ახალ კანონპროექტს შეიტანს, რომელიც საბანკო პრემიების მკაცრად შემცირებისკენ იქნება მიმართული. ასეთი სიდიდის პრემიები, მისი თქმით, "სიხარბესა და უგუნურებას" გამოხატავს.

გარდა ამისა, ალისტერ დარლინგმა ეკონომიკისადმი კოსერვატორთა მიდგომას "აშკარად საშიში" უწოდა.

ბრაიტონის შეკრებაზე ჩასულმა დელეგატებმა, მთავრობის წევრებმა და "ლეიბორისტული პარტიის" აქტივისტებმა მოახლოებული არჩევნებისთვის პარტიის პერსპექტივები შეაფასეს. ამ დროისთვის "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერისა და ქვეყნის პრემიერ გორდონ ბრაუნის რეტინგის 27 პროცენტამდე დაცემის გამო ლაპარაკია არა იმაზე, შეძლებენ თუ არა ლეიბორისტები ხელისუფლებში მეოთხე ვადით დარჩენას, არამედ იმაზე, შეძლებენ თუ არა ისინი ისეთ ძალად ჩამოყალიბებას, რომელიც ამომრჩეველსა და ქვეყანას ბრიტანეთისთვის რთულ პერიოდში ახალ ორიენტირებს შესთავაზებს. კონფერენციის დაწყების წინა დღეს ჟურნალისტებთან საუბრისას ბრაუნი აცხადებდა, რომ ეკონომიკის სფეროში უპრეცედენტო ზომების მიღებას აპირებს.

**"ჩვენ გავწმენდთ ამ სისტემას ერთხელ და სამუდამოდ,"** - განაცხადა მან და დაამატა, რომ მის მიერ მიღებული ზომები **"იქნება ყველაზე მკვეთრი, რაც კი მსოფლიოს რომელმე ქვეყანას ოდესმე მიუღია."**

გორდონის გამოსვლამ ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ლეიბორისტების ერთ-ერთ მედიაპარტნიორზე, პოპულარულ ტაბლოიდ "სან"-ზე, თუმცა ალბათ ამ გამოცემის განწყობის ცვლილება მხოლოდ გორდონის ერთი გამოსვლის ბრალი არ არის. ოთხშაბათს ამ ჟურნალის პირველ გვერდზე დაიბეჭდა სტატია სათაურით: "ხელისუფლებაში ყოფნის 12 გრძელი წლის შემდეგ ეს მთავრობა დაიბნა". სტატიაში მკვეთრად არის გაკრიტიკებული ხელისუფლების პოლიტიკა და მთავრდება სიტყვებით: "სანი" ... ლოცულობს იმისთვის, რომ კონსერვატორებმა ჩვენი ქვეყნისგან კვლავ შექმნან დიდი ბრიტანეთი". ტაბლოიდი "სანი" ლეიბორისტების აქტიური მომხრე იყო 1997 წლიდან.

ბრიტანული კანონმდებლობის თანახმად, მომდევნო საყოველთაო არჩევნები დიდ ბრიტანეთში 2010 წლის 3 ივნისამდე უნდა ჩატარდეს.

# მსოფლიოში ცნობილი თაღლითი დაპატიმრებულია

*ამერიკაში, ვერმონტის შტატის პოლიციელებმა დააკავეს საერთაშორისო მასშტაბის ცნობილი თაღლითი, კოლუმბიელი ხუან-კარლოს გუსმან-ბეტანკური, რომელიც წლების მანძილზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფეშენებლურ სასტუმროებში თაღლითობდა. მას ათამდე ყალბი პასპორტი ჰქონდა და მოგონილი გვარით და სახელით საქმიანობდა.*
*სახელგანთქმულ თაღლითს წლების მანძილზე ეძებდნენ დიდი ბრიტანეთის, ამერიკის, კანადის, კოლუმბიის, იაპონიის, მექსიკის, რუსეთის, ტაილანდის და ვენესუელას სამართალდამცველი უწყებები.*



გუსმან-ბეტანკურის საქმიანობის ძირითადი სქემა ასეთი იყო: ის ძვირადღირებული სასტუმროს ადმინისტრაციას ეცნობოდა მუდმივი კლიენტის სახელით და ითხოვდა გაეხსნათ ძვირადღირებული ნივთების შემნახველი სეიფი. იგი ახერხებდა ადმინისტრაციის წარმომადგენლის დარწმუნებას, რომ დაავიწყდა საიდუმლო კოდი. ტრადიციულად, სასტუმროების ადმინისტრაციის წარმომადგენლები მის ტყუილს იჯერებდნენ და უხსნიდნენ სეიფს, საიდანაც გუსმან-ბეტანკურს ძვირფასეულობა გაჰქონდა.

კოლუმბიელი თაღლითის კრიმინალური კარიერა 1993 წელს დაიწყო, როცა იგი მაიამის აეროპორტის ასაფრენ ბილიკზე იპოვეს. მაშინ გუსმან-ბეტანკურმა განაცხადა, რომ იგი 13 წლის იყო, სრულიად უპატრონო და კოლუმბიიდან ამერიკაში ჩამოფრინდა თვითმფრინავის შასებზე დაკიდებული. პატარა კოლუმბიელის ამერიკაში სენსაციური ჩაფრენის ფაქტს ამერიკული პრესა გამოეხმაურა, გუსმან-ბეტანკურმა ადგილობრივი მოსახლეობისგან დიდძალი საჩუქრები და სოლიდური ფულადი დახმარებაც კი მიიღო. თუმცა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ გუსმან-ბეტანკური რეალურად 17 წლის იყო, მშობლები და და-ძმაც ჰყავდა და არც შასებზე დაკიდებულს უფრენია მაიამამდე. მან პირველი დიდი ტყუილი წინასწარ მოიფიქრა და მოახერხა კიდეც მაიამის აეროპორტის ასაფრენ ბილიკზე შეპარვა.

2005 წელს გუსმან-ბეტანკური დიდ ბრიტანეთში დააპატიმრეს და 3,5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს - 150 ათასი ფუნტის ღირებულების ძვირფასეულობის, 240 ათასი დოლარის და სხვა ძვირადღირებული ნივთების მოპარვისთვის.

ორთვიანი პატიმრობის შემდეგ კოლუმბიელი ციხიდან გაიქცა, მან შეძლო ციხის ადმინისტრაციის დარწმუნება, რომ კბილის ექიმთან ზედამხედველის გარეშე გაეშვათ. კბილის ექიმთან წასული გუსმან-ბეტანკური საკანში აღარ დაბრუნებულა.

**"ის უნიკალური ნიჭითაა დაჯილდოებული, ბრწყინვალედ ტყუის. ამას აკეთებს ძალზე დამაჯერებლად და პროფესიონალურად,"** - განაცხადა დიდ ბრიტანეთში 2005 წელს გამართულ პროცესზე ბრიტანელმა პოლიციელმა ენდი სვინდელსმა.

33 წლის სახელგანთქმული თაღლითი ორი დღის წინ "ჩავარდა" იგი ვერმონტში, კანადის სიახლოვეს იმ დროს დააპატიმრეს, როცა ფეხით გადაკვეთა საზღვარი. ამერიკელმა მესაზღვრემ იგი ადგილობრივი მაცხოვრებლის შეტყობინების საფუძველზე დააკავა. გუსმან-ბეტანკურმა მესაზღვრეს განუცხადა, რომ მანქანა გაუფუჭდა და დაბნეულმა საზღვარი შემთხვევით გადაკვეთა. მას აღმოუჩინეს ხორდი ეხარკეროდრიგესის სახელზე გაცემული ესპანეთის პასპორტი, რომელში არსებული მონაცემებითაც, მას გადაკვეთილი ჰქონდა თურქეთის, იორდანიის, ეგვიპტის, არაბთა გაერთიანებული საემიროს და ბახრეინის საზღვრები.

დაკავებული კარგა ხანს უარყოფდა ნამდვილ ვინაობას, მას შემდეგაც, რაც თითების ანაბეჭდი აუღეს და მისი იდენტიფიკაცია მოხდა.

**"კოლუმბიელის დანაშაულებრივი საქმიანობა იმდენად მასშტაბურია, რომ ის თავისუფლად შეიძლება ფრენკ ებეგნეილს შევადაროთ, რომლის თაობაზეც სტივენ სპილბერგმა გადაიღო ფილმი სახელწოდებით "დამიჭირე, თუ შეგიძლია,"** - სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა ამერიკელმა პროკურორმა.

ამერიკის ხელისუფლება ამ დროისთვის განიხილავს მისი კოლუმბიაში ექსტრადიციის საკითხს.

# ძალადობისგან ყოველდღიურად 4 ათასი ადამიანი იღუპება

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტთა მტკიცებით, ძალადობისგან მსოფლიოში ყოველწლიურად 1,6 მილიონი ადამიანი, ყოველდღიურად კი, 4 ათასი ადამიანი იღუპება.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გაკეთებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ გარდაცვლილთა 30 პროცენტი საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტის მსხვერპლია. 50 პროცენტი კი, თვითმკვლელები არიან. საერთო სტატისტიკით, 35 პროცენტზე მეტი კვდება კონფლიქტისას მიღებული სასიკვდილო ჭრილობებით. დაახლოებით 11 პროცენტი საომარი მოქმედებების მსხვერპლია.

ექსპერტთა ანგარიშის მიხედვით, ძალადობრივი სიკვდილის 90 პროცენტი დაბალი და საშუალო განვითარების ქვეყნებშია დაფიქსირებული.

გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ძალადობის მსხვერპლი და თვითმკვლელები ძირითადად ხდებიან 15-დან 44 წლამდე ასაკის მამაკაცები. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა სტატისტიკით, თვითმკვლელობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდებში.

ექსპერტთა რეკომენდაციით, ძალადობრივი სიკვდილის მაჩვენებელი შეიძლება შემცირდეს, თუ ქვეყნები, სადაც ძალადობრივი დანაშაულები ხშირია, მის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგის შეიმუშავებენ და ზედმიწევნით განახორციელებენ. მათივე ინფორმაციით, მსგავსი სტრატეგია ჯერჯერობით მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს აქვთ და საკმაო წარმატებით ახორციელებენ, შესაბამისად, ამ ქვეყნებში ძალადობრივი სიკვდილის მაჩვენებელი ძალზე დაბალია.

# სამოას არქიპელაგს დამანგრეველმა ტალღამ გადაუარა

მარიკა იაშვილი

წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ წარმოქმნილმა ცუნამიმ სამოას საკურორტო ზონა სრულიად გაანადგურა. გიგანტურმა ტალღამ სამოას არქიპელაგს დაარტყა. წინასწარი მონაცემებით, სტიქიისგან, სულ მცირე, 85 ადამიანი გარდაიცვალა, თუმცა მსხვერპლის რაოდენობა შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

სამოას არქიპელაგზე ორი სახელმწიფო მდებარეობს - უშუალოდ სამოა და ამერიკული სამოა, რომელიც აშშ-ს ტერიტორიაა.

ამერიკის კონგრესში სამოას წარმომადგენელი ენი ფალეომავაეგა იტყობინება, რომ უსახლკაროდ ათობით ათასი ადამიანი დარჩა. **"ზოგი რაიონი ზღვის დონიდან სულ რამდენიმე ათეულ სანტიმეტრზე მდებარეობს, ასე რომ, ნგრევის მასშტაბები ადვილი წარმოსადგენია. დანგრეულია ძალიან ბევრი სახლი. ყველგან მანქანები დაცურავს,"** - განაცხადა ფალეომავაეგამ.

სამოას სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ სტიქიამ, პრაქტიკულად, მთლიანად გაანადგურა წყნარი ოკეანის კუნძულის ინფრასტრუქტურა, რომლის შემოსავლის დიდი ნაწილი სწორედ ტურისტებზე მოდიოდა.

მოსახლეობამ გიგანტური ტალღისგან გორაკებზე ასვლით გადაირჩინა თავი, ზოგმა კი სტიქიის ზონა პატარა ნავებით დატოვა.

წითელი ჯვრის სამოას ორგანიზაციის ხელმძღვანელი ტალუტალა მაუალა ქვეყნის სამხრეთ სანაპიროზე იმყოფება, სადაც, მისი ცნობით, ასევე უამრავი დაღუპულია. **"ჩვენ ვერაფერს ვამბოთ ნგრევის მასშტაბებზე, სანამ უშუალოდ დაზარალებულ ადგილამდე არ მივაღწევთ და ყველაფერს საკუთარი თვალით არ ვნახავთ,"** - განაცხადა მან.

მაუალას თქმით, დანგრეული სახლების აღდგენას თვეები დაჭირდება. ადგილზე მომუშავე ჟურნალისტთა ცნობით, სამოას მთავარი კუნძულის - უპოლუს საავადმყოფო დაღუპულთა ცხედრებით არის სავსე.

ცუნამის მიზეზი რეგიონში მომხდარი მძლავრი მიწისძვრა გახდა, რომლის მაგნიტუდამაც 8.3 ბალი შეადგინა. მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებები იტყობინებიან, რომ მიწისქვეშა ბიძგების ეპიცენტრი სამოას არქიპელაგის დასავლეთით 190 კილომეტრის დაშორებით, წყლის ზედაპირიდან 33 კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობდა. მძლავრი მიწისძვრის შედეგად სამოას სანაპიროებს ექვსი მეტრის სიამღლის ტალღებმა გადაუარა.

ინფორმაცია, რომ გიგანტური ტალღ შესაძლოა არქიპელაგის სანაპირო ზოლს მეორედ მისწვდეს, პირველი ცუნამიდან რამდენიმე საათში გავრცელდა. თუმცა ცნობას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არც აშშ-ს გეოლოგიური სამსახური (USGS) და არც ცუნამის საფრთხის წყნარი ოკეანის ცენტრი არ ადასტურებენ. უფრო მეტიც, მათ გააუქმეს ადრე არსებული გაფრთხილება და განაცხადეს, რომ სამოას სამხრეთ ნაწილი პირველ ცუნამიზე უფრო მასშტაბურ და დამანგრეველ ტალღას გადაურჩა.

ამავე დროს, დაღუპულთა რაოდენობა იზრდება. დანგრეული სახლები ნაწილი წყლის ქვეშ არის მოქცეული, სამძებრო სამაშველო სამუშაოები ამ დრომდე გრძელდება და ბევრი ადამიანი ჯერ კიდევ დაკარგულად მიიჩნევა. სამოას მოქალაქეთა საერთო რაოდენობა 250 ათასს აჭარბებს, გარდაცვლილთა უმეტესობა სამოას სახელმწიფოს მცხოვრებია.



ცნობილი გახდა, რომ სტიქიას ავსტრალიის მოქალაქეებიც ემსხვერპლნენ. ავტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრ სტივენ სმიტის ცნობით, ერთი ავსტრალიელი ქალი გარდაიცვალა, ექვსი ადამიანი დაჭრილია, ხოლო კიდევ რამდენიმე დაკარგულად არის მიჩნეული. მინისტრის თქმით, ის უკვე დაუკავშირდა სამოასა და ტოგას კომისრებს. **"ჩვენ შეშფოთებულნი ვართ ჩვენი მოქალაქეების ბედით და გავაკეთებთ ყველაფერს, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, რათა მათი მოძებნა შევძლოთ,"** - განაცხადა სმიტმა.

საპარლამენტო სპიკერმა საერთაშორისო დახმარების აღმოჩენის საკითხებში ბობ მაკმალანმა განაცხადა, რომ მძიმე მდგომარეობაში მყოფი თითოეული ავსტრალიელი ადგილობრივ საავადმყოფოშია მოთავსებული. **"საკონსულო განყოფილების თანამშრომლები ყველაფერს აკეთებენ, რათა ადგილობრივ ხელისუფლებას დაზარალებულთა ვინაობის დადგენასა და მათ ნათესავებთან დაკავშირებაში დაეხმარონ,"** - აღნიშნა მან.

ავსტრალიის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, სამოას სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს. ავსტრალიამ დაზარალებულ რაიონებში მაშველები და მედიკოსები მიავლინა.

სამოაში დახმარება ამერიკამაც გაგზავნა. თეთრი სახლის წარმომადგენელთა თქმით, ქვეყნის ხელისუფლებამ სამოა სტიქიური უბედურების ზონად გამოაცხადა. "პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ამერიკული სამოა სტიქიის ზონად გამოაცხადა და ფედერალური დახმარების გამოყოფის ბრძანება გასცა იმ ტერიტორიების აღსადგენად, რომლებიც მიწისძვრის, ცუნამისა და წყალდიდობის მსხვერპლი გახდა," - ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში.

ფედერალური დახმარება გულისხმობს სახსრების გამოყოფას ადამიანთა გადასარჩენად, სამედიცინო დამხარებისა და ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე დამატებითი სახსრები შეიძლება გამოიყოს უსახლ-კაროდ დარჩენილთათვის დროებითი თავშესაფრის ასაშენებლად, სახლების აღსადგენად, დაუზღვეველი ქონების დასაფარი იაფი კრედიტის გასაცემად და სტიქიით დაზარალებული კერძო პირებისა და კომპანიების დასახმარებელი სხვა პროგრამების განსახორციელებლად. ამერიკული სამოას ხელისუფლება დამატებით დახმარებას ნანგრევების გასაწმენდად და საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხოების ზომების უზრუნვესაყოფადაც მიიღებს.

არსებული ინფორმაციით, არ არის გამორიცხული ცუნამის მეორადი ტალღა კურილის კუნძულებს დაატყდეს თავს. ამის გამო იაპონიის მთავრობა სანაპირო ზოლში მცხოვრებ მოსახლეობას ევაკუაციას და უსაფრთხო რეგიონებში გადასვლას ურჩევს.

იაპონიის მინისტრთა კაბინეტში საგანგებო შტაბი ჩამოყალიბდა, რომელსაც ზარალის შესახებ ინფორმაციის შეგროვება ევალება.

ცუნამის დარტყმას იაპონიაში წყნარი ოკეანის მთელ სანაპიროზე ელოდებიან, მათ შორის უკიდურესად ჩრდილოეთით მდებარე კუნძულ ჰოკაიდოზეც.

სპეციალისტთა ვარაუდით, ცუნამის სიმაღლე ნახევარ მეტრზე მეტი არ იქნება, თუმცა ადამიანის წასაქცევად ან მარტივ ნაგებობათა დასაშლელად სრულიად საკმარისია.

უკანასკნელი დამანგრეველი ცუნამი აზია-წყნარი ოკეანის რაიონში 2004 წელს მოხდა. მაშინ სტიქიამ რეგიონის 11 ქვეყანაში 230 ათას ადამიანზე მეტი იმსხვერპლა.

# ჩეხ სენატორებს ლისაბონის ხელშეკრულების კონსტიტუციურობა აეჭვებთ

ჩეხეთის სენატორთა ჯგუფმა სამშაბათს ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივარი შეიტანა, რომელშიც იმის შეფასება მოითხოვა, თუ რამდენად შეესაბამება ლისაბონის შეთანხმება ჩეხეთის მთავარ კანონმდებლობას. ინფორმაცია ვრცელდება ირჟი ობერფალცერზე დაყრდნობით, რომელიც ამ განცხადების ერთ-ერთი ავტორია.

აღნიშნულ საჩივარს ხელი მოაწერა ჩეხეთის პარლამენტის ზედა პალატის 17-მა წევრმა, რომლებიც ევროსკეპტიკოსთა ფრთას მიეკუთვნებიან. განცხადებაში მათ ყურადღება გაამახვილეს იმ საშიშროებაზე, რომ ლისაბონის შეთანხმება ევროპის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი სახელწიფოს შექმნის საფუძველია, რაც, მათი აზრით, შეზღუდავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტს, მათ შორის - ჩეხეთისასაც.

წინასწარი შეფასებით, განცხადების განხილვას შეიძლება ნახევარი წელი დასჭირდეს. ქვეყნის პრეზიდენტმა ვაცლავ კლაუსმა განაცხადა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ლისაბონის შეთანხმებას ხელს არ მოაწერს. პარლამენტმა ადრე მოიწონა შეთანხმება, თუმცა საბოლოო რატიფიკაციისთვის საჭიროა პრეზიდენტის ხელმოწერა.

ჩეხეთში 2008 წელსაც იყო მცდელობა, ლისაბონის ხელშეკრულების ხელმოწერის კონსტიტუციურობაში ეჭვი შეეტანათ. მაშინ საჩივარი პრეზიდენტმა წარადგინა. მასში დასმული იყო კითხვა, შეთანხმება საფრთხეს ხომ არ უქმნის ჩეხეთის სუვერენიტეტს. 2008 წლის ნოემბერში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ დოკუმენტის რატიფიკაცია ქვეყნის მთავარ კანონს არ ეწინააღმდეგება.

ლისაბონის შეთანხმების ხელმოწერის შეყოვნება შეთანხმების მომხრეების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. საქმე ის არის, რომ ეს დოკუმენტი ევროკავშირის ყველა წევრმა 2010 წლის მაისისთვის უნდა მიიღოს - დიდ ბრიტანეთში საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრიტანელ კონსერვატორთა ლიდერმა დევიდ კამერონმა შესაძლოა აღნიშნული დოკუმენტის რატიფიკაციის შესახებ რეფერენდუმის იდეა წამოაყენოს. სპეციალისტთა შეფასებით, სწორედ ამ პარტიას აქვს არჩევნებში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი, რის შემდეგაც კემერონი პრემიერ-მინისტრის სავარძელს დაიკავებს. კონსერვატორები კი ევროსკეპტიკოსთა კატეგორიას განეკუთვნებიან.

2007 წლის დეკემბერში ევროკავშირის 27-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა ლისაბონის ხელშეკრულებას, რომელიც ევროპის კონსტიტუციის შემცვლელი დოკუმენტია. 2005 წელს ევროკონსტიტუციის მიღება საფრანგეთსა და ჰოლანდიაში ჩატარებული რეფერენდუმების შედეგად ჩაიშალა. დოკუმენტი დღეს ევროკავშირის 27 ქვეყნიდან 24 ქვეყნის მიერ არის რატიფიცირებული. თანხმობა, ჩეხეთის გარდა, ირლანდიასა და პოლონეთსაც არ მიუციათ.

შეთანხმება, რომელიც პრეზიდენტის პოსტის შემოღებას ითვალისწინებს, ევროკავშირის ყველა წევრის მიერ უნდა იყოს რატიფიცირებული ქვეყანათა უმრავლესობაში ხელშეკრულების მისღებად პარლამენტის თანხმობაა საჭირო. თუმცა ირლანდიაში ეს საკითხი კანონის შესაბამისად რეფერენდუმზე გაიტანეს. 2008 წლის ივნისში ირლანდიელებმა დოკუმენტი უარყვეს.

ხუთშაბათს, 2 ოქტომბერს, ირლანდიაში ლისაბონის შეთანხმების შესახებ განმეორებით ჩატარდება რეფერენდუმი, რომლისგანაც დადებით შედეგს ელიან. თუ ირლანდიაში რეფერენდუმი დადებითი შედეგით დამთავრდება, ლისაბონის ხელშეკრულებას, პირობის თანახმად, პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმაც უნდა მოაწეროს ხელი.

# "ოქსფამი" აღმოსავლეთ აფრიკაში დაწყებული გვალვის გამო განგაშს აცხადებს

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქსფამი" აღმოსავლეთ აფრიკაში მოშიმშილე მილიონობით ადამიანის დასახმარებლად სახსრების შეგროვებას იწყებს.

ორგანიზაციის აქტივისტები იმედოვნებენ, რომ მალე შეძლებენ 16 მილიონი აშშ დოლარის შეგროვებას, რათა ეთიოპიის, სომალის, უგანდის, სუდანის, ჯიბუტისა და ტანზანიის მოსახლეობას დაეხმარონ. ეს ქვეყნები უკანასკნელი ათწლეულის ყველაზე მძიმე გვალვის გამო ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, სტიქიური უბედურება 23 მილიონი ადამიანის სიცოცხლესა და კეთილდღეობას ემუქრება. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე აღმოსავლეთ აფრიკის ისტორიაში ბოლო 2006 წლის კრიზისისას დაზარალებულთა რიცხვი. საშიშროების წინაშე მდგარი 23 მილიონი ადამიანის ნახევარი ეთიოპიის მცხოვრებია. დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სამინისტროში აცხადებენ, რომ მსოფლიოს ამ ნაწილში არსებული მდგომარეობით ძალზე შეშფოთებულნი არიან და მზადყოფნას გამოხატავენ, მოშიმშილე ხალხს შეძლებისდაგვარად ყველანაირად დაეხმარონ.

"ოქსფამის" თანამშრომელთა განცხადებით, დაავადებათა მსხვერპლი, უპირველესად, ბავშვები და მოხუცები ხდებიან, რომლებიც საჭმლისა და წყლის რიგში, ჩვეულებრივ, ბოლოები არიან. ზოგი ადამიანის ორგანიზმი ჭამას გადაეჩვია და მშრალ საკვებს ველარ იღებს, მარაგი თითქმის აღარავის დარჩა. მოსახლეობის დიდი ნაწილი მხოლოდ წყალს სვამს, რომელიც დასალევად არ ვარგა და ამიტომ მათ უმრავლესობას დიარეა აწუხებს.

აღმოსავლეთ აფრიკის მოსახლეობისთვის ასეთი მძიმე შედეგი, წლევანდელ გვალვასთან ერთად, შეიარაღებულმა კონფლიქტებმა და მოსახლეობის ზრდამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა. საგულისხმოა, რომ გვალვა მოჰყვა 4 მოუსავლიან წელიწადს, ამ ხნის განმავლობაში მოსახლეობას მოსავალი, ფაქტობრივად, არ აულია. თუ ოქტომბერი წვიმიანი იქნება, მაშინ ელ-ნინიოს ეფექტის გამო შესაძლოა საშინელი წყალდიდობები მოხდეს, რაც ახალ მსხვერპლს გამოიწვევს.

*მოამზადა მარიკა იაშვილმა*

# რევიუ

## იქ, სადაც სიცოცხლე გალიაშია

პირველი გვერდიდან

რა იყო ეს? ალბათ უფრო შთაბეჭდილება, რომელიც პოლონელმა რეჟისორმა ოდესღაც შექსპირის საკმაოდ რთულად ინსცენირებადი პიესიდან მიიღო. ეს პიესა კომედიად დაწერილი "ქარიშხალია", თუმცა იანუშ ვიშნიევსკისათვის აღნიშნული ტექსტი აპოკალიფსური ასოციაციების აღმძვრელი გამოდგა. მაგრამ ამაში როდია დანაშაული, ანდა პრობლემა. თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მეორე დადგმას, რომელიც გუშინ გვიან საღამოს დასრულდა მარჯანიშვილის თეატრში, რატომღაც სათაურად ასევე "ქარიშხალი" ერქვა, თუმცა წარმოდგენის ლიტერატურული საფუძველი აშკარად ეკლექტურია. ანოტაციაში ვკითხულობთ - შექსპირი, ელიოტი, ოდენი, იეშმუკი და ტექსტები სახარებიდან. ამას მე ანოტაციიდან ვკითხულობ... ტექსტი წარმოდგენაში უმნიშვნელოვანესი გახლდათ, - ამას კი პოლონურ ენაზე მოსმენილი მონოლოგების ხანგრძლიობის მიხედვიდ ვადგენ... სპექტაკლი თარგმანის გარეშე წარმოგვიდგინეს, შემოგვაშველეს ანოტაციები, სადაც დადგმის ცალკეული სცენების უზოგადესი მინიშნებები გახლდათ დაწერილი. სამწუხაროდ მაყურებლის უმრავლესობა სპექტაკლის დასრულებამდე ანოტაციას ვერ გაეცნო. ტავიდან ვერ მიხვდა მის აუცილებლობას, ზოგიერთსაც არ შეხვდა. მაგრამ საწყენი არაფერია, არც ანოტაცია მოიცავს დადგმის შინაარს, ეს კი აუცილებელი იყო, მით უფრო, რომ წარმოდგენა რამდენიმე ავტორის ნაწარმოებებიდან ამონარიდებს აერთიანებდა და მაყურებლისთვის სრულიად უცნობ ლიტერატურას წარმოაჩენდა. სუბტიტრების ნაკლებობამ თითქმის აბსოლუტურად მოგვწყვიტა მთავარს და ყურადღება ფორმაზე გადაგვატანინა. შესაბამისად დადგმა უცნობი და ამოუკითხავი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი თავს იმითაც იიმედებდა, რომ თეატრის მომავალი სწორედაც რიტუალურ თეატრშია და აღნიშნული დადგმა სწორედ ამ მიმართულებას მიეკუთვნებოდა, რაც, ერთი მხრივ თუ შევხედავთ, არ არის შორს რეალობისგან.

მაგრამ, არაფერს და მით უფრო სცენაზე გათამაშებულ წარმოდგენას არ აქვს ერთი მხარე, და საკმაისია გადავხედოთ ავტორებს, რომელთა ტექსტებიც რეჟისორს გამოუყენებია, მაშინათვე მივხდებით, რაოდენ მეორეხარისხოვანი გახლდათ ფორმა, რომელიც პოლონურად ვერმოუბარმა მაყურებელმა მძაფრად რიტუალურ თეატრად აღიქვა. და მაინც, რადგან საუბარი ამ თემაზე ჩამოვარდა, თეატრი როგორიც არ უნდა იყოს ის, ყველა შემთხვევაში რიტუალირი ქმედებაა, თუმცა თუ საუბარი თეატრზეა და არა პერფორმანსზე, ის, ანუ თეატრი ბევრად მეტია ვიდრე რიტუალური პროცესია...

პროცესია - აი, ის, რამაც დაიკავა წარმოდგენის ბევრად მეტი ვიდრე ნახევარი. პერსონაჟები, რომელებიც სიმბოლურ-მეტაფორული ატრიბუტებით, ასევე სიმბოლური ხმების (მუსიკაში საინტერესოდ გამთლიანებული) თანხლებით მოძრაობდნენ, საკმაოდ დიდხანს ახდენდნენ საკუთარ სახეთა, ტიპაჟთა ფრონტალურ პრეზენტაციას. ეს ტიპაჟები სხვადასხვა საავტორო თეატრს მოგაგონებდათ, საიდანღაც აღებულ და გადმოტანილ სახეებს.



მგონი, რამდენიმე კინოფილმსაც, განსაკუთრებით კინოვარიაციებს ფრანკენშტეინის თემაზე... ამ სრულიად უცვლელი და სახეებზე "მიყინული" ნიღბებით იქმნებოდა სცენები, კადრენი და უფრო სურათები. დიახ, კომპოზიციები, კრანახისეული აპოკალიფსური იმპულსებით. სხვათა შორის ჩემი ასოციაციები შესაძლოა არც თუ შორს იყოს რეალობისგასგან, იანუშ ვიშნიევსკი ხომ რეჟისორიც არის, დიზაინერიც და როგორც უკვე მოგვეხსენება, რეჟისორიც.

კიდევ რა მოხდა? რაღაცეები აშკარად მოხდა, მეტაფორული კომპოზიციები შექსპირიდან ნამდვილად იყო. სცენაზე იყვნენ უცხო გმირებიც, ყველა ძველი და ახალი ისტორიისთვის ნაცნობი, - სულებისა და გარდაცვლილების განმასახიერებელი ტიპიური სახეები. ზუსტად ვიცი, რომ მათ ტექსტებში და ამ ტექსტების გამთლიანებაში იყო ის, რასაც რეჟისორის ჩანაფიქრი ჰქვია და რაზეც ახლა უნდა გვესაუბრა, მაგრამ სავარაუდოდ ალბათ ტექნიკური გაუმართაობა ჰქვია იმას, რის გამოც ამ საუბარს ვერ ვახერხებთ. და რადგანაც მე ვერაფერი გავაწყვე და მით უფრო რეჟისორის ფილოსოფიას ვერ ჩავწვდი, ფორმამ კი აშკარად გადამღალა და ვერც მსახიობების ოსტატობამ დამაინტერესა, ვერც სახეთა განვითარებამ, რაც აშკარად არ გახლდათ მოცემული დადგმის მიზანი, გადავწყვიტე რეჟისორის ჩანაწერებში მოვძებნი რამე, თავშესაქცევი.

**იანუშ ვიშნიევსკი:** "თეატრის, როგორც კულტურული ფენომენის სიღრმისეულად განხილვისას, ხელოვნების ამ მიმართულების ძირითად არსს აღმოვაჩენთ. რაც დიალოგში და აზრთა კონფლიქტში მდგომარეობს. იქ ხდება გათავისება მოვლენათა არსისა, რაც აზრთა დაპირისპირებაში იბადება. თეატრი მუდმივად უთვალთვალებს და უკვირდება თანამედროვეობას (საზოგადოების კულტურულ, ანთროპოლოგიურ და სულიერ გამოვლინებებს) და მაყურებელში თანამონაწილეობის სურვილს აღძრავს. თეატრალური ხელოვნება მიზანმიმართულად ამთლიანებს შემოქმედს და მომხარებელს, მსახიობს და მაყურებელს, მიუხედავად მათი განსხვავებული თვისებებისა, რის საფუძველზეც სამყაროც ერთიანი ხდება.

მაშასადამე, ისმის კითხვა: რა არის ერთიანი ცნობიერება და როგორ მივაღწიოთ საზოგადოებაში მშვიდობიან თანაარსებობას.

ჩვენ თეატრალური ხელოვნებისადმი სიყვარული გვაერთიანებს. მაგრამ ვის ვუძღვნით და ვჩუქნით ამ სიყვარულს? დღევანდელ რეალობაში, ისე როგორც არასდროს, უნდა მოვუსმინოთ მოკარნახე დროს. რადგან თითქოს ყველაფერი სუსტდება და ძალას კარგავს, თითქოს ჩვენ მოსაზრებათა ნაგავსაყრელზე ვცხოვრობთ და ირგვლივ განსხვავებული თეორიებია მიმობნეული. ჩვენ ნაკლებად უზრუნველყოფილი ცხოვრების მომსწრენი ვართ და "ფასეულობათა ბიბლიოთეკაში" თავს ისე კომფორტულად ველარ ვგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში...

ჩვენ ვხედავთ, რომ ამ სამყაროში რაღაც უფრო საშიში გაჩნდა: ადამიანურობის მცნება წარსულს ჩაბარდა. ამიტომაც მომავალი ჩვენ აღარ გვლოცავს.

თეატრის საშუალებით, ერთ მშვენიერ დღეს ვაცნობიერებთ, რომ ჩვენს დაფარული შიშებს დიდი ხანია უკვე ფარდა აეხადა.

შექსპირის, მოლიერის, გოეთეს, სოფოკლეს, მიცკევიჩის ნაწარმოებების კითხვისას, აღმოვაჩენთ, რომ ისინი ღმერთმა გვაჩუქა, რათა საკუთარი თავი უკეთ შევიცნოთ.

აღელვებულნი და შეშინებულნი, ჩვენი სათქმელის მოსატანად შესაფერის ფორმას ვეძებთ. და ამ დროს, დიდებული "წინაპრები" გვაქეზებენ და გვიბიძგებენ ერთ კითხვაზე პასუხის გასაცემად: სიყვარულის გარდა რა შეგვიძლია მივიღოთ ამ ქვეყნად, ეჭვის გარეშე?.."

სწორედ ეს და სხვა ტექსტები მაფიქრებინებ, რომ ის, რაც გუშინ საღამოს ვერ გავიგე, ამ ფილოსოფიურ ოპუსთან ახლოს არის და შესაბამისად უფრო ახლოს რაციონალურ განსჯასთან, ვიდრე სანახაობასთან, ცარიელ ფორმასთან. ერთი კი ვიცი ზუსტად, რომ რეჟისორის შიში, რომელსაც მასში ეჭვებით შეპყრობილი კაცობრიობა იწვევს ამ დადგმაშიც აისახა. დადგამაში, სადაც სიყვარულს და თავისუფლებას სიკვდილი ახშობს. სცენაზე ხომ ცოცხლებს გარდაცვლილები სჭარბობენ. აქეთ-იქით კი მტრედები, ყველაზე მეტად ცოცხლები მთელს ამ ორომტრიალში, გალიებში არიან გამოკეტილნი. შესაბამისად, საკმარისი გახდა ერთი თვალი შემევლო სცენისთვის და პლაკატური აზრი ამეკვიატა, რომ იქ, სადაც სიცოცხლე გალიაშია, სიკვდილის ზეობა უნდა დაიწყოს და პირადად ჩემთვის, სწორედ ეს დაიწყო სცენაზე. თუმცა, მეტისმეტად პირდაპირი გაგებით. მიცვალებულთა სიუხვის გარდა, დადგმა საერთოდაც ადამიანების სიკვდილის სხვადასხვა სცენებს გვთავაზობს. და ჩემი აზრით, ძალიან შაბლონურ აზრს იმის შესახებ, რომ იქ სადაც სიკვდილის ზეიმია, ვიღაც, წითური, ცოცხალი და თანაც მდიდარი ტაფამწვარას იკეთებს...

სადღაც, სტატიის შუაგულში, ალბათ ისიც უნდა მეთქვა, რომ მაყურებლის გარკვეული ნაწილი სცენაზე იჯდა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ დადგმა მაინც ფრონტალურად ვითარდებოდა, მაყურებელთა დარბაზის მიმართულებით და ისიც, რომ სცენაზე მყოფი მაყურებელი ისეთივე ინერტული მონაწილე იყო მოქმედებისა, როგორც დარბაზში მყოფი. ასე რომ, ვფიქრობ, მაყურებელთა განლაგება მხოლოდ ერთგვარი ფანდია, რომელიც განსაკუთრებულობის მოლოდინს ამძაფრებს და სხვა არაფერი.

ცხადია, მკითხველი მიხვდა, რომ ამ დადგმით ამ სტატიის ავტორი მოხიბლული ნამდვილად არ დარჩა. მეტიც, ზღაპრებიდან გადმომხტარი ცნობადი და ბოროტი ტიპაჟების სიმრავლემ სცენაზე გადაღალა და თავი ვერც მუსიკალური და პონტომიმური სცენებით გაიხალისა. პოლონურად მოსმენილმა გრძელ-გრძელმა მონოლოგებმა ოდნავ ნერვებიც კი მოუშალა, მაგრამ მკითხველმა მაინც უნდა დაუშვას ვარაუდი, რომ სტატიის ავტორმა სპექტაკლი უბრალოდ ვერ გაიგო. ზუსტად ისე, როგორც მაყურებლის სრულმა უმრავლესობამ, რომლისთვისაც სპექტაკლის დასრულების შემდეგ ყველაზე აქტუალური და ამავდროულად ერთადერთი შეკითხვა გახლდათ: გაიგეთ რამე?

**P.S.** და მაინც აღვნიშნავ, რომ გუშინ მაყურებელთა შორის იყო რამდენიმე, სხვათა შორის კრიტიკოსი, რომელიც ჯერ მონოლოგებზე რეაგირებდა, - იცინოდა, ცმუკავდა, "აჰა!"-ს ამბობდა, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსი ისე ესმოდა, როგორც მე (**ს.კ. :** საგანგებოდ გადავამოწმე!), შემდეგ კი ოვაციებს უძღვნიდა სტუმრებს. ეს უკანასკნელი ალბათ ზრდილობის საკითხია, აი, პირველი კი - უთუოდ ჩვევის, ანდა ტრადიციის.




# თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

26 სექტემბერი - 18 ოქტომბერი, 2009

საერთაშორისო პროგრამა

**3 ოქტომბერი, შაბათი**
გოეთე
**"ფაუსტი"** თეატრალური კომპანია "MENO FORTAS", ლიტვა (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი ეიმუნტას ნეკროშიუსი
დასაწყისი: 19.00
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

**4 ოქტომბერი, კვირა**
**"მოცეკვავე დერვიშები"** - Istambul SEMA GROUP OZ Productions, თურქეთი
**რიტუალური ცეკვა და მუსიკა**
დასაწყისი: 20.00
ეროვნული მუსიკალური ცენტრი

**5 ოქტომბერი, ორშაბათი**
**"ნიღაბი"** - ბაქოს პანტომიმის სახელმწიფო დრამატული თეატრი, აზერბაიჯანი
რეჟისორი ბახტიარ ხანიზადე
დასაწყისი: 20:00
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

**6, 7 ოქტომბერი**
**სამშაბათი/ოთხშაბთი**

**So, So (ისე რა...)**
COMPAGNIE DES LOUPS. COPRODUCTEURS: EUROKAZ FESTIVAL and LA
COMMUNAUTE INAVOUABLE
Production Franco - Croatian
საფრანგეთი, ხორვატია (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი ბრანკო ბრეზოვეჩი
დასაყისი: 20:00
სასტუმრო Tbilisi Mariott

**8, 9 ოქტომბერი**
**ხუთშაბათი/პარასკევი**
**"ზიგმუნდის ოინები"** Company Philipe Genty, საფრანგეთი (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი ფილიპ ჟანტი
დასაწყისი: 20:00
ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული რუსული თეატრი, მცირე სცენა

**12 ოქტომბერი, ორშაბათი**
**"ჰეტეროფილი"** Weimer Theatre,
შვედეთი (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი კრისტინა ოზოუნიდისი
სასტუმრო RADISSON SAS IVERIA

**13 ოქტომბერი სამშაბათი**
უილიამ შექსპირის "ჰამლეტი"-ს მიხედვით
...და ნამდვილი ციხე
ერევნის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრი,
სომხეთი (ქართული სუბტიტრებით)
რეჟისორი აკოფ კაზანჩიანი
დასაწყისი: 19:45
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, მცირე სცენა

**13, 14, 15 ოქტომბერი**
**სამშაბათი/ოთხშაბათი/ხუთშაბათი**
ნიკოლოზ გოგოლი
**"შინელი"** - Gecko Company, დიდი ბრიტანეთი
რეჟისორი ამიტ ლაჰავი
დასაწყისი: 20:00
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

**15 ოქტომბერი ხუთშაბათი**
**"ღია წრე"** - Theatre laboratory
OPEN CIRCLE, ლიტვა
რეჟისორი აიდას გინიოტისი
დასაწყისი: 20:00
თავისუფალი თეატრი

# პიანისტთა თბილისის IV საერთაშორისო კონკურსი სტარტს იღებს

ნინო ქვანია



1-14 ოქტომბერს თბილისში ტარდება პიანისტთა თბილისის მეოთხე საერთაშორისო კონკურსი, რომელიც საქართველოს მუსიკალური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. კონკურსზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან თავს მოიყრიან ახალგაზრდა პიანისტები, ჟიურის წევრები და საპატიო სტუმრები - სახელგანთქმული მუსიკოსები, მენეჯერები, იმპრესარიოები, ჟურნალისტები. **კონკურსის გენერალური სპონსორია კომპანია "მაგთი"; კონკურსის მხარდამჭერები არიან:** სასტუმროები: "კოპალა", "მერიოტი", კომპანია "Ernst & Young"-I", "თელიანი ველი", "ჯგუფი სამგორი 94"; ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის სახლ-მუზეუმი, "კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაცია"; კორპორაცია BAGEBEY CITY GROUP-ი; კომპანია OUT-DOOR.GE-ი; გაზეთი "24 საათი"; საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი; საქართველოს საპატრიარქოს რადიო "ივერია"; რადიო "მუზა"; "მიკრო სტუდია"; საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა დახმარების ფონდი "Solo"; "ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული კონკურსი"; საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი; თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი და კერძო პირები.

კონკურსამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენ შევხვდით საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდის და პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსის დირექტორს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორს, პროფესორ მანანა დოიჯაშვილს.

**- ქ-ნო მანანა, წელს თბილისის პიანისტთა რიგით მეოთხე საერთაშორისო კონკურსი დაარსებიდან მეთორმეტედ ტარდება. როგორც კონკურსის სულისჩამდგმელი და დამაარსებელი, რას გვეტყვით კონკურსის მიერ განვლილ გზაზე? რა ადგილი დაიკავა მან საქართველოს, თუ მსოფლიო მუსიკალურ სამყაროში?**

- ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დაარსების დღიდან კონკურსი აღმავლობის გზით ვითარდება. 2002 წელს, ჩვენ გავწევრიანდით პრესტიჟულ ორგანიზაციაში - საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების მსოფლიო ფედერაციაში. ეს ძალიან დიდი პატივია არა მარტო კონკურსისთვის, არამედ თბილისისთვისაც (რომლის სახელსაც ატარებს ჩვენი კონკურსი) და მთლიანად საქართველოსთვისაც. როგორც ჩანს, ჩვენი კონკურსი აკმაყოფილებს ყველა იმ სტანდარტს, რომელსაც მსოფლიო ფედერაცია უყენებს საერთაშორისო კონკურსებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, კონკურსი საქართველოს მუსიკალური ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრალური ღონისძიებაა. ჩვენი მთავარი ამოცანაა, თბილისის საერთაშორისო კონკურსი იყოს სამართლიანი და ობიექტური. სულ რამდენიმე დღის წინ ჩემმა მეგობარმა მაცნობა, რომ მოსკოვში შეხვდა ერთ-ერთ ძალიან გამოჩენილ მუსიკოსს (თავს შევიკავებ მისი დასახელებისგან), რომელსაც უთქვამს, რომ თბილისის კონკურსი მთელს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სამართლიან კონკურსად ითვლება. სწორედ ამ იმიჯისკენ ვისწრაფვით კონკურსის დაარსების დღიდან. მთავარია, ყველაფერი კეთდებოდეს გამჭვირვალედ. სწორედ ამიტომ, ჟიურის არც ერთ წევრს არ აქვს უფლება, ჩამოიყვანოს თავისი მოსწავლე. ჟიურიში კონკურსანტის პედაგოგის ყოფნა გარკვეულ გავლენას ახდენს ჟიურის მუშაობაზე. ამიტომ ჩაიდო ეს წინაპირობა დებულებაში და ვფიქრობ, ეს წესი არასდროს შეიცვლება.

**- მკითხველთა ნაწილისთვის შესაძლოა უცნობია, რომ გასული წლის მაისში თბილისმა უმასპინძლა ფედერაციის ასამბლეას. რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ფაქტი კონკურსის პრესტიჟის ამაღლებისთვის, მისი იმიჯისთვის?**

- ფედერაცია ყოველწლიურად ატარებს ასამბლეას თავის წევრ ქვეყნებში. ჩვენ ოთხი წლით ადრე გავაკეთეთ განაცხადი მის თბილისში მოწვევაზე. ფედერაციის კომიტეტი თბილისს ეწვია 2005 წლის კონკურსზე. გააანალიზა რა ჩვენი პირობები და შესაძლებლობები, მან მიიღო გადაწყვეტილება ასამბლეის თბილისში შეკრების თაობაზე. ასამბლეა ჩატარდა 2008 წლის მაისში, თბილისში. კომიტეტის და ბიუროს წევრების უმრავლესობის აზრით, ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო ასამბლეა ფედერაციის არსებობის ორმოცდათორმეტწლიან ისტორიაში. რა თქმა უნდა, ყოველივე ამან ხელი შეუწყო კონკურსის პრესტიჟის გაზრდას. გარდა ამისა, წელს პიანისტთა თბილისის საერთშორისო კონკურსი არჩეულ იქნა ფედერაციის კომიტეტში, რაც მის მმართველობაში მონაწილეობას გულისხმობს და უდავოდ დიდი პატივია.

**- კონკურსამდე ერთი წლით ადრე საქართველოში იყო ომი, რომელმაც უსაფრთხოების თვალსაზრისით შეარყია ქვეყნის იმიჯი. იქონია ამ ომმა რაიმე სახით ზეგავლენა კონკურსზე?**

- არანაირი უარყოფითი ზეგავლენა ომმა კონკურსზე არ იქონია. რუსეთის მხრიდან, საქართველოზე განხორციელებული წნეხის მიუხედავად, ვფიქრობ მსოფლიოში ძალიან კარგად ესმით, რა ხდება. ბევრად უფრო საგრძნობი არის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისის ზეგავლენა - შემცირდა სპონსორების რაოდენობა. უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით დააზარალა ამ ტიპის ღონისძიებები: ფედერაციის წლევანდელი ასამბლეა, რომელიც ჩილეში უნდა ჩატარებულიყო, კრიზისის გამო გადაიდო; იმავე მიზეზით გადაიდო ბონის ბეთჰოვენის სახელობის კონკურსი. ყოველივე ამის ფონზე ჩვენ შევძელით თბილისში კონკურსის ჩატარება. მინდა ძალიან დიდი მადლიერებით მოვიხსენიო ქალაქის მერია და კულტურის სამინისტრო, რომლებიც კონკურსის დამფუძნებლები და ფინანსური მხარდამჭერები არიან.

**- საინტერესოა, თუ იღებენ კონკურსში მონაწილეობას რუსეთის წარმომადგენლები, კულტურა აგრძელებს შეწყვეტილ დიალოგს?**

- რუსეთი ორი კონკურსანტით არის წარმოდგენილი. ჩვენ ღია ვართ აბსოლუტურად ყველასთვის. თუმცა, ჩემი დამოკიდებულება ომისადმი არ მაძლევს რუსეთში ჩასვლის მორალურ უფლებას. რუსეთის მხრიდან სხვადასხვა სახის შემოთავაზებებზე უარი ვთქვი. რუსეთში მხოლოდ მაშინ წავალ, როდესაც აფხაზეთი და სამაჩაბლო დაუბრუნდება საქართველოს. იმ მეგობრებთან, რომლებთანაც წლების მანძილზე დიდი ადამიანური სითბო მაკავშირებს, რა თქმა უნდა, ურთიერთობას არ ვწყვეტ. თუმცა, მეგობრების წრეც შევიწროვდა; სამწუხაროდ...

**- რამდენად რთულია დღეს საქართველოში მაღალი დონის კულტურული ღონისძიების ორგანიზება?**

- კონკურსზე მუშაობის სპეციფიკას ყველაზე კარგად გამოხატავს ცნობილი ფრაზა - "მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!" კონკურსი მთავრდება, მეორე დღეს კი იწყება შემდეგ კონკურსზე მუშაობა; მზადდება და მთელს მსოფლიოში იგზავნება პროგრამები; ჟიურიში მოსაწვევად ირჩევა გამოცდილი მუსიკოსები, ხდება იმ იმპრესარიოებისა და სააგენტოების მოძიება, რომლებიც საუკეთესო ანგაჟემენტს გაუკეთებენ ჩვენს ლაურეატებს. კონკურსი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მონაწილეებს და სტუმრებს არ შეექმნათ დისკომფორტი თბილისში ყოფნის დროს. ისედაც მძიმე და დატვირთული დღეები არ უნდა იყოს მათთვის ზედმეტი სტრესის მომტანი. ეს არც ისე ადვილია. კონკურსი ძალიან მღელვარეა ყველასთვის - როგორც მონაწილეებისთვის, ისე ორგანიზატორებისთვისა და ჟიურისთვის. ჟიურიც ნერვიულობს...

**- როგორც კონკურსის ჟიურის წევრმა, იქნებ აგვიხსნათ, რატომ?**

- არ უნდა შეცდე, უნდა ამოარჩიო საუკეთესო. უნდა დაინახო შემსრულებლის ყველა ასპექტი. ამიტომ შედგება კონკურსი ოთხი ტურისგან, რომელთა პროგრამები ისეა შერჩეული, რომ შესაძლებლობა გეძლევა, ყველა მხრიდან შეაფასო კონკურსანტი - ნიჭიერება, პიანიზმის კლასი, ინტელექტის სიღრმე, და რაც უმნიშვნელოვანესია, მუსიკისადმი დამოკიდებულება - მისი სულიერება.

**- შეიცვალა თუ არა თქვენთვის წლების მანძილზე კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები? და რა არის პირადად თქვენთვის მთავარი ახალგაზრდა პიანისტის შეფასებისას?**

- მინდა როიალთან დავინახო პიროვნება. კონკურსანტი შეიძლება იყოს ძალიან კარგად მომზადებული, ჰქონდეს მაღალი პიანისტური კლასი, მაგრამ სათქმელი არაფერი ჰქონდეს. მთავარია რითი გამოდის შემსრულებელი სცენაზე, როგორია მისი აზროვნების მასშტაბი, მისი სულიერი ღირებულებები; ყველა კონკურსის ოცნებაა, აღმოაჩინოს განუმეორებელი ინდივიდუალობის მქონე მუსიკოსი.

**- მუსიკის სამყაროში დიდი ხანია არსებობს მოსაზრება, თითქოს შემსრულებელთა კონკურსები გარკვეულ ჩარჩოებში სვამს და შტამპავს ახალგაზრდა მუსიკოსებს, არ უტოვებს რა მათ სივრცეს თავისუფალი, ორიგინალური აზროვნებისთვის. თქვენ, უკვე წარმატებული საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის მთავარი ორგანიზატორი და რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული, რა კონტრარგუმენტს დაუპირისპირებთ ამ მოსაზრებას?**

გაგრძელება A11 გვერდზე

A10 გვერდიდან

- კონკურსს მართლაც თან ახლავს ერთი უარყოფითი ფაქტორი, რომელსაც ზოგიერთი შემსრულებელი ცუდად იყენებს. კონკურსანტმა წლის მანძილზე შეიძლება მოიაროს 20-25 კონკურსი ერთი და იმავე პროგრამით. ასეთი პიანისტი თავად შტამპავს დაკვრის მანერას და თავის დამოკიდებულებას მუსიკისადმი. თუმცა არც ის დაგვავიწყდეს, რომ კონკურსი, ძალიან ზრდის შემსრულებელს. მზადება კონკურსისთვის ხდება აბსოლუტურად განსხვავებულად - ყველა დეტალი უნდა იყოს იდეალურად დამუშავებული, ათასჯერ მოსინჯული და მორგებული. თუ შემსრულებელს აქვს მიზანი, მაგალითად, გაიმარჯვოს შოპენის კონკურსზე, ის რამდენიმე წელიწადის განმავლობაში ემზადება ამისთვის: უკრავს ბევრ კონცერტზე, ცდილობს მოიყვანოს პროგრამა იდეალურ ფორმაში. ერთი სიტყვით, მთელი არსით არის მიმართული ამ კონკურსისკენ. მზადების ასეთი პროცესი ძალიან სასარგებლოა შემოქმედებითი ზრდისათვის. საერთოდ, პიანისტისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რეპერტუარულ პოლიტიკას. ხშირად, როდესაც კონკურსის მონაწილის პროგრამას უყურებ, ხედავ, რა პიროვნებაა ეს მონაწილე. ზოგი აშკარად აგროვებს პროგრამას, ზოგი კი იაზრებს მას, არგებს რა მას საკუთარ ინდივიდუალობას. არავინ უკრავს ყველაფერს კარგად. ნებისმიერ მუსიკოსს გააჩნია სფერო, რომელშიც იგი განსაკუთრებულად ნიჭიერია. გავიხსენოთ რიხტერი, გულდი, რუბინშტეინი, ჰოროვიცი. ჩვენ ვიცნობთ მათ ძლიერ მხარეებსაც და ნაკლოვანებებსაც (რაც არ უნდა მკრეხელობად მოგეჩვენოთ ეს სიტყვა, წარმოთქმული ამ გენიოსების მიმართებით). მაგრამ ყოველ მათგანს ჰქონდა თავისი არაჩვეულებრივი წახნაგი. თუ შემსრულებელი არის ჭკვიანი, ამ წახნაგს იგი მაქსიმალურად იყენებს. პროგრამებში ჩანს შემსრულებელი.

**- საინტერესოა უთანაგრძნობთ თუ არა კონკურსანტებს, როდესაც ისინი გამოდიან სცენაზე?**

- ვუთანაგრძნობ აბსოლუტურად ყველას, იმიტომ რომ ეს გზა თვითონ გავიარე. მიყვარს ყველა ვინც უკრავს, პირველი ტურიდან დაწყებული, ფინალით დამთავრებული. ძალიან რთულია ჩემთვის ჟიურიში ყოფნა; მაგრამ გააზრებული მაქვს, რომ ჩემი უპირველესი მოვალეობაა სწორი გადაწყვეტილების მიღება.

**- რა შეიძლება ითქვას კონკურსის მონაწილეთა დონეზე? განსაკუთრებით საინტერესოა თქვენი, როგორც პიანისტის მოსაზრება ქართველ მონაწილეებზე.**

- კონკურსანტების შერჩევა ჩანაწერებით მოხდა - ჩანაწერებში პიანისტური კლასი ყოველთვის ჩანს. 150 პრეტენდენტს შორის კონკურსზე დაშვებულ იქნა 43 მონაწილე, რომელთაგანაც ცამეტი ქართველი პიანისტია. რამდენიმე დღის წინ ჩვენ მივეცით მათ შესაძლებლობა, დაეკრათ სასურველი პროგრამა კონსერვატორიის დიდ დარბაზში. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართული პიანისტური სკოლა სათანადო სიმაღლეზეა წარმოდგენილი.

**- შეგიძლიათ რამდენიმე სიტყვით გაგვაცნოთ თბილისის კონკურსის ჟიურის სხვა წევრები? იქნებ ისიც გაგვიმხილოთ, თუ რა პრინციპით ხდება ჟიურის დაკომპლექტება?**

- ჟიურის წევრი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს ძალიან კარგი მუსიკოსი, მაგრამ მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ მის პიროვნულ თვისებებსაც. როდესაც ორი კვირის მანძილზე ჟიური მუშაობს, აუცილებელია, წევრებს შორის იყოს კეთილგანწყობილი ურთიერთობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემთვის მათი პატიოსნება და ობიექტურობა. მოგეხსენებათ, დღეს ბევრ კონკურსს აქვს შელახული იმიჯი. ყველამ ვიცით, რომ ადგილი აქვს გარკვეული სკოლებისა, თუ პიროვნებების წინ წამოწევას; ხდება ზეწოლა, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და ა.შ. თბილისის კონკურსზე ეს არის აბსოლუტურად გამორიცხული. ჟიურის თითოეულ წევრს აქვს პირადი გადაწყვეტილების მიღების უფლება. ოთხი ტურიდან პირველი სამი ტური ტარდება შვეიცარიული სისტემით - ჟიურის წევრები წერილობითი ფორმით აფიქსირებენ თავიანთ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ მონაწილის შემდეგ ტურში გასვლასთან დაკავშირებით და აბარებენ ბიულეტენს. არავითარ განხილვას არ აქვს ადგილი. მოგეხსენებათ, რომ მსჯელობისას, რომელიმე ძლიერი პიროვნება გავლენას ახდენს სხვათა გადაწყვეტილებებზე.

**- ვინაიდან ჟიურიზე ვსაუბრობთ, მინდა ვახსენოთ კონკურსის ერთი ტრადიცია: ჟიურის რამდენიმე წევრი თბილისის კონსერვატორიის სტუდენტებს, არაკონკურსანტებს უტარებს მასტერკლასებს. რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამ ტრადიციას?**

- მასტერკლასები აძლევს შანსს ჩვენს სტუდენტებს, ჰქონდეთ შეხება გამორჩეულ მუსიკოსებთან, ეზიარონ იმ სკოლას, რომელსაც ეს მუსიკოსები წარმოადგენენ. სტუდენტისთვის ყოველთვის საინტერესოა, მიიღოს განსხვავებული შენიშვნა. ახლა მთელს მსოფლიოში მასტერკლასების ბუმია. მე თუ მკითხავთ, მასტერკლასი უფრო პედაგოგის წარმოჩენაა - იგი ატარებს ღია გაკვეთილს. თუ სტუდენტი ჭკვიანია და მას შეუძლია დასკვნების გამოტანა, ასეთი გაკვეთილი მას წაადგება. საშუალო სტუდენტი კი მასტერკლასისგან შედეგს ვერ მიიღებს. სწავლა ხდება პედაგოგთან, რომელთანაც მიმდინარეობს სისტემატიური მუშაობა პროგრამაზე.

**- როგორია გამარჯვებულების შემდგომი ბედი? რა სახით ეხმარება თბილისის კონკურსი მათ კარიერის განვითარებაში?**

- მთავარ პრიზებთან ერთად წელს არის განსაკუთრებული სიუხვე ახალი სპეციალური პრემიებისა, რომლებიც დააწესეს საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატიურმა მისიებმა (გერმანიის, პოლონეთის, ჩეხეთის, იტალიის საელჩოები), კერძო სტრუქტურებმა და ინდივიდუალურმა პირებმა, რისთვისაც მინდა მათ უღრმესი მადლობა გადავუხადო. თუმცა, ასეთი მაღალი დონის კონკურსი ტარდება იმ მიზნით, რომ კონკურსის მესვეურებმა იზრუნონ ლაურეატების სამომავლო შემოქმედებით გეგმებზე. რაც გულისხმობს მონაწილეობას საერთაშორისო მასტერკლასებსა და ფესტივალებში, კონცერტებს პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში.

- საინტერესოა, თუ აკვირდებით გასული კონკურსების ლაურეატების შემოქმედებით ცხოვრებას? შეგიძლიათ დაგვისახელოთ პიანისტები, რომელთა წარმატებული მუსიკალურ კარიერის აწყობაში სწორედ თბილისის საერთაშორისო კონკურსმა ითამაშა გადამწყვეტი როლი?

- თითქმის ყველა, ვინც გახდა თბილისის კონკურსის ლაურეატი, დღეს მსოფლიოს საუკეთესო სცენებზე გამოდის. არ მინდა დავკონკრეტდე, იმიტომ, რომ პრაქტიკულად ყველა წარმატებულ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა.

**- ინტერვიუზე მოსვლის წინ გადავხედე კონკურსზე აკრედიტირებული ჟურნალისტების სიას. თბილისის კონკურსი ყოველთვის განებივრებული იყო მუსიკალური ჟურნალისტების ყურადღებით. მას არაერთხელ სტუმრობდნენ ამ სფეროში აღიარებული კრიტიკოსები. მაგრამ, ალბათ, არც ერთ კონკურსზე არ ყოფილა ასეთი წარმომადგენლობითი საერთაშორისო მუსიკალური პრესა, როგორიც არის წელს. რითი ახსნით ამ ინტერესს?**

- ნამდვილად ასეა. ეს არ იყო მხოლოდ ჩემი ინიციატივა. ჟურნალისტებს, რომლებიც ჩამოდიან ბელგიიდან, იაპონიიდან, ამერიკიდან, ინგლისიდან და ა.შ., აინტერესებთ, რა ხდება თბილისის კონკურსზე. ჩვენთან ჩამოდიან სხვა კონკურსების დამფუძნებლებიც, რომლებიც ეძებენ სამომავლოდ თავიანთ კონკურსებზე მოსაწვევ კანდიდატებს. მათ იციან, რომ თბილისში მაღალი რანგის პიანისტები მოიყრიან თავს. ჟურნალისტები კი, დაინტერესებული არიან, გააშუქონ ისეთი მოვლენა, როგორიცაა პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსი.

**- მკითხველს უთუოდ დააინტერესებს იმ ორგანიზაციების და ადამიანების ვინაობა, ვინც კონკურსის ორგანიზებისას მხარში ამოგიდგათ. თქვენ უკვე ახსენეთ თბილისის მერია და კულტურის სამინისტრო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მხარდამჭერთა სია ამით არ შემოიფარგლება.**

- მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ჩვენს სპონსორს და მხარდამჭერს, ცალკე გამოვყო კონკურსის გენერალური სპონსორი - კომპანია "მაგთი"; განსაკუთრებული მადლობა საქართველოს პრეზიდენტს, რომლის პატრონაჟით ტარდება ეს კონკურსი! ჩემი ყოველი მათგანისადმი მადლიერება უსაზღვროა.

**- და ბოლო შეკითხვა. ოქტომბერში თბილისის საზოგადოება ძალიან განებივრებულია კულტურული ღონისძიებებით. კონკურსის პარალელურად ჩვენს ქალაქში ტარდება საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. რას ეტყოდით ხელოვნების მოყვარულს, რომელსაც მოუწევს რომელიმე საღამოს ამ ღონისძიებებს შორის არჩევანის გაკეთება?**

- ყველა უნდა მოვიდეს კონსერვატორიაში! (იცინის) თეატრისადმი ჩემი დიდი სიყვარულის მიუხედავად, ყველას ვეპატიჟები კონსერვატორიაში!

## "გაღმა ნაპირი" ხუთეულშია



როგორც გაირკვა, ევროპის კინოაკადემიის ჯილდოს მოსაპოვებლად კატეგორიაში "ევროპული აღმოჩენა" ხუთი ფილმი იბრძოლებს: "გაღმა ნაპირი" (საქართველო/ყაზახეთი, რეჟისორი გიორგი ოვაშვილი), "აჯამი" (გერმანია/ისრაელი, რეჟისორი სკანდარ კოპტი), "კატალინ ვარგა" (რუმინეთი/დიდი ბრიტანეთი/უნგრეთი, რეჟისორი პეტერ სტრიკლანდი), "ჭკვიანად იყავი" (საფრანგეთი/დანია, რეჟისორი ჟულიეტ გარსია) და "შემოდგომა" (თურქეთი/გერმანია, რეჟისორი ოზჯან ალპერი).

აღნიშნული ჯილდო დაწესებულია ახალგაზრდა რეჟისორების პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისთვის. ეს ხუთეული კი ციურიხის კინოფესტივალზე შეკრებილმა ევროპის კინოაკადემიის კომისიამ შეარჩია. კომისიის შემადგენლობაში შედიან: პაველ პავლიკოვსკი (დიდი ბრიტანეთი), ელს ვანდევორსტი (ნიდერლანდები), პიერ ანრი დელო (საფრანგეთი), იაკობ ნეიიენდამი (დანია) და დანა ლინსენის (ნიდერლანდები). ნომინირებულ ფილმებს აკადემიის 2000 წევრი ნახავს და მისცემს ხმას. გამარჯვებული კი 12 დეკემბერს გამოვლინდება დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე, რომელიც წელს რურის მეტროპოლიაში გაიმართება. **24 საათი**

## სამეგრელოს მთავართა უნიკალური ნივთები

გუშინ ხელოვნების სასახლის საგამოფენო დარბაზში გაიმართა სამეგრელოს მთავართა უცნობი და უნიკალური ნივთების პრეზენტაცია. საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შთამომავალმა ქალბატონმა ირინე ჟღენტმა ხელოვნების სასახლეს უნიკალური კოლექცია გადასცა. ხელოვნების ძვირფასი ნიმუშები სამეგრელოს მთავრებსა და მუნჯი კინოს ცნობილ მსახიობს ჩუტა ერისთავს ეკუთვნის. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, სამეგრელოს უბრწყინვალესი თავადის, ბულგარეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტის ნიკოლოზ დადიანის დღემდე უცნობი პორტრეტი, ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილის, საფრანგეთის პრინცესას სალომე დადიანის წერილი ოქროს სამეფო დამღით.

კოლექციაში წარმოდგენილია მხატვარ გიორგი ერისთავის ნამუშევრები "ვეფხისტყაოსნის" თემაზე. მათ შორის, თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის უცნობი პორტრეტები. განსაკუთრებული მემორიალური მნიშვნელობა ენიჭება ჩუტა ერისთავის სპილოს ძვლის კალამს სამეფო გვირგვინითა და ინიციალებით.

არქივში ჩუტა და გიორგი ერისთავების უნიკალური ფოტოების გარდა წარმოდგენილია რომანოვების, შარვაშიძეებისა და ბაგრატიონების უცნობი ფოტოები. ფოტოკოლექციაში დაცულია ვერიკო ანჯაფარიძის ფოტო, მსახიობის მემორიალური წარწერით და რეზო თაბუკაშვილის ინდოეთში მოგზაურობის ამსახველი ფოტომასალა. **24 საათი**

## დოკუმენტური კინოს საფუძვლებიდან თანამედროვეობამდე

დღეიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში გაიმართება ვორქშოპი, სახელწოდებით "დოკუმენტური კინო", რომელსაც

წარუძღვებიან: **დებორა დიქსონი** ("ოსკარზე" სამჯერ ნომინირებული რეჟისორი და პროდიუსერი) და **სანდრა რაჩი** (საერთაშორისო დოკუმენტური ფილმების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი).

ვორქშოპის ორგანიზება აშშ-ს საელჩოსა და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის შედეგია. რას სთავაზობენ სტუდენტებს? მასზე განხილული იქნება დოკუმენტური კინოს საფუძვლები. მონაწილეებს ასევე გააცნობენ თანამედროვე დოკუმენტური კინოს წარმოების პროცესს, მისი გადაღების ტექნიკას, მონტაჟს. აღსანიშნავია, რომ ვორქშოფის ფარგლებში სტუდენტები ჯგუფებად დაიყოფიან, გადაიღებენ და დაამონტაჟებენ დოკუმენტურ ფილმებს თემაზე "ჩემი უბანი".

სამუშაო შეხვედრების შემდეგ, 7, 8 და 9 ოქტომბერს დაგეგმილია ამერიკული დოკუმენტური კინოს რეტროსპექტივა, სადაც ნაჩვენები და განხილული იქნება 4 ფილმი, კერძოდ: **Street Fight** ("ბრძოლა ქუჩაში"), რომელმაც დაიმსახურა: აკადემიის ჯილდო ნომინაციაში "საუკეთესო განსხვავებული დოკუმენტური ფილმი" და Tribecca-ს კინოფესტივალის აუდიენციის ჯილდო; **Flow - For love of water ("**წყლის სიყვარულით**") -** Mumbai-ს საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურისა და გაერთიანებული ერების ასოციაციის კინოფესტივალის პრიზები; **Through Deaf Eyes** ("ყრუთა თვალებით აღქმული") - Alfred I.Dupont-ის კოლუმბიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ჯილდო; **Project Kashmir** ("პროექტი კაშმირი").

რაც შეეხება დებორა დიქსონსა და სანდრა რაჩს, პირველი მათგანი დამოუკიდებელი დოკუმენტური ფილმების კინორეჟისორია. 1988 წელს მისი ფილმი, სახელწოდებით Memories of Bookseller, აკადემიის ჯილდოზე იყო წარდგენილი, ისევე როგორც 1997 წელს შექმნილი Suzanne Farrell: Elusive Muse, რომლის პრემიერაც ნიუ იორკში შედგა.

დებორა დიქსონმა დაამთავრა ბერნარდის კოლეჯი (კოლუმბიის უნივერსიტეტი და ნიუ იორკის უნივერსიტეტის ფილმების სკოლა). მისი უკანასკნელი ფილმია Lalee's Kini: The Legacy of Cotton ("კოტონის მემკვიდრეობა"), რომელმაც 2001 წელს სანდენსში გამართულ კინოფესტივალზე "უმაღლესი პატივისცემის" ჯილდო დაიმსახურა, ახლახანს კი "ოსკარზეც" იყო წარდგენილი.

დებორა დიქსონის სხვა ფილმებს რაც შეეხება, მის მიერ 1992 წელს გადაღებული Abortion: Desparate Choices დაჯილდოვდა "ემით", Dupont-ისა და Peabod-ის ჯილდოებით. ის თანამშრომლობდა ვლადიმერ ჰოროვიცთან და როჯერ ვესბერგთან ერთად იყო რეჟისორი და პროდიუსერი ფილმებისა: "სექსი", "თინეიჯერები და საჯარო სკოლები", "ზეგავლენის ხელოვნება".

სანდრა რაჩი, უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში, არის საერთაშორისო დოკუმენტური ფილმების ასოციაციის (IDA) აღმასრულებელი დირექტორი. ეს არასაბიუჯეტო საწევრო ორგანიზაცია, რომელიც 3 000 წევრს აერთიანებს მთელი მსოფლიოდან, მხარს უჭერს დოკუმენტური ფილმების შემქმნელ კინორეჟისორებს. ის ფოკუმენტურ ფილმების შესახებ ჟურნალსაც კი გამოსცემდა.

ამჟამად სანდრა რაჩი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საქმეთა ბიუროში მუშაობს. ახლახანს მან ჩამოაყალიბა საკონსულტაციო კომპანია, რომელიც კინორეჟისორებს სრულ მომსახურებას სთავაზობს, კერძოდ: დოკუმენტური ფილმების მარკეტინგს, გავრცელებასა თუ ფესტივალების მოწყობას.

# იგივენი და ცხონებული კეკე

სოფიო თოდუა



ამას წინათ ერთ-ერთმა სააგენტომ საყურადღებო ინფორმაცია გაავრცელა: თურმე პარლამენტარები მიიჩნევენ, რომ სტალინის დედა მთაწმინდის პანთეონში არ უნდა იყოს დაკრძალული. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ამის საწინააღმდეგოდ რა არგუმენტებს წარმოადგენენ მგზნებარე სტალინისტები, მაგრამ ასეთი აქტი ახლო წარსულში უკვე მოხდა, როცა იქ დაკრძალული რევოლუციონერები ჩვეულებრივ სასაფლაოებზე გადაასვენეს. სასაფლაოებსა და პანთეონებზე საჯარო დისკუსიები ქართველებს არ გვიყვარს, მაგრამ ზოგჯერ სხვა გზა არ არის და აუცილებლად უნდა თქვა ის, რაზეც სხვებიც გეთანხმდებიან, ოღონდ - არა ხმამაღლა. მარტო "24 საათში" ეს პრობლემა სამჯერ გაშუქდა და სამჯერვე კრიტიკა დავიმსახურე. არადა, არაფერს განსაკუთრებულს არ ვწერდი. მხოლოდ აღვნიშნავდი, რომ პანთეონებში, თუ საერთოდაც ვუშვებთ მათ არსებობას, მაინცდამაინც ნაცნობ-მეგობრობით ან პოლიტიკური ამინდის ცვალებადობის მიხედვით არ უნდა ვკრძალავდეთ ამა თუ იმ პიროვნებას. რადგან ამ მხრივ არაფერი შეცვლილა, ისევ იგივე უნდა გავიმეოროთ იმ იმედით, რომ ახლა მაინც შეგვაწევენ სიტყვას.

როცა პირველად შევეხე ამ საკითხს, ერთი რუსი ჟურნალისტის ფრაზა გავიხსენე: თბილისშიო, წერდა ჩემი კოლეგა, პანთეონები უფრო მეტია, ვიდრე საზოგადოებრივი ტუალეტებიო. ამ ადამიანის გულწრფელად მესმის, რადგან ტუალეტების სიმწირეს ბევრი ჩვენი სტუმარი უაღრესად უხერხულ მდგომარეობაში ჩაუგდია. ამის მიუხედავად, ამ მხრივ აშკარა პროგრესია, რადგან აქა-იქ ბიოტუალეტები გამოჩნდა, პანთეონები კი ჯერჯერობით იმდენივე გვაქვს, რამდენიც გვქონდა "პორტატული" კლოზეტების შემოღებამდე.

ვწერდი, რომ შევარდნაძემ ერთი კარგი კანონი მაინც მიიღო, რომლის თანახმადაც მთაწმინდის პანთეონში ის იკრძალება, ვისი გარდაცვალებიდან 25 წელი გავიდა. მაშინაც მეგონა და დღესაც მგონია, რომ ამ ნორმატიული აქტის გამოცემა ენერგიული ჭირისუფლების შემოტევას უკავშირდებოდა - ბოლოს და ბოლოს, შევარდნაძეც ადამიანია და ეტყობა, კანცელარიის მეთორმეტე სართულზე სახელოვანი ქართველების არანაკლებ სახელოვანი შთამომავლების შემოტევას ველარ აუდიოდა. გავიხსენე მირაბოს ისტორია, უფრო სწორად, მკითხველს ამ თემაზე ტარიელ ჭანტურიას წერილი შევახსენე, თუ როგორ ამოთხარეს პანთეონიდან ფრანგებმა მირაბოს ნეშტი მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ეს უკანასკნელი არათუ საფრანგეთის დიდი რევოლუციის გმირი, არამედ როიალისტების ჯაშუში ყოფილა და იგი სენ-მარსოს გარეუბანში, დამნაშავეთა სასაფლაოზე გადაიტანეს.

წესს, რომელიც მთაწმინდის პანთეონში დროითი ცენზის შემოღებას ეხება, ასე თუ ისე, ვიცავთ, თუმცა ორი გამონაკლისი მაინც დავუშვით. ანა კალანდაძე და ზვიად გამსახურდია ისე დავკრძალეთ მთაწმინდაზე, რომ მათი გარდაცვალებიდან 25 წელი გასული არ ყოფილა. ვწერ ამ ფრაზას ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, რადგან არათუ მე, ჩემს ირგვლივაც არ მეგულება კაცი, ვინც ანა კალანდაძის პოეზიას არ აფასებდეს. გავა დრო და მისი შემოქმედება იმაზე მეტად დაფასდება, ვიდრე დღესაა დაფასებული. თუ ვინმე იმსახურებს მთაწმინდას, ეს ანა კალანდაძეცაა. ვიცნობ რა მისი ოჯახის წევრებს, სამაგალითოდ კეთილშობილ ადამიანებს, ვიცი, არ დამძრახავენ, თუ ვიტყვი, რომ ქალბატონი ანას მთაწმინდაზე დაკრძალვის შემდეგ ვიღაცას კი უნდა გახსენებოდა, რომ მთაწმინდაზე არ არიან დაკრძალულნი ნიკო ლორთქიფანიძე, ტერენტი გრანელი, მიხეილ თამარაშვილი, პეტრე უმიკაშვილი და კიდევ ბევრი ღირსეული ქართველი, რომლებიც კარგა ხნის გარდაცვლილები არიან. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, აქ წერტილი უნდა დავსვა, რადგან ამ ტრაგიკული პიროვნების შესახებ ნებისმიერი აზრის გამოთქმა, როგორც წესი, დაპირისპირების საბაბი ხდება, ეს წერილი კი პრობლემის მოგვარებას ისახავს მიზნად და არა - გაღრმავებას.

და აი, ყველაზე უხერხულ დეტალს მივადექით. ამ ერთხელაც გავიმეორებ, რომ ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ, პანთეონები ზუსტად ისე დავახარისხეთ, როგორც ხუთ და ოთხვარსკვლავიანი სასტუმროები. სხვათა შორის, ეს ამბავი გუშინ და დღეს არ დაწყებულა. ადრე ყველაფერი ცეკას მდივნების კაბინეტებში წყდებოდა, დღესაც სახელისუფლებო აპარტამენტებში იგეგმება, ოღონდ ვის სამუშაო ოთახში, დანამდვილებით ვერ გეტყვით: მერიაში, პრეზიდენტის რეზიდენციაში თუ პარლამენტის კულუარებში? სამი წლის წინ ვეცადე, იმ კომისიის შემადგენლობა დამეზუსტებინა, ვისაც პანთეონებთან დაკავშირებით ჭკუა მოეკითხება - რა თქმა უნდა, ვერ დავადგინე. საერთოდაც, მეეჭვება, რომ ასეთი კომისია იკრიბებოდეს. თუ მაინც არსებობს, იქ, როგორც ჩანს, ან ის ხალხია გაერთიანებული, ვინც რეალობის შეგრძნება დაკარგა, ან, პირიქით, იმდენად მოჭარბებულად აქვს, რომ ნებისმიერ გადაწყვეტილებას მხარს უჭერს, თუ ეს გადაწყვეტილება კაბინეტშია მომწიფებული.

რეალობა კი ასეთია: გვაქვს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ორი პანთეონი; ორივე, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთ წმინდა ადგილას - დიდუბეში, ღვთისმშობლის ტაძრის გვერდით და მთაწმინდაზე, დავით გარეჯელის ეკლესიასთან. რადგან ორივეს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი ჰქვია, უნდა გვეფიქრა, რომ ორივეგან დაკრძალვის ერთი და იგივე წესები მოქმედებს. მაგრამ ეს წესები ერთმანეთისგან იმდენად განსხვავებულია, ძალაუნებურად კაცს გაფიქრებინებს, რომ ერთ-ერთს, კერძოდ - დიდუბეს, სატრანზიტო პანთეონის ფუნქცია აქვს დაკისრებული (ამ ვულგარობისთვის მომიტევეთ). აქ არც დროითი ცენზი მოქმედებს, არც ადგილზე დადგენილი სტანდარტი და სახელოვანი მეუღლეების გვერდით ასევე სახელოვანი თანამეცხედრეების დაკრძალვაც არ იკრძალება, რაც, თავისთავად, მისასალმებელია. რაც შეეხება მთაწმინდას, მიუხედავად იმისა, რომ ისიც მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონია, იქ დაკრძალვა მხოლოდ გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგაა დასაშვები. პანთეონების დახარისხების ეს პრინციპი, მე თუ მკითხავთ, შეურაცხმყოფელია და ამით სწორედ იმ ადამიანების ხსოვნას ადგება ჩრდილი, რომელთა უკვდავყოფასაც, ჩვენი ჭკუით, ვცდილობთ. ერთი და იგივე დასახელების ორ პანთეონში განსხვავებული წესების შემოღება ასე თუ ისე ასატანი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ დიდუბის პანთეონში დაკრძალულ ადამიანებს დიდუბეშივე დავტოვებდით. ჩვენ კი რას ვაკეთებთ? დიდუბე სატრანზიტო პანთეონად ვაქციეთ, ან, სულაც ერთგვარ სალხინებლად, ოღონდ ეგაა, "ცოდვილი სულებიდან" ვინ სად მოხვდება, ეს კაბინეტში წყდება, თანაც იმის მიხედვით, ხალხის რა ნაწილის გულის მოგება აწყობს იმ მომენტში ხელისუფლებას.

მეეჭვება, ექვთიმე თაყაიშვილი ვინმემ აუგად მოიხსენიოს. მაგრამ იმ ფაქტმა, რომ თვით ექვთიმე თაყაიშვილის ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდაზე, ანუ ერთი პანთეონიდან მეორეზე გადავასვენეთ, ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. არცაა გასაკვირი, რადგან თუ პატივი უნდა მივაგოთ ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნას, ასეთსავე პატივს იმსახურებს სხვა ბევრიც, ვინც დღემდე დუდუბეში ან სულაც სხვაგან, გნებავთ ჩვეულებრივ სასაფლაოზე (მაგალითად, სესილია თაყაიშვილი), გნებავთ საკუთარი სახლის ეზოში (კონსტანტინე გამსახურდია, არნოლდ ჩიქობავა) ან სხვა საზოგადოებრივ ადგილებში არიან დაკრძალულნი (მაგალითად, ივანე ჯავახიშვილი თუ აკაკი შანიძე, რომლებიც უნივერსიტეტის ეზოში განისვენებენ). ასე რომ, თუ მიხეილ ჭიაურელის ნეშტი გადავასვენეთ კინოსტუდიის ეზოდან მთაწმინდის პანთეონში, ან ნოდარ დუმბაძის საფლავი გადავიტანეთ მზიურიდან ასევე მთაწმინდაზე, ის დიდი ადმიანები, რომელთა გვარები უდიდესი მოწიწებით ჩამოვწერე, იმიტომ ხომ არ დავივიწყეთ, რომ მათ შთამომავლებს სახელოვანი წინაპრების ღვაწლის შეხსენება დაავიწყდათ?

ეს ყველაფერი გამაღიზიანებელი არ იქნებოდა, დიდუბეს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი რომ არ ერქვას და ჩვეულებრივ სასაფალოდ მოიხსენიებოდეს. ჩემი საქმე არ არის, ვინ სად იმსახურებს დაკრძალვას, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მწერალიცა და საზოგადო მოღვაწეც თავისი დანატოვარით ფასდება და არა სასაფლაოს ადგილ-მდებარეობით. ამისდა მიუხედავად, ბოლო დროს სულ ტერენტი გრანელზე და მის დებზე, მაშოზე და ზოზიაზე ვფიქრობ - იმ დებზე, რომელთაც, ტერენტისა არ იყოს, მემკვიდრეები არ დარჩენიათ. ვინ იცის, რომ ჰყოლოდათ, ალბათ მათი შვილები და შვილიშვილები ხელისუფლებასაც და პატრიარქსაც პოეტის ამ სტრიქონებს შეახსენებდნენ: "ავად *ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი, / ახლა მიგონებს* ალბათ *ზოზია, / გალაკტიონში არის დემონი / და ჩემში უფრო ანგელოზია*". დავიჯერო, ამ სიტყვების ავტორი არავის არ შეეცოდებოდა? ისე, მე თუ მკითხავთ, ტერენტი გრანელის საფლავი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე უნდა დაგვეტოვებინა და იქ მოგვევლო, რადგან ამ სასაფლაოს პოეტის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ასევე ვერანაირად ვერ მივესალმები, თუ ქაქუცა ჩოლოყაშვილის საქართველოში გადმოსვენება ლევილის თბილისში გადმოტანის პრეცედენტი გახდება. სხვაგან დაკრძალული ჩვენი თანამემამულების საფლავებს დაკარგვის საშიშროება თუ არ ელის (როგორც ეს რუსეთში სულხან-საბა ორბელიანის საფლავთან დაკავშირებით მოხდა), ისტორიის ხელახლა დაწერა და მისი გამოყენება წარმატებული ფიარაქციების მოსაწყობად ერთდროულად სიბრიყვეცაა და უზნეობაც.

ცხონებული კეკეთი დავიწყე და კეკეთივე უნდა დავამთავრო. ამ ქალის "დანაშაული" ის იყო, რომ სტალინი გააჩინა. მეეჭვება, მას თვითონ ნდომებოდა მთაწმინდაზე დაკრძალვა. სამაგიეროდ, არ მეეჭვება, რომ რიგში კიდევ ბევრი შვილი, შვილიშვილი, ქმარი, ცოლი, რძალი თუ სიძე დგას, რომელთაც თვალი მთაწმინდისკენ უჭირავთ, მაშინაც კი, თუ მათი სახელოვანი წინაპარები დიდუბეში განისვენებენ. რას ვიზამთ, ეს ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტეა, რომლისგან განკურნება თითქმის შეუძლებელია. ამ ადამიანებს ვერც სხვისი მიცვალებულის პატრონობას ვერ მოვთხოვთ (თუნდაც გენიოსის) და ვერც გონიერების მოხმობისკენ მოვუწოდებთ (აზრი არა აქვს). ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, სახელმწიფოს კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რომ პანთეონების იმ პრინციპით დახარიხებით, რაც დღეს ნორმადაა მიჩნეული, უპირველესად თავად სახელმწიფოს ადგება ჩრდილი. ადრე თუ გვიან ამ პანთეონების რევიზია მაინც მოხდება, რაც თავისთავად კარგი საქციელი არ მგონია, ოღონდ სულ სხვა ნიშნით. ასე რომ, საწყალმა კეკემ, შესაძლოა, უფრო ადრე დაიმკვიდროს სამუდამო განსასვენებელი, ვიდრე სხვებმა, ვისაც წინ კიდევ ერთი გადასვენება ელის უსაფუძვლო ამბიციებს აყოლილი ჭირისუფლების გამო.

# სპორტი

## მასმედია - ახალი პრეზიდენტის სტრატეგიული პარტნიორი

### ზვიად სიჭინავას წინასაარჩევნო რევერანსი

მიხეილ აბაიშვილი

"ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია მედიასთან ურთიერთობა. არ იფიქროთ, რომ რაიმე შეღავათს ვითხოვდე ან კრიტიკის მეშინოდეს. პირიქით, საქმიანი კრიტიკა ის აუცილებელი კომპონენტია, რომელიც ჩვენი მუშაობის სწორი მიმართულებით წაყვანას უწყობს ხელს. მედიას საფეხბურთო ოჯახის უმნიშვნელოვანეს წევრად ვთვლი, რომელსაც დიდი ძალაუფლება აქვს - მას საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, საფეხბურთო იდეების პროპაგანდა, ფეხბურთის პოპულარიზაცია შეუძლია. ეს უმთავრესი როლი და მისიაა და, მოხარული ვიქნები, თუ ამ თვალსაზრისით ფედერაციისა და მასმედიის საქმიანობა ერთ კალაპოტში, ერთი მიმართულებით, ურთიერთპარალელურად წარიმართება", - ამ სიტყვებით მიმართა გუშინ, არჩევნების წინა დღეს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის უალტერნატივო კანდიდატმა ზვიად სიჭინავამ სპორტულ მედიას შეკრებაზე, რომელიც ჭადრაკის სასახლეში გაიმართა. ეს არ იყო პრესკონფერენცია. ეს იყო პრეზიდენტობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრა, რაც ყველაზე დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა ჟურნალისტებისთვის. სიჭინავამ შეხვედრის ფორმად აირჩია არა ბრიფინგი, არამედ მეგობრულ, ატმოსფეროში გახსნილი და ღია საუბარი, რომლის დროსაც ისაუბრა არა მხოლოდ სამომავლო ურთიერთობებზე, არამედ გამოთქვა იმ პრობლემებში ჩახედვის სურვილიც, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ურთიერთობისას ჟურნალისტები რომ ვაწყდებოდით.



*ზვიად სიჭინავა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის უალტერნატივო კანდიდატი.*

"თქვენი თანადგომის გარეშე ქართული ფეხბურთის განვითარება და პროგრესი დროში გაწელილი, საეჭვო პროცესი იქნება. თანადგომაში არ ვგულისხმობ ჩემი და ჩემი გუნდის ქებას. თანადგომა და ზრუნვა ესაჭიროება ქართულ ფეხბურთს როგორც ფედერაციის, ისე მედიის, ხელისუფლების, გულშემატკივრების, სპეციალისტების მხრიდან. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ კრიზისული ვითარებიდან თავის დაღწევას და იმ გზაზე დადგომას, რომელიც ძველ ტრადიციებს აგვაღორძინებინებს და გამარჯვების გემოს გაგვახსენებს. გვესმის, რომ ამ საქმეში თქვენ გამორჩეული როლი გაკისრიათ. ძალიან გვინდა, თქვენი საქმიანობა, რაც შეიძლება, წარმატებული და ნაკლებად პრობლემური იყოს. მზად ვარ მოვისმინო ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო პრობლემა, რომელიც თქვენს პროფესიულ საქმიანობაში ხელს გიშლიდათ. თუ ასეთი პრობლემები არსებობს, ერთად მოვიფიქროთ მათი გადაჭრის გზები", - განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა. თუ ამ სიტყვებს შესაბამისი საქმეებიც გაუმაგრებს ზურგს, ზვიად სიჭინავას ხანგრძლივი და სასარგებლო კარიერა ელის პოსტზე, რომელსაც ოფიციალურად დღეს დაიკავებს.

მასმედიისთვის მჭიდროდ დახურული ეროვნული ნაკრები, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მუშაობაზე შექმნილი ინფორმაციული ვაკუუმი, გაუმჭვირვალობა ფედერაციის ფინანსურ საქმიანობაზე, მოუწესრიგებელი საակრედიტაციო სისტემა, პრესლოჟებში არსებული სხვადასხვა ხასიათის ხარვეზები - ეს არის იმ პრობლემების არასრული ჩამონათვალი, რომლებიც ზვიად სიჭინავას გააცნეს მედიის წარმომადგენლებმა და მათი გადაჭრის პირობაც მიიღეს.

"ამ პრობლემებს მე სხვებსაც დავუმატებდი. ვერაფრით ვერ ამიხსნია, რატომ არ აჩვენა არც ერთმა სატელევიზიო არხმა პალანგის საერთაშორისო ტურნირზე 17 წლამდელთა ნაკრების წარმატების ამსახველი კადრები ან თამაშების თუნდაც ვიდეოჩანაწერი. ეროვნული ნაკრების რამდენიმე ბოლო მატჩიც არ იყო ტრანსლირებული. ეს საკითხიც აუცილებლად უნდა მოგვარდეს. ჟურნალისტებმა ადგილზე უნდა შეძლონ საჭირო კადრების მიღება. ყველა ამ საკითხის გადაჭრაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აუცილებლად შეიტანს თავის წვლილს - ამ პირობას გაძლევთ და შევასრულებ კიდეც იმ შემთხვევაში, თუ ხვალ ყრილობა ჩემს ხედვას გაიზიარებს და არჩევნებში გავიმარჯვებ", - არ გაასწრო მოვლენებს ზვიად სიჭინავამ.

რიგგარეშე ყრილობა და არჩევნები ეროვნული ნაკრები გუნდების ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" დღეს, დილის 11 საათზე დაიწყება. დღის წესრიგში ერთი საკითხია - რიგგარეშე არჩევნები. დებატებისთვის, რომელიც ამ პროცედურის დაწყებამდე გაიმართება, დაახლოებით ერთი საათი იქნება გამოყოფილი.

უკვე დეკლარირებულია, რომ ზვიად სიჭინავა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე მისვლისას სტრატეგიულ პარტნიორად მასმედიას მიიჩნევს. რამდენად რეალური იქნება ეს პარტნიორობა, უახლოეს მომავალში გახდება ნათელი.

### ცინცაძე "ტრიკალას" ვერაფრით დაეხმარა

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე ზაფხულში ბერძნულ კლუბ "ტრიკალაში" გადავიდა. ახლა ქართველი კალათბურთელის გუნდი წინასასეზონო სამზადისს გადის და მორიგი ამხანაგური მატჩი აეკთან გამართა. ჩვენებური თავის გუნდს ვერაფრით დაეხმარა. გიორგიმ მოედანი უქულოდ დატოვა, "ტრიკალამ" კი მატჩი ანგარიშით 73:82 დათმო.

ცინცაძის გუნდი 2-3 ოქტომბერს კუნძულ როდოსზე, "კოლოსთან", "კავალასთან" და "ილისიაკოსთან" ერთად, ოთხთა ტურნირში იასპარეზებს, 5 სექტემბერს კი ისევ აეკ-ს გაეჯიბრება.

### ყველა დროის საუკეთესო

ამას წინათ ერთ-ერთმა უცხოურმა ინტერნეტ-გამოცემამ ჩაატარა გამოკითხვა, თუ ვინ არის სერია A-ს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი. აი, როგორ გადანაწილდა ხმები:

1.პაოლო მალდინი 19.5% (მილანი)
2.რობერტო ბაჯო 18% (მილანი, ინტერი, იუვენტუსი, ბრეშა)
3.მარკო ვან ბასტენი 14% (მილანი)
4.ფრანკო ბარეზი 12% (მილანი)
5.ალესანდრო დელ პიერო 7% (იუვენტუსი)
6.ჯანლუიჯი ბუფონი 4% (იუვენტუსი, პარმა)
7.ხავიერ ძანეტი 2% (ინტერი)
8.ჯაკინტო ფაკეტი 1.5% (ინტერი)
9.ფრანჩესკო ტოტი 1.5% (რომა)
10.ანდრეი შევჩენკო 1.5% (მილანი)
ყველა დანარჩენი 19 პროცენტი.

### მიულერმა ბუნდესნაკრების შეტევა დაიწუნა

ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მეგოლემ, გერმანული ფეხბურთის ლეგენდამ გერდ მიულერმა ბუნდესნაკრების დღევანდელ ფორვარდებს მუსრი გაავლო.

"ადრე ამათ ბურთთან არავინ მიუშვებდა," - აღნიშნა მან გერმანულ სპორტულ ტელეარხზე გამოსვლისას.

მიულერი გულისხმობს კლოზეს, პოდოლსკის და გომესს, რომლებიც ახლა არიან გერმანიის ნაკრების მთავარი ფორვარდები.

თავის შემტევ ტრიოს ბუნდესნაკრების მწვრთნელი იოახიმ ლიოვი გამოექომაგა.

"მე დიდ პატივს ვცემ ისეთ მოთამაშეებს, როგორებიც არიან გერდ მიულერი, ფრანც ბეკენბაუერი თუ გიუნტერ ნეცერი. ისინი დღემდე მისაბაძ მაგალითად რჩებიან. მაგრამ ათწლეულებით ერთმანეთისგან დაშორებულ თაობათა შედარება არ შეიძლება. თავდამსხმელები ადრინდელთან შედარებით ახლა გაცილებით უფრო რთულ მდგომარეობაში არიან. ფეხბურთი ძირითადად დაცვითი თამაშის მიმართულებით განვითარდა. შედეგად - ისეთი სივრცე, როგორიც ადრე ფორვარდებს მატჩის მთელი 90 წუთის განმავლობაში ჰქონდათ, ახლა ერთი თამაშის მანძილზე სულ ხუთი წუთით თუ ეძლევათ," - განაცხადა ლიოვმა.

### სისე დაინდეს

ბერძნული "პანათინაიკოსის" თავდამსხმელი ჯიბრილ სისე ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

უეფამ ძველი გადაწყვეტილება შეცვალა და ფეხბურთელს, სამის ნაცვლად, ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა.

28 წლის ფორვარდი ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საკვალიფიკაციო რაუნდში მადრიდის "ატლეტიკოსთან" პაექრობისას მიღებული წითელი ბარათის გამო დასაჯეს.

ათენური კლუბის მიერ შეტანილი აპელაციის განხილვის შემდეგ ევროპული ფეხბურთის ჩინოვნიკებმა საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელის მიმართ გამოტანილი სანქცია გარკვეულწილად შეარბილეს.

ასე რომ, ის ორ მატჩს გამოტოვებს, მესამე მატჩში კი პირობითი დისკვალიფიკაცია იმ შემთხვევაში შევა ძალაში, თუ სისე ერთი წლის განმავლობაში ერთ ყვითელ ბარათს მაინც მიიღებს. ამგვარად, ფეხბურთელი მოედანზე გავა ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის მატჩში, რომელშიც მისი გუნდის მეტოქე "შტურმი" იქნება.

## "დინამომ" და "ოლიმპმა" პირველობა ვერ მოახერხეს

თეა დოლიძე

საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე გუშინ საკმაოდ მოულოდნელი შედეგებით დასრულდა. ბოლო ტურის დარჩენილი მატჩები თანაბარი ქულების მქონე "დინამომ" და "ოლიმპმა" აშკარად არასასურველი ანგარიშებით დაამთავრეს.

თბილისი "დინამო" სტუმრად სამტრედიის "სამტრედიასთან" მოულოდნელად -3:1 დამარცხდა. მატჩის დაწყებისთანავე დინამოელებს ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა მიეცათ, მესამე წუთზე დიღმელაშვილის დარტყმა მეკარემ მუშტებით მოიგერია. "სამტრედიის" კარში გოლის გატანის შესაძლებლობა ვერც მათე ვაწაძემ გამოიყენა. იმერლების კარი ამ ეპიზოდში ძელმა იხსნა.

პირველი გოლი მოულოდნელად "დინამომ" საკუთარ კარში მიიღო. 23-ე წუთზე მასპინძლების ჩამოწოდებულ ჯარიმას კაკალაძე დაუხვდა ადგილზე და ბურთი ძელს მოარტყა, თუმცა დამატებაზე ტყემელაძემ ზუსტად ითამაშა. ანგარიშის გათანაბრების საშუალება გიორგი მერებაშვილს 35-ე წუთზე მიეცა, მაგრამ მისი დარტყმული ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა. მეორე ტაიმი სტუმრების სრული უპირატესობით წარიმართა. თომაშვილის წამოწყებული შეტევა დიღმელაშვილმა განაგრძო და ვაწაძემ ანგარიში გაათანაბრა - 1:1. დინამოელების სიხარული ზუსტად 3 წუთს გაგრძელდა. სტანდარტიდან გათამაშებულ კომბინაციას კვესეიშვილი ადგილზე დაუხვდა. "სამტრედია" კვლავ დაწინაურდა - 2:1. უამრავი მცდელობის მიუხედავად, თბილისელებმა მეტოქის კართან რეალური სახიფათო მომენტის შექმნა ვერ მოახერხეს. კონტრშეტევებში გართულმა სტუმრებმა 90-ე წუთზე საკუთარ კარში მიიღეს ბურთი. ხაჭიპერაძემ მატჩში საბოლოო ანგარიში - 3:1 დააფიქსირა. კახა კაჭარავას შეგირდები ბოლო 2 ტურია სასურველ შედეგს ვერ აღწევენ. "დინამომ" ცხრილის სათავეში მოქცევის კარგი საშუალება ვერ გამოიყენა და პირველ წრეს მეოთხე ადგილზე ასრულებს.

პირველობის კარგი შანსი მიეცათ რუსთაველებსაც. თუმცა ბოლო 2 თამაშში ოლიმპმა მხოლოდ 2 ქულის მოპოვება შეძლო. რუსთაველები ამ ტურში ცხინვალის "სპარტაკს" დაუპირისპირდნენ და მიუხედავად იმისა, რომ აშკარად ლიდერებად მიიჩნეოდნენ მხოლოდ 92 წუთზე ბრაზილიელი ლეგიონერის აკინო ანდერსენის გატანილი გოლით მოახერხეს წონასწორობის აღდგენა. მასპინძლები 73 წუთზე შალამბერიძის გატანილი გოლის წყალობით დაწინაურდნენ და თამაშის მოგების რეალური შესაძლებლობაც მალევე მიეცათ, მაგრამ ჩივაძემ თერთმეტმეტრიანი დარტყმის ზუსტად შესრულება ვერ შეძლო. რუსთავალებმა სატურნირო ცხრილში ვიტ-ჯორჯიას მსგავსად 18 ქულა დააგროვეს. თუმცა ბურთების შეფარდებით "ოლიმპი" მეორე ადგილზე ასრულებს პირველ წრეს.

მეცხრე ტურის ბოლო მატჩი თბილისში, "ამერის" სტადიონზე გაიმართა. ცხრილის შუაწელში მყოფმა "გაგრამ" ბოლნისის "სიონს" უმასპინძლა. პირველი გოლი გაგრელებმა 20 წუთზე მიიღეს. ანგარიში ჩიმაკაძემ გახსნა. პირველი ტაიმი "სიონის" გამარჯვებით დასრულდა. მატჩის მეორე გოლი ობოიოს ანგარიშზეა. ყაიმით "სიონის" სატურნირო მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, ხოლო "გაგრა" მეშვიდე ადგილზე "სამტრედიამ" ჩაანაცვლა.

პირველი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილს "ზესტაფონი" ლიდერობს. მეორე წრე 3 ოქტომბერს დაიწყება.შაბათს თბილისის "ლოკომოტივი" "ზესტაფონს" მიიღებს. ამ გუნდების პირველი მატჩი ზესტაფონში ფრედ - 0:0 დასრულდა. მეათე ტურის დანარჩენი 4 შეხვედრა კვირას გაიმართება. შემდეგ კი სანაკრებო პაუზის გამო ეროვნული ჩემპიონატი 17 ოქტომბრამდე დაისვენებს.

## კანონზომიერი შედეგი

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მორიგ ტურში "ლივერპული" ფლორენციაში დამარცხდა. "ფიორენტინასთან" წაგებული თამაშის შემდეგ მერსისაიდელთა მწვრთნელმა აღიარა, რომ შეხვედრის შედეგი სრულიად კანონზომიერია. "პირველ ტაიმში ყველაფერი ისე არ იყო, როგორც გვინდოდა. ჩვენ თამაშს თვალს ვადევნებდით, მეტოქე კი გვიტევდა. შესვენების შემდეგ სამი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ რეალიზება ვერ მოვახერხეთ. იმედგაცრუებული ვართ, რადგან ასეთი დონის მატჩში ასე თამაში არ შეიძლება. მეორე ტაიმის დასაწყისში გოლის გატანა რომ მოგვეხერხებინა, შეიძლება მატჩში გარდატეხაც შეგვეტანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მომხდარა", - თქვა ბენიტესმა წაგებული თამაშის შემდეგ.

## მათეუსს "ჰერტას" გაწვრთნა სურს

რამდენიმე დღის წინ ბერლინის "ჰერტას" მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტური გახდა. ჯერჯერობით დედაქალაქელთა მესვეურებს ახალი მწვრთნელის ვინაობა არ დაუსახელებიათ, თუმცა, შესაძლოა, ეს პოსტი ლოთარ მათეუსმა ჩაიბაროს. ყოველ შემთხვევაში, თავად მათეუსი არ მალავს, რომ დიდი სიამოვნებით ჩაუდგებოდა სათავეში "ჰერტას". "ჰერტასთან კონტაქტი არ მქონია, მაგრამ ბუნდესლიგის კლუბთან მუშაობა შესანიშნავი იქნებოდა", - ამბობს მათეუსი, რომელიც 2008-2009 წლების სეზონში ებრაულ ნეთანიის "მაკაბის" წვრთნიდა.

## ორელიანას თამაშის ნება დართეს

ჩილეს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და "ხერესის" ნახევარმცველ ფაბიან ორელიანას ამიერიდან ესპანეთის ჩემპიონატში თამაშის უფლება მიეცემა. ესპანეთის სპორტული საბჭო დარწმუნდა, რომ ჩილელი ფეხბურთელი ასთმითაა დაავადებული. ორელიანა სამკურნალოდ იყენებს სტიმულატორ სალბუტამოლს, რომელიც აკრძალულ პრეპარატთა სიაშია შეტანილი. ფეხბურთელმა ამ წამლის გამოყენებისა და მოედანზე გასვლის უფლება მიიღო. ორელიანა "ხერესმა" გასულ ზაფხულს იჯარის წესით "უდინეზედან" აიყვანა, თუმცა, ჩილელ ფეხბურთელს ესპანური კლუბის შემადგენლობაში აქამდე არ უთამაშია.

## კეჰილის ოცნება

"ბოლტონის" მცველს გარი კეჰილს იმედი აქვს, რომ ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფაბიო კაპელო მას გუნდში მიიწვევს. პრემიერლიგის ბოლო ტურის მატჩში კაპელო კეჰილის თამაშს ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალყურს.

"წარმოდგენა არ მქონდა, თუ კაპელო ტრიბუნაზე იჯდა. შეიძლება ეს კარგიცაა. მოედანზე გავედი და ფეხბურთი ისე ვითამაშე, როგორც ამას ჩვეულებრივ ვაკეთებ ხოლმე. მაგრამ იმედი მაქვს, ფაბიომ ჩემს თამაშში რაღაც პოზიტიური დაინახა. ვცდილობ, მოედანზე ბოლომდე დავიხარჯო. ვნახოთ, რას მომიტანს ეს. საკუთარი თავის რწმენა და ოპტიმიზმი უნდა შევინარჩუნო. ინგლისის ნაკრებში მოხვედრა ძალიან მინდა და მჯერა, საქმისადმი ასეთი მიდგომა დამეხმარება", - ამბობს ფეხბურთელი.

## დონადონის მანჩინი შეცვლის

იტალიური "ნაპოლის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობა, შესაძლოა, რობერტო მანჩინიმ დაიკავოს. იტალიური სერია A-ს ექვსი ტურის შემდეგ "ნაპოლი" მე-14 ადგილზეა, რის გამოც მეტისმეტად გაღიზიანებულია კლუბის პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი, რომელიც ადრე აცხადებდა, რომ გასულ სეზონში გუნდის მთავარ მწვრთნელად რობერტო დონადონის დანიშვნით შეცდომა არ დაუშვია.

44 წლის მანჩინი, რომელმაც "ინტერი" 2008 წელს დატოვა, ისევ სამწვრთნელო საქმიანობის გარეშეა. მისი ხელმძღვანელობით "ნერაძურიმ" სამჯერ მოიგო სკუდეტო და ორჯერ - იტალიის თასი.

## ლეონარდოს არ მოხსნიან

მიუხედავად იმისა, რომ "მილანი" იტალიის ჩემპიონატში საშინლად თამაშობს, ლეონარდოს თანამდებობის დატოვებია არ ემუქრება. გალიანის განცხადებით, ამ სეზონში ლეონარდო არავითარ შემთხვევაში არ შეიცვლება.

"ლეონარდოს გადაყენებაზე არ ვფიქრობთ. ბევრს ეგონა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში წაგების შემდეგ კარლო ანჩელოტის დავითხოვდით, მაგრამ ეს არ მომხდარა. შემდეგ ეს ჯილდო მაინც მოვიპოვეთ. კლუბის წარუმატებლობაზე პასუხისმგებლობას ინაწილებენ ფეხბურთელებიც, მწვრთნელებიც და ხელმძღვანელობაც. წინ კიდევ მრავალი მატჩი გვაქვს და ყველა მათგანში გამარჯვებისთვის თამაშია საჭირო", - ამბობს გალიანი.

# მარადონას ღმერთის იმედი აქვს

არგენტინის ნაკრებს მეტად არასახარბიელო მდგომარეობა აქვს. საკმარისია გადავხედოთ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის სატურნირო ცხრილს სამხრეთ ამერიკის ჯგუფში და დავინახავთ, რომ მარადონას გუნდი დიდი საფრთხის წინაშე დგას. ნაკრებს ორი მატჩი დარჩა გასამართი და ორივეს მოგების შემთხვევაშიც კი "ალბისელესტეს" ჯგუფში მეოთხე ადგილი გარანტირებული არ ექნება. მეტიც, თუ გავითვალისწინებთ, რომ შესარჩევი ციკლის ბოლო შეხვედრას არგენტინელები 14 ოქტომბერს ურუგვაიში გამართავენ, შესაძლოა, ისინი ხუთეულს მიღმა აღმოჩნდნენ და მუნდიალზე საერთოდ ვერ წავლენ.


მარადონა იმედს არ კარგავს

არგენტინის ნაკრების წარუმატებლობის პირველ მიზეზად გუნდის მთავარი მწვრთნელი დიეგო მარადონა სახელდება. სხვაგვარად ვერც იქნება - როდესაც მწვრთნელს ისეთი არჩევანი აქვს, როგორიც მარადონას, წესით, გუნდს არ უნდა უჭირდეს მუნდიალზე მოხვედრა, მაგრამ მარადონას ექსპერიმენტებმა შედეგი გამოიღო. დიეგომ იმდენი მოახერხა, რომ წამყვანი ფეხბურთელების დიდი ნაწილი გადაიმტერა. ლეგენდარული ფეხბურთელი უცნაურად აყენებს გუნდს. ნაკრებში ვერ ხვდება ისეთი ფორვარდი, როგორიც "ინტერში" მოთამაშე დიეგო მილიტოა. სამაგიეროდ მარადონას გუნდის შეტევის ხაზში გამოჩნდა გადაბერებული მარტინ პალერმო.

მოკლედ, პრობლემები მარადონას თავსაყრელად აქვს და თუ ბოლო ორი მატჩი ვერ მოიგო, შესაძლოა, არგენტინის ეროვნული გმირის სახელიც დაკარგოს.

დიეგოს ესმის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს დარჩენილ ორ თამაშს და ყველა ღონეს ხმარობს გამარჯვებისთვის. მარადონამ ღმერთსაც კი მიმართა თხოვნით.

"ღმერთს არაერთხელ გადავურჩენივარ და მჯერა, ახლაც დამეხმარება, - ამბობს ადამიანი, რომელმაც 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრებში ხელით გატანილი გოლი ღმერთს მიაწერა. ისე კი, რა თქმა უნდა, ყველაფერი ჩვენს ხელთაა. უნდა მოვიგოთ დარჩენილი ორი მატჩი და ყველაფერი რიგზე იქნება".

# რონალდომ "მემკვიდრე" შეაქო

ამას წინათ თანამედროვე ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა, უბერებელი რონალდო მადრიდს სტუმრობდა. ცხადია, ესპანელმა ჟურნალისტებმა ეს შანსი ხელიდან არ გაუშვეს და "კორინთიანსის" ფორვარდს რამდენიმე კითხვით მიმართეს. კერძოდ, საუბარი იყო რონალდოს შესაძლო დაბრუნებაზე მადრიდის "რეალში" და "სამეფო კლუბის" ვარსკვლავ ახალწვეულებზე.


რონალდო: "დღევანდელ "რეალში" ჩემს თავს ვერ ვხედავ"

რონალდო ხუთი სეზონის განმავლობაში იცავდა "რეალის" ღირსებას და ამ კლუბში 9-ნომრიანი მაისურით თამაშობდა. ახლა რონალდოს მაისური რონალდუმ მოირგო.

"რა გითხრათ შესაძლო დაბრუნებაზე, არც კი ვიცი. ვნახოთ, რა იქნება მომავალში. გამოგიტყდებით, "რეალში" დაბრუნება ჩემს გეგმებში არ შედის. ამ კლუბის ქომაგი ყოველთვის ვიქნები, ფლორენტინო პერესთან მეგობრობა მაკავშირებს, თუმცა მე ფეხბურთელი ვარ და დღევანდელ "რეალში" ჩემს თავს ვერ ვხედავ. რაც შეეხება ახალწვეულებს, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ კრიშტიანუ იმ ნომრით თამაშობს, რომლითაც მე ვთამაშობდი და მაისურზე მასაც რონალდო აწერია. ცხადია, ეს ჩემთვის სასიამოვნოა. თუმცა, ალბათ ბოლომდე გულწრფელი არ ვარ. სასიამოვნოა მხოლოდ იმიტომ, რომ კრიშტიანუ საოცარ ფეხბურთს თამაშობს და მისი თამაშის ხილვა სიამოვნებას მანიჭებს. ნამდვილად არ მომეწონებოდა, ვინმეს "რეალში" 9-ნომრიანი მაისურით ეთამაშა, მაისურზე რონალდოს გვარი ყოფილიყო და ცუდი ფეხბურთი ეჩვენებინა. მინდა რამდენიმე სიტყვით კაკასაც შევეხო. ის ჩემი მეგობარია და, დარწმუნებული ვარ, "რეალს" ბევრ სიკეთეს მოუტანს. უნიჭიერესი ფეხბურთელია, რაც მან უკვე დაამტკიცა", - თქვა რონალდომ გაზეთ "ასის" კორესპონდენტთან საუბრისას.

# პელე VS ობამა

პარასკევს დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას და გაირკვევა, თუ ვინ უმასპინძლებს 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს. რიო დი ჟანეირო, მადრიდი, ტოკიო, ჩიკაგო - აი, ის ქალაქები, რომლებსაც მსოფლიო სპორტის ყველაზე მნიშვნელოვანი ფორუმის მასპინძლობა სურთ.

კოპენჰაგენს არჩევნების დღეს არაერთი ცნობილი პიროვნება ეწვევა. ბრაზილიური რიოს მხარდასაჭერად დანიაში ფეხბურთის მეფე პელე ჩავა, ჩიკაგოს კანდიდატურის გასატანად კი დანიაში სტუმრობას აპირებს აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა. თუ თავად პრეზიდენტი ვერ ჩავა დანიაში, მისი მეუღლის - მიშელის სტუმრობა უკვე ოფიციალურად არის დაგეგმილი.

უცხოური მედიის ინფორმაციით, სწორედ რიოსა და ჩიკაგოს აქვთ ოლიმპიადის მასპინძლობის ყველაზე მეტი შანსი. საქმე ის არის, რომ სამხრეთ ამერიკაში ოლიმპიური თამაშები აქამდე არასდროს გამართულა და ოლიმპიურმა კომიტეტმა შესაძლოა სწორედ ამის გამო აირჩიოს რიო. რაც შეეხება ჩიკაგოს, ამ ქალაქის ლობირებას თავად ბარაკ ობამა ახდენს.

"მე ყოველთვის გამარჯვებულ გუნდში ვთამაშობდი. ვფიქრობ, შედეგი ახლაც ასეთივე იქნება. წარმატებაში დარწმუნებული ვარ. ახლა ერთი საგოლე დარტყმაღაა გასაკეთებელი. ვიფქრობ, რიოს ბრწყინვალე შანსი აქვს. ყველაფერს გავაკეთებ, რათა სამხრეთ ამერიკამ პირველად უმასპინძლოს ოლიმპიურ თამაშებს," - განაცხადა პელემ კოპენჰაგენში გამგზავრების წინ.

პელესთან ერთად კოპენჰაგენში ჩავა ბრაზილიის პრეზიდენტი ლუის ინსაუ ლულა და სილვაც, რომელმაც უკვე დაიბევა სამხრეთამერიკული და აფრიკული სახელმწიფოების მხარდაჭერა, თუმცა, ევროპელებს ოლიმპიურ კომიტეტში უფრო მეტი ხმა აქვთ, ვიდრე აფრიკასა და სამხრეთ ამერიკას. კოპენჰაგენს იაპონიის პრემიერიც უნდა ესტუმროს. მოკლედ, ამ კვირის ბოლოს კოპენჰაგენში დიდი ვნებათაღელვაა მოსალოდნელი.

# ტევესს "ოლდ ტრაფორდზე" აზრი შეაცვლევინეს

არც ისე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც "მანჩესტერ სიტისა" და "არსენალის" მატჩში ყოფილმა "მეთოფემ", ახლა კი "ქალაქელმა" ემანუელ ადებაიორმა აშკარად შეირცხვინა თავი.

ადებაიორმა ჯერ ვან პერსის ჩაარტყა, შემდეგ კი ყოფილი თანაგუნდელების კარში გატანილი გოლი იმდენად ემოციურად აღნიშნა, რომ ამით ყველა გაღიზიანა. ძნელია იმის თქმა, ასეთი რა აწყენინეს ადებაიორს "არსენალში", მაგრამ ფეხბურთში არსებობს დაუწერელი კანონი, რომელსაც თითქმის ყველა იცავს: ყოფილი გუნდის კარში გატანილ გოლებს ძირითადად არ აღნიშნავენ.

ადებაიორისგან განსხვავებით, ეს წესი ზუსტად დაიცვა კარლოს ტევესმა. ორშაბათს "სიტისა" და "ვესტ ჰემის" მატჩში კარლოსმა გოლი გაიტანა და საერთოდ არ გამოუხატავს სიხარული. შეგახსენებთ, რომ "ვესტ ჰემი" არგენტინელის პირველი ინგლისური კლუბია.



ტევესი "მანჩესტერის" კარში გატანილი გოლების აღნიშვნას აპირებს

კარლოსი არც "მანჩესტერ იუნაიტედის" კარში გატანილი გოლების აღნიშვნას აპირებდა მომავალში, თუმცა მანკუნიანური დერბის შემდეგ "ოლდ ტრაფორდმა" მას აზრი შეაცვლევინა.

"სრულიად ნორმალურია, რომ გოლი არ აღვნიშნე. "ვესტ ჰემს" პატივს ვცემ. ეს ჩემი პირველი ინგლისური გუნდია და გულის სიღრმეში ყოველთვის მეყვარება. მეტიც, ჩემი ნაწილი ყოველთვის იქნება "ვესტ ჰემის" ფანი. რაც შეეხება მანკუნიანურ დერბის, თამაშამდე გადაწყვეტილი მქონდა, რომ, თუ გოლს გავიტანდი, არ აღვნიშნავდი, თუმცა, რაც თამაშზე მოხდა და რაც შემდეგ ჩემზე ითქვა, არაეთიკურად მიმაჩნია. თუ "ოლდ ტრაფორდის" მკვიდრები პატივს არ მცემენ, მე რატომღა უნდა ვცე მათ პატივი. ასე რომ, თუ მომავალი დერბის დროს გავიტან, ამას უფრო ემოციურად აღვნიშნავ. იმედია, არავის ეწყინება", - აღნიშნა ტევესმა.

# მალე "ფერარი" ალონსოსთან კონტრაქტს გააფორმებს

ბრიტანული ჟურნალი "ავტოსპორტი" გვატყობინებს, რომ "ფერარი" თავისი პილოტების ვინაობას ამ უქმეებზე, იაპონიის დიდი პრიზის დღეებში გამოაცხადებს. ამავე ჟურნალის ინფორმაციით, ყველა დაინტერესებულ პირს შორის სიტყვიერი შეთანხმება უკვე მიღწეულია. ახლა საქმე იურისტებზეა, რომლებიც ბოლო დეტალებს ათანხმებენ.

პირველ რიგში, საუბარია კიმი რაიკონენთან შეთანხმებაზე, რომლის ადგილასაც მარანელოელებს ფერნანდო ალონსო მოჰყავთ. ბოლო პრობლემა, რომელიც ამ გადასვლას ხელს უშლიდა, ფინელი პილოტისთვის კონტრაქტის დარღვევის სანაცვლო კომპენსაციის გადახდა იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს პრობლემაც უკვე მოგვარებულია და საქმე კიმის თანხმობის იურიდიულ გაფორმებაზეღაა.



სინგაპურის რბოლის შემდეგ "ფერარის" ხელმძღვანელმა სტეფანო დომენიკალიმ განაცხადა, რომ მისი გუნდი უახლოეს მომავალში გამოაცხადებს შემადგენლობას.

"როგორც კი ამისთვის მზად ვიქნებით, ყველას შეგატყობინებთ. ერთ რამეს კი ახლავე ვიტყვი - დიდხანს ლოდინს არ ვაპირებთ", - განაცხადა დომენიკალიმ და კითხვაზე, ეს იაპონიის დიდი პრიზის დღეებში ხომ არ მოხდება, ასე უპასუხა - გარანტიას ვერ ვიძლევი, მაგრამ შესაძლებელიაო.

მთავარი კი ის არის, რომ ახლა არც "ფერარი" და არც "რენო" არ უარყოფენ იმას, რომ ალონსო იტალიურ გუნდში გადასვლას აპირებს. მაგალითად, "რენოს" მმართველი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჟან-ფრანსუა კობემ განაცხადა - ვფიქრობ, ფერნანდოს "რენო" მოენატრება, "რენოს" კი ფერნანდო დააკლდებაო.

მოსალოდნელია, რომ ფრანგულ გუნდში ალონსოს ადგილს პოლონელი რობერტ კუბიცა დაიკავებს. "სკუდერიაში" ალონსოს გადასვლას სხვა გადასვლებიც მოჰყვება. კერძოდ, რაიკონენს უკვე ელიან "მაკლარენში", ნიკო როსბერგი კი "უილიამსიდან" "ბრაუნში" გადავა, სადაც რუბენს ბარიკელოს შეცვლის. შესანიშნავ ფორმაში მყოფ ბრაზილიელს დიდი არჩევანი აღარ რჩება - მას ან "ტოიოტაში" გადასვლა მოუწევს, სადაც იარნო ტრულის ადგილს დაიკავებს, ან... არჩევანი დიდია, ოღონდ არა საუკეთესო გუნდებს შორის.

P.S. "ფრანს პრესის" ცნობით, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ "ფერარისთან" სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ხელშეკრულება კი ძალაში შედის 2010 წლიდან.

*მერაბ ლორთქიფანიძე*
*http://formula1ge.blogspot.com*

### "სკუადრა აძურაში" კარანტინია

იტალიის საფეხბურთო ნაკრებში ტადარიგი დაუჭერიათ. აქაოდა, სიფრთხილეს თავის არ სტკივაო, დროა ნაკრების თითოეული წევრი A/H1N1 ვირუსისგან, იგივე ღორის გრიპისგან თავის დასაცავად ავცრათო. ამგვარი წინადადებით კი "სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი გამოსულა. მსგავსი იდეა კი მას შემდეგ გაჩენია, რაც ვიარეჯოში ერთგვარ ჯანმრთელობის ფესტივალს დასწრებია. "A/H1N1 ვირუსისგან თავის დასაცავად ნაკრების წევრთა ვაქცინაციის შესაძლებლობას განვიხილავთ. გვაშფოთებს ის, რომ ვირუსი მეტად იოლად გადადის", - იტალიელი მწვრთნელის სიტყვებს ახმოვანებს "La Gazzetta dello sport". ცნობისთვის, ღორის გრიპისგან აპენინებზე სამი ადამიანი და გარდაიცვალა. იტალიის ჯანდაცვის მონაცემებით, ქვეყანაში ინფიცირების ორი ათასზე მეტი შემთხვევა ყოფილა რეგისტრირებული.

### ბელგრადში "ტულუზას" ქომაგი დაიღუპა

ბელგრადელმა საფეხბურთო ხულიგნებმა ფრანგული "ტულუზას" ქომაგის სიცოცხლე შეიწირეს.

28 წლის ბრის ტატონი თავსა და მკერდში მიყენებული ტრავმების შედეგად დაიღუპა.

დაზიანებები მან 17 სექტემბერს, ბელგრადში, ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩის წინ მიიღო, როდესაც ფრანგები ადგილობრივ "პარტიზანს" ხვდებოდნენ. სერბული კლუბის ფანები, რომლებიც ბეისბოლის ყვანჯებითა და რკინის საგნებით იყვნენ შეიარაღებულნი, ტატონს თავს დაესხნენ. ტატონი საავადმყოფოში აღმოჩნდა, სადაც დღეს დილით გარდაიცვალა.

### ზლატან იბრაჰიმოვიჩი 100 პროცენტით არ ათამაშებულა

იმის თქმა, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩს "ბარსელონაში" ადაპტაცია უჭირს, არ შეიძლება. მეტიც, შვედი ფეხბურთელი კარგად შეეწყო კატალონიურ გუნდს და ნელ-ნელა "ბარსას" მთავარ დამრტყმელ ძალად ყალიბდება. თავად ზლატანს კი მიაჩნია, რომ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი ჯერაც არ გამოუყენებია.

"ნამდვილად ხელს გვაძლევს მილანის "ინტერსა" და "რუბინს" შორის ფრედ დამთავრებული მატჩი, რადგან სატურნირო ბრძოლაში ამან "ბარსას" უპირატესობა მიანიჭა. რაც შეეხება ჩვენს მატჩს, კიევის "დინამოს" კარში არაერთი გოლის გატანა შეგვეძლო. მე მთელი 100%-ით ჯერ კიდევ არ ვარ მზად. ამის მიზეზი ტრავმირებული წვივია", - ამბობს იბრაჰიმოვიჩი.

### კმაყოფილი არსენი

ლონდონის "არსენალის" მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი არ მალავს, რომ კმაყოფილია იმ თამაშით, რომელსაც მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე აჩვენებს. "არსენალმა" ჯგუფური ეტაპის მორიგ ტურში 2:0 დაამარცხა მეტოქე, რის შემდეგაც ვენგერმა თქვა:

"დიდებული პირველი ტაიმის შემდეგ მეორე ნახევარში ცოტა მოვუკელით თამაშს, მაგრამ ვიცოდი, რომ ბოლო 20 წუთში გამარჯვების მიღწევის შანსი გაგვიჩნდებოდა. ასეთ შემთხვევებში მთავარი დისციპლინა, მოთმინება და ფიზიკური მომზადებაა. ნებისმიერ მწვრთნელს სურს, რომ მისმა გუნდმა ყველა საგოლე მომენტის რეალიზება მოახდინოს. აღფრთოვანებული ვარ მოედანზე "არსენალის" დომინირებით. ისეთ მაღალ დონეზე ასპარეზობისას, როგორიც ჩემპიონთა ლიგაა, ეს წარმოუდგენელი იყო".

"არსენალს" უკვე ორი მოგება აქვს. ვენგერის გუნდი ჯგუფის ლიდერია.

### ალვეშს "ბარსას" დაცვითი პოტენციალი არ აკმაყოფილებს

ესპანური "ბარსელონას" მცველი დანიელ ალვეში მიიჩნევს, რომ მის გუნდს დაცვაში თამაშის გაუმჯობესება მართებს.

"დინამოსთან" მატჩში მეტოქეს რამდენჯერმე მივეცით გოლის გატანის შესაძლებლობა, რაც მიუტევებელია ჩემპიონთა ლიგაში. სხვა დროს მოწინააღმდეგე უფრო იღბლიანი აღმოჩნდება და ამ მომენტებს გამოიყენებს, რაც პრობლემებს მოგვიმატებს. საჭიროა, ჩვენი დაცვის ხაზი პოტენციალით გუნდის ფორვარდებს შეესაბამებოდეს. საერთოდ, "დინამოსთან" თამაშით კმაყოფილი კი ვართ, მაგრამ თუ ჩვენი კლუბის დიდ ამბიციებს გავითვალისწინებთ, თამაშს აუცილებლად უნდა მოვუმატოთ", - განაცხადა ალვეშმა ესპანელ ჟურნალისტებთან საუბრისას.



AFP © 2009

*პოლონეთში სპორტულმა დარბაზებმა ფრენბურთელთა ევროპის ჩემპიონატს შეუღეს კარი. შეუღეს რა, რამდენიმე დღეა ასე გრძელდება. სანახობით ქალთა ფრენბურთი ყოველთვის სასეირო იყო და ასეც გაგრძელდება, ვიდრე სპორტის ამ სახეობას მიმდევარი და გულშემატკივარი ეყოლება. ამიტომაცაა, უმთავრეს სარბიელზე - ოლიმპიურ თამაშებზე სალაროები ფრენბურთზე დასასწრე-ბი ბილეთებისგან სრულიად რომ ცარიელდება. პოლონეთის ევროპის ჩემპიონატზე კი იმის თქმა შეგვიძლია, რომ დასწრების მხრივ რეკორდული მაჩვენებელი აქვს.*




თვალის მიკროქირურგიის

ჟ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჟ ი "

ერთადერთი კლინიკა 8

ფილიალით და ერთი მოძრავი

საოპერაციო ბლოკით ბლოკით

SLT - ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

TEGETA TRUCK & BUS
MAN Nutzfahrzeuge AG-ს ოფიციალური პარტნიორი საქართველოში
MAN

სენსაციური ფასები
MAN-ის ახალი სატვირთო ტექნიკა გერმანიიდან




დ.აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ. 891 280–280, 244–744 244–744

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1192

**“ 25 “ 09 2009 წ.**

შ.პ.ს. უმაღლეს სამედიცინო სკოლაში “აიეტი” მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობაზე გადაყვანის (არჩევის) წესისა და საგამოცდო და საკონკურსო შემადგენლობის შესახებ:

დამტკიცდეს მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობაზე გადაყვანის (არჩევის) შემდეგი წესი და საგამოცდო და საკონკურსო კომიტეტის შემადგენლობა:

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება მოხდება ღია კონკურსის საფუძველზე. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს განცხადება საკონკურსო კომისიის თავჯდომარის სახელზე და წინამდებარე ბრძანებისადმი დანართი N1-ით გათვალისწინებული საბუთები.
2. აკადემიურ თანამდებობაზე პირის არჩევა მოხდება 2 წლის ვადით.
3. აკადემიურ თანამდებობაზე საკონკურსო წესით არჩევნები იწარმოებს საბაზისო და კლინიკური მედიცინის, აგრეთვე ზოგადი სპეციალიზაციის სასწავლო კურსების მიხედვით გამოცხადებულ ვაკანსიებზე შესაბამისი საკრედიტო მოცულობების გათვალისწინებით წინამდებარე ბრძანებისადმი დანართი N2-ის თანახმად.
4. აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პედაგოგის ანაზღაურება განისაზღვროს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვის შესაბამისად. სალექციო-აუდიტორიული მუშაობის ერთი ასტრონომიული საათის ანაზღაურება შეადგენს - 8,4 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობის - 6 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში. განყოფილებების ხელმძღვანელები დამატებით ყოველთვიურად მიიღებენ ფიქსირებულ ხელფასს 30 აშშ დოლარის ექვივალენტის ოდენობით ლარებში.
5. კონკურსი ჩატარედება 2009 წლის 16 ნოემბერს. დოკუმენტაციის წარდგენა დაიწყება 2009 წლის 1 ოქტომბრიდან - 1 ნოემბრამდე. კონკურსის შედეგები ცნობილი იქნება 2009 წლის 20 ნოემბერს.
6. კონკურსის ჩატარება დაევალოს რექტორის საბჭოსთან არსებულ საგამოცდო და საკონკურსო კომიტეტს შემდეგი შემადგენლობით: რექტორის მოვალეობის შემსრულებელი და სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელი - ლ. ტვილდიანი; ვიცე-რექტორი - მ. კოკიჩაშვილი; დეკანი - ს. თაბაგარი; კანცლერი - ნ. გოგუაძე; ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - ნ. ბრეგვაძე; დეკანის თანაშემწე - ზ. ქურდაძე; საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებისა და მოდულების განყოფილების ხელმძღვანელი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე - ნ. ნარსია; დეკანატის მდივანი - მ. ტოგონიძე; კანცელარიის ხელმძღვანელი - ე. ზანგალაძე.
7. სასწავლო პროგრამების შეფასებისას მხედველობაში მიიღება სასწავლო კურსის მოცულობა, მიზანი და შინაარსი; შესწავლის წინაპირობა; სწავლების მეთოდი; ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა; სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის მინიმალური დონისადმი მოთხოვნები.

8. პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები: სამეცნიერო ხარისხი; აკადემიური წოდება; პედაგოგიური გამოცდილება; გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები; მონოგრაფიები; სახელმძღვანელოები; ინგლისური ენის ცოდნა; უცხოეთის სასწავლო და სამეცნიერო წრეებთან კავშირი.
9. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს საბუთების წარდგენა და დამატებითი კონცულტაციების მიღება შეუძლიათ კონკურსის გამოცხადების დღიდან ერთი თვის განმავლობაში ეკატერინე ზანგალაძესთან.

კომისია მუშაობს ყოველდღე კვირის გარდა 1000-დან 1600-მდე.
მისამართი: ქ. თბილისი, დიღომი, ლუბლიანას ქ. 2/6.
უმაღლესი სამედიცინო სკოლა “აიეტი”: T 51-68-98; ელ.ფოსტა office@aieti.edu.ge

10. ბრძანება განთავსდეს უმაღლესი სამედიცინო სკოლა “აიეტი”-ს ვებ-გვერდზე და პრესაში.

საფუძველი: რექტორის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი N5; 25.09.2009წ.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
*ლ. ტვილდიანი*

**დანართი N1**

**კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**

1. დიპლომის ასლი;
2. პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
3. ფერადი ფოტოსურათი 3X4 (2 ცალი);
4. Curriculum Vitae;
5. სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის დიპლომის ასლი;
6. დოქტორანტის დამადასტურებელი საბუთი;
7. საექიმო სერტიფიკატის ასლი;
8. სამეცნიერო შრომების სია;
9. პროფესიული ორგანიზაციის (საზოგადოების) წევრობის დამამტკიცებელი საბუთის ასლი;
10. კონფერენციებში მონაწილეობის სერტიფიკატების ასლები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს საბუთების წარდგენა და დამატებითი კონსულტაციების მიღება შეუძლიათ კონკურსის გამოცხადების დღიდან ერთი თვის განმავლობაში კანცელარიის ხელმძღვანელთან - ეკატერინე ზანგალაძესთან. კომისია მუშაობს ყოველ დღე, კვირის გარდა, 10.00-დან 16.00 საათამდე. მისამართი: ქ. თბილისი, დიღომი, ლუბლიანის ქ. 2/6, უმაღლესი სამედიცინო სკოლა “აიეტი”.
ტელეფონი: 51-68-98
ელ. ფოსტა: **office@aieti.edu.ge**

**დანართი N2**

**აკადემიურ თანამდებობებზე საკონკურსო წესით არჩევნები იწარმოებს საბაზისო და კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსების მიხედვით გამოცხადებულ ვაკანსიებზე შესაბამისი საკრედიტო მოცულობების გათვალისწინებით*.**

**საბაზისო მედიცინა:**

*1. ადამიანის ანატომია (17 კრედიტი): 1+0+1***
*2. ჰისტოლოგია და ემბრიოლოგია (11 კრედიტი): 1+1+0*
*3. სამედიცინო ბიოქიმია (13 კრედიტი): 1+0+1*
*4. სამედიცინო ფიზიოლოგია (16 კრედიტი): 1+1+0*
*5. ფარმაკოლოგია (21 კრედიტი): 1+0+1*
*6. სამედიცინო მიკრობიოლოგია და იმუნოლოგია (16 კრედიტი): 1+2+1*
*7. მოლეკულური ბიოლოგია და სამედიცინო გენეტიკა (7 კრედიტი): 1+0+1*
*8. პათოლოგია (22 კრედიტი): 1+0+1*

**კლინიკური მედიცინა:**

*1. შინაგანი სნეულებანი: 5+9+14*
1.1. კლინიკური დიაგნოსტიკის საფუძვლები (პროპედევტიკა) (9 კრედიტი): 1+0+1
1.2. პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასება (6 კრედიტი): 0+0+1
1.3. კარდიოლოგია (7 კრედიტი): 1+0+2
1.4. პულმონოლოგია (4 კრედიტი): 0+1+1
1.5. გასტროენტეროლოგია (4 კრედიტი): 0+1+1
1.6. ნეფროლოგია (3 კრედიტი): 0+1+1
1.7. ენდოკრინოლოგია და მეტაბოლიზმი (4 კრედიტი): 0+1+1
1.8. რევმატოლოგია და სისტემური დაავადებები (3 კრედიტი): 0+1+1
1.9. ჰემატოლოგია (3 კრედიტი): 0+1+1
1.10. ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია (3 კრედიტი): 0+1+1
1.11. შინაგან სნეულებათა დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობა (8 კრედიტი): 1+1+1
1.12. შინაგან სნეულებათა სინდრომული დიფერენციული დიაგნოსტიკა და გადაუდებელი თერაპია (15 კრედიტი): 1+1+1
1.13. ფიზიოთერაპია და სამედიცინო რეაბილიტაცია (2 კრედიტი): 0+1+0
1.14. დერმატოვენეროლოგია (4 კრედიტი): 1+0+1
*2. დიაგნოსტიკა: 1+0+2*
2.1. სამედიცინო რენტგენოლოგია და რადიოლოგია (4 კრედიტი): 1+0+1
2.2. ლაბორატორიული და ინსტრუმენტული დიაგნოსტიკის საფუძვლები (3 კრედიტი): 0+0+1
*3. ქირურგია: 3+7+7*
3.1. ზოგადი ქირურგია (9 კრედიტი): 1+0+1
3.2. კერძო ქირურგია (15 კრედიტი): 1+0+1
3.3. ონკოლოგია (3 კრედიტი): 0+1+0
3.4. უროლოგია (3 კრედიტი): 0+1+1
3.5. ტრავმატოლოგია და ორთოპედია (3 კრედიტი): 0+1+1
3.6. ოტორინოლარინგოლოგია (3 კრედიტი): 0+1+1
3.7. ოფთალმოლოგია (3 კრედიტი): 0+1+1
3.8. ბავშვთა ქირურგია (3 კრედიტი): 0+1+0
3.9. ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია (3 კრედიტი): 0+1+1
3.10. გადაუდებელი ქირურგია (5 კრედიტი): 1+0+0
*4. მეან-გინეკოლოგია (20 კრედიტი): 1+1+1*
*5. პედიატრია (15 კრედიტი): 1+1+1*
*6. ინფექციური სნეულებანი (10 კრედიტი): 1+1+1*
*7. ნერვული სნეულებანი (10 კრედიტი): 1+0+3*
*8. ფსიქიატრია და ქცევათმეცნიერება (12 კრედიტი): 1+1+0*
*9. ჯანდაცვის ორგანიზაცია და ეპიდემიოლოგია (8 კრედიტი): 1+1+1*
*10. პროფილაქტიკური მედიცინა ეკოლოგიით (4 კრედიტი): 0+1+1*

შენიშვნა:
* 1 კრედიტი შეიცავს 16 საკონტაქტო ასტრონომიულ საათს;
** სასწავლო კურსთან აღნიშნულ ფორმულაში პირველი რიცხვი შეესაბამება სრული პროფესორის ვაკანსიას, მეორე - ასოცირებული პროფესორის, ხოლო მესამე - ასისტენტ პროფესორის.

---

**შპს □დასავლეთის წყალის” გენერალურ დირექტორს**

კონკურსანტი ——————————-

————————————————-

მცხ. ———————————-

————————————————-

ტელ. ——————————

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, დამრთოთ ნება რათა მონაწილეობა მივიღო შპს □დასავლეთის წყალის” მიერ ———————————— სერვის ცენტრში სტაჟიორთა მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში.

პატივისცემით,
(ხელმოწერა, თარიღი)

---

## საქართველოს კონტროლის პალატის მიერ,

**ქ. ქუთაისში მდებარე კონტროლის პალატის ადმინისტრაციული შენობისათვის გარე ფასადის სარეკონსტრუქციო სარემონტო სამუშაოების შესყიდვისათვის მრავალწლიანი ტენდერის ჩატარების შესახებ, 2009 წლის 22 სეტემბრის N205 გაზეთ □24 საათში” Mგამოქვეყნებულ განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

1. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ 2009 წლის 22 სეტემბრის N205 გაზეთ □24 საათში”, ტენდერის ჩატარების შესახებ Mგამოქვეყნებულ განცხადებაში შევიდეს ცვლილება და განცხადების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

□4. გარე ფასადის სარემონტო სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს 2009 წლის 20 ოქტომბრიდან 2010 წლის 01 მაისამდე.”

2. განცხადების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.

**საქართველოს კონტროლის პალატის
სატენდერო კომისია**

# აშშ საელჩო, თბილისი საქართველო

2009 წლის 3 ოქტომბერს, აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს. აუქციონზე წარმოდგენილი იქნება ნახმარი და დაზიანებული საოჯახო ავეჯი და მოწყობილობები.

-აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "**არსებულ მდგომარეობაში**" ნებისმიერი გარანტიის გარეშე.

-მყიდველი საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელია აუქციონზე გამოტანილი ნივთების შემდგომ განბაჟებაზე და **სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.**

- დაინტერესებულ პირთათვის **ნივთების დათვალიერება მოხდება მხოლოდ აუქციონის დღეს,** 2009 წლის 3 ოქტომბერს დილის
9:00 დან 11:00 საათამდე.

-აუქციონი (ბიდინგი) დაიწყება დილის 11:00 საათზე.

აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:
**თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა 11. აშშ საელჩოს პარკინგის ტერიტორია.**

ცნობებისათვის დარეკეთ: 277000 ან 899 563920

# განცხადება

შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური გასცემს იჯარით საზღვაო ვაგზლის პირველი სართულის 213,6 კვ.მ. ფართს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ მისამართზე:

შპს "ბათუმის საზღვაო ნავსადგური"
საქართველო, 6003, ბათუმი, გოგებაშვილის ქ.N 11
ელ.ფოსტა: bsport@batumiport.com

ან დაუკავშირდნენ საკონტაქტო პირს:

ბატონ ანდრეი პაშევკინს
ელ.ფოსტა: pashevkin@batumioilterminal.com
მობ: +995 (77) 20-27-51

შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური

# განცხადება
## ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (მდებარე ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას ქ. N8-10-ი). "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს ერთი ერთეული ახალი ავტომანქანის შესყიდვაზე.

1. ავტომანქანის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- ძრავის მოცულობა: (ლიტრი) 4.6 სმ3
- ცილინდრების განლაგება /რაოდენობა: V8
- ძრავის სიმძლავრე: (ცხენის ძალა) 380 ცძ
- საწვავის ხარჯი: (საშუალო) არაუმეტეს 14 ლტ
- საწვავის ტიპი: ბენზინი
- დაქოქვის სისტემა - ღილაკით (smart key)
- ცივი ქვეყნის პაკეტი
- ოთხზონიანი ავტომატური კლიმატ-კონტროლი (კრუიზკონტროლი)
- რადიო CD, აუდიო მართვა საჭიდან
- უკანა სალონში ვიდეო მონიტორი, წინ უკანა ხედვის მონიტორი
- ნავიგაცია ბლუთუსი
- საქარე მინის გამწმენდი წვიმის სენსორით
- ბლოკირების საწინააღმდეგო სისტემა ABS
- ექსტრემალური დამუხრუჭების სისტემა BA+EBD
- უსაფრთხოების ბალიშები მძღოლისა და წინა მგზავრისათვის AIRBAG
- გვერდითი უსაფრთხოების ბალიშები წინა და უკანა სავარძლებში SIDEBAG
- მუხლის უსაფრთხოების ბალიშები.
- უკანა სალონის კონდენცირება
- წინა სავარძლები ელექტრო რეგულირებით, კონდენცირებით
- უკანა სავარძლის ელექტრო მართვა
- გატაცების საწინააღმდეგო ელექტრო სისტემა იმობილაიზერით
- დინსტანციური ცენტრალური საკეტი, ავტომატურიადვილად დასაკეტი კარი
- ხის საჭე გათბობით, საჭის ჰიდროგამაძლიერებელი
- მინები ელექტრო ამძრავით
- შიდა უკანა ხედვის სარკეები გათბობით და მეხსიერებით
- უკანა შუშის გამათბობელი, დღის ღამის უკანა ხედვის სარკე
- წინა სანისლე ფარები
- ფარების ელექტრო რეგულირება
- წინა და უკანა სავარძლები ელექტრო გათბობით
- ტყავის საცარძლები
- გამოშვების წელი არანაკლებ 2008 წლისა
- განბაჟებული

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს. ანგარიშსწორება ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

3. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას ქ. N8-10, მიწოდების ვადა განისაზღვრება 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში, ქართულ ენაზე, 2009 წლის 22 ოქტომბერს 10 დან - 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ. N8-10 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

5. საკვალიფიკაციო მონცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
იურიდიული პირისათვის:
- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადოდან) და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (საჯარო რეესტრი);
- ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);
- ცნობა, გადხდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ (სასასმართლოდან).
ფიზიკური პირისათვის:
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან:
- ცნობა ქმედუნარიანობის შესახებ (სასამართლოდან);
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (სასამართლოდან);
- როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

6. სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნებაშეფასებისათვის საჭირო ინფორმაცია.

7. ტენდერში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად საჭიროა სატენდერო მოსაკრებლის შეტანა 200 ლარის ოდენობით, მ/წ 21 ოქტომბრის ჩათვლით. ჩვენი რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101107, მიმღები ერთიანი ანგარიში საგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი) სახაზინო კოდი 300033092, ანგ. 200122900.

8. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ. N8-10, 2009 წლის 1 ოქტომბრიდან 2009 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით.

9. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

10. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 22 ოქტომბერს 17 საათზე.

11. ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება.

12. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სატენდერო კომისიის აპარატში, მე-8 მუხლში მითითებულ მისამართზე. ტელეფონი 895152255, 895225531, (888222) 74202. საკონტაქტო პირები: მერაბ ჯოჯუა, ცირა ხუხუნაიშვილი.

საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს სატენდერო კომისია

# განცხადება
## სტაჟიორთა მისაღები კონკურსის შესახებ

შპს „დასავლეთის წყალი" აცხადებს სერვის ცენტრებში სტაჟიორთა მისაღებ კონკურს.

სტაჟიორებად მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე ან უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელ კურსზე მყოფი საქართველოს მოქალაქეები.

სტაჟიორთა შერჩევისას უპირატესობა მიენიჭებათ იმ კანდიდატებს, რომლებსაც უმაღლესი განათლება გააჩნიათ (ან სწავლობენ უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელ კურსზე) შემდეგი განხრით:

1. **იურიდიული;**
2. **ეკონომიკური (საფინანსო-საბუღალტრო).**
3. **საინჟინრო (სასურველია წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალობით).**
4. **ბიოლოგიური და ქიმიური.**

ამასთან, სასურველია კანდიდატებს შეეძლოთ კომპიუტერთან მუშაობა სამომხარებლო დონეზე.

სტაჟირება უფასოა და იგი გრძელდება მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში.

სტაჟირების წარმატებით დასრულების შემდეგ, ვაკანტური თანამდებობის არსებობის შემთხვევაში, სტაჟიორები შეიძლება დაინიშნონ შესაბამის თანამდებობებზე.

სტაჟიორთა კონკურსი ერთ ეტაპიანია და იგი ჩატარდება გასაუბრების ფორმით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს შპს „დასავლეთის წყალის" ———————- სერვის ცენტრში (მისამართი ————————————————————- **N**) 2009 წლის 10 სექტემბრიდან და გაგრძელდება 2009 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირისა გარდა 11.00 საათიდან 18.00 საათამდე.

სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მსურველმა შპს „დასავლეთის წყალის" ——————— სერვის ცენტრში უნდა წარადგინოს:

**1. კონკურსში მონაწილეობის თაობაზე წერილობითი განცხადება შპს „დასავლეთის წყალის" გენერალური დირექტორის სახელზე;**

**2. დიპლომის ასლი (უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის) ან უმაღლსი საგანმანათლებლო დაწესებულების დამამთავრებელ კურსზე სწავლის დამადასტურებელი ცნობა;**

**3. ავტობიოგრაფია.**

**4 ორი ფერადი ფოტოსურათი (3/4).**

გასაუბრების ჩატარების ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს წინასწარ ეცნობებათ გასაუბრებამდე მინიმუმ სამი დღით ადრე.

**შპს „დასავლეთის წყალი"**

# განცხადება
## სტაჟიორთა მისაღები კონკურსის შესახებ

შპს „აღმოსავლეთის წყალი” აცხადებს სტაჟიორთა მისაღებ კონკურს ქვემოთ ჩამოთვლილ სერვის ცენტრებში.

სტაჟიორებად მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე ან უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელ კურსზე მყოფი საქართველოს მოქალაქეები.

სტაჟიორთა შერჩევისას უპირატესობა მიენიჭებეთ იმ კანდიდატებს, რომლებსაც უმაღლესი განათლება გააჩნიათ (ან სწავლობენ უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელ კურსზე) შემდეგი განხრით:

1. **იურიდიული;**
2. **ეკონომიკური (საფინანსო-საბუღალტრო).**
3. **საინჟინრო (სასურველია წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალობით).**
4. **ბიოლოგიური და ქიმიური.**

ამასთან, სასურველია კანდიდატებს შეეძლოთ კომპიუტერთან მუშაობა სამომხარებლო დონეზე.

სტაჟირება უფასოა და იგი გრძელდება მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში.

სტაჟირების წარმატებით დასრულების შემდეგ, ვაკანტური თანამდებობის არსებობის შემთხვევაში, სტაჟიორები შეიძლება დაინიშნონ შესაბამის თანამდებობებზე.

სტაჟიორთა კონკურსი ერთ ეტაპიანია და იგი ჩატარდება გასაუბრების ფორმით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს შპს „აღმოსავლეთ წყალის” შესაბამის სერვის ცენტრებში ქვემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე 2009 წლის 01 ოქტომბრიდან და გაგრძელდება 2009 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირისა გარდა 11.00 საათიდან 18.00 საათამდე.

სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მსურველმა შპს „აღმოსავლეთ წყალის” სერვის ცენტრში უნდა წარადგინოს:

**1. კონკურსში მონაწილეობის თაობაზე წერილობითი განცხადება შპს „ აღმოსავლეთ წყალის” გენერალური დირექტორის სახელზე;**

**2. დიპლომის ასლი (უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის) ან უმაღლსი საგანმანათლებლო დაწესებულების დამამთავრებელ კურსზე სწავლის დამადასტურებელი ცნობა;**

**3. ავტობიოგრაფია.**

**4 ორი ფერადი ფოტოსურათი (3/4).**

გასაუბრების ჩატარების ადგილის, თარილისა და დროის შესახებ კანდიდატებს წინასწარ ეცნობებათ გასაუბრებამდე მინიმუმ სამი დღით ადრე.

**სერვის ცენტრების მისამართებია:**

1. ადიგენის სერვის ცენტრის მის. დაბა ადიგენი თამარ მეფის ქ. N7
2. ასპინძის სერვის ცენტრი მის. დაბა ასპინძა ტაბიძის ქ. N5
3. ახალქალაქის სერვის ცენტრის მის. ქ. ახალქალაქი ვაჩიანის გზატკ. 1 კმ
4. ახალციხის სერვის ცენტრის მის. ქ. ახალციხე მანველიშვილის ქ N9
5. ბოლნისის სერვის ცენტრის მის. ქ. ბოლნისი ჭავჭავაძის ქ.N 49
6. ბორჯომის სერვის ცენტრის მის. ქ. ბორჯომი რუსთაველის ქ. N რუსთაველის მოედანი N 1

7. გორის სერვის ცენტრის მის. გორი ჯორბენაძის Q N2
8. გურჯაანის სერვის ცენტრის მის. ქ. გურჯანი კოსტავას ქ. N31
9. დედოფლისწყაროს სერვის ცენტრის მის. ქ. დედოფლისწყარო ფიროსმანის ქ. N5
10. თელავის სერვის ცენტრის მის. ქ. თელავი ერეკლე 2 გამზ N6
11. სიღნაღის სერვის ცენტრის მის. ქ. სიღნაღი ერეკლე 2 ქ. N44
12. დმანისის სერვის ცენტრის მის. ქ. დმანისი 9 აპრილის ქ.
13. თეთრიწყაროს სერვის ცენტრის მის. ქ. თეთრიწყარო ჭავჭავაძის ქ. N6
14. კასპის სერსვის ცენტრის მის. ქ. კასპი კოსტავას ქ. N4
15. ლაგოდეხის სერვის ცენტრის მის. ქ. ლაგოდეხი ქიზიყის ქ. N25
16. მარნეულის სერვის ცენტრის მის. ქ. მარნეული გუდიაშვილის N15
17. მცხეთის სერვის ცენტრის მის. მცხეთა-ნარკვევი,წეროვანის სასტუმრო სადგური
18. ნინოწმინდის სერვის ცენტრის მის. ქ. ნინოწმინდა თავისუფლების Qქ. N56
19. სართიჭალის სერვის სენტრის მის. გარდაბნის რ-ნი სოფ. სართიჭალა
20. ქარელის სერვის ცენტრის მის. ქ. ქარელი სტალინის ქ. N22
21. ხაშურის სერვის ცენტრის მის. ქ. ხაშური ლომოურის ქ. N12
22. ყვარელის სერვის ცენტრიე მის. ქ. ყვარელი ჭავჭავაძის ქ. N138

**შ.პ.ს. „ აღმოსავლეთის წყალი”**

PREMIERE URGENCE
AIDE HUMANITAIRE INTERNATIONALE

UNHCR
The UN Refugee Agency

### ტენდერი ცხადდება სხვადასხვა ნივთების შეძენაზე და ემსახურება მიახლოებით 700 შემოსავლების გენერირების პროექტის განხორციელებას ზუგდიდსა და გორის რეგიონში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირებისათვის.

**[Ref: TF/PU/GEO/HCR/09022/TE0405/002]**

საერთაშორისო ჰუმანიტარული არასამთავრობო ორგანიზაცია პრემიერ ურჯენსი, რომელიც მოქმედებს საფრანგეთის კანონმდებლობით და ფინანსდება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ (UNHCR), იწვევს მოტივირებულ რეგისტრირებულ კომპანიებს მიიღონ მონაწილეობა ტენდერში და მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებები ქვემოთ ჩამოთვლილი დარგებისათვის განკუთვნილი ნივთების მოწოდებაზე.

- ✓ **სკები სრული ფუტკრის ოჯახებით - გორის რეგიონი (ლოტი 1)**
